

როზაბა გუვაზიანი ქეთევან ხუციშვილი  
მირიან ხოსიტაშვილი

# ჯანჯანეთი



**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა**

**როზეტა გუჯავიანი, ქეთევან ხუციშვილი,  
მირიან ხოსიტაშვილი**

**საქართველოს საზღვრისკირა რეგიონების  
სოციო-კულტურული მახასიათებლები  
და სასაზღვრო ურთიერთობები**

**ჯაკახეთი**

UDC (უკაკ) 39(=3531)  
8-997

რედაქტორი  
რეცენზენტები:  
კროფესორი  
კროფესორი

**აკადემიკოსი ჯაბა საგუშია**

**მერაბ ბერიძე**  
**თამაზ ფუტყარაძე**

დაგეგმვადონებელი: **გივი გელაშვილი**



შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

- © საქართველოს კარლამენდის ეროვნული ბიბლიოთეკა
- © როზეტა გუჭეჭიანი
- © ქეთევან ხუციშვილი
- © მირიან ხოსიტაშვილი

ISBN: 978-9941-9867-4-1

# შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . .	4
საზღვრის კვლევის თეორიული ასპექტები . . . . .	8
ჭავჭავაძის სოციალ-კულტურული და სამეურნეო ტრადიციები და თანამედროვეობა . . . . .	27
ეთნიკური და რელიგიური ვითარება ჭავჭავაძეში . . . . .	95
საზღვრისპირა ურთიერთობები ისტორიულ სამცხე-ჭავჭავაძეში . . . . .	105
ბოლოსიტყვაობა . . . . .	112
ბიბლიოგრაფია . . . . .	116



## წინასიტყვაობა

ნაშრომი მომზადებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის საგრანტო პროექტის BRG-I-22-282 „საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების სოციო-კულტურული მახასიათებლები და სასაზღვრო ურთიერთობები - ჭავახეთი“ (ხელმძღვანელი როზეტა გუჯეჯიანი) ფარგლებში. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ ისტორიის დოქტორი, პროფ. როზეტა გუჯეჯიანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ქეთევან ხუციშვილი, ეთნოლოგიის დოქტორი მირიან ხოსიტაშვილი, ასისტენტი ბორის კომახიძე. თურქეთის მხარეს ჩვენს ლოჯისტიკას წარმართავდა შემსეთინ (გიორგი) ირემაძე.

ნაშრომი ეფუძნება ეთნოგრაფულ კვლევას, რომელიც მიმდინარეობდა 2022 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველოში: ჭავახეთსა და სამცხეში (ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები) და თურქეთის რესპუბლიკაში (არტანის რეგიონი). კვლევა მიზნად ისახავდა ჭავახეთის, როგორც სასაზღვრო ზონის სოციო-კულტურული მახასიათებლებისა და მათზე საზღვრის, როგორც ფიზიკური რეალის, საზღვრისადმი დამოკიდებულებისა და საზღვრის ფუნქციონირების გავლენის შესწავლას.

მესხეთის მეცნიერული შესწავლის ისტორია ხანგრძლივი და მრავალფეროვანია. ცნობილია სამცხე-ჭავახეთის ტრადიციული ყოფითა და კულტურით ადრიდანვე დაინტერესდნენ ქართველი ეთნოგრაფები. უმდიდრეს ისტორიოგრაფიულ კვლევებთან ერთად, რომელთა ავტორებიც არიან დიდი ქართველი ისტორიკოსები: მიხეილ თამარაშვილი, ალექსანდრე ფრონელი, ივანე ჭავახიშვილი, შოთა ლომსაძე, მიტროპოლიტი ანანია ჭაფარიძე და სხვები, ჭავახეთის ეთნოგრაფიის შესწავლის მხრივ უდიდესია ივანე გვარამაძის, ზაქარია ჭიჭინაძის, გიორგი ჩიტაიას, სერგი მაკალათიას, ზურაბ ქუქჩიშვილის, ციური ლაფაჩის, თინა იველაშვილისა და სხვათა წვლილი. უმდიდრესი ეთნოგრაფიული ცნობებია დაცული ივანე ჭავახიშვილის თაოსნობით 1935 წელს შეკრებილ მასალებში, რომლებიც ხუთთომეულის სახითაა მოგვიანო ხანაში გამოცემული. ამ ბოლო წლებში სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა ჯულიეტა რუხაძის სავლელ დღიურში დაუნჯებუ-

ლი მასალაც და სხვ. ფრიად საყურადღებოა ენათმეცნიერული ნაშრომებიც, რომლებში ენობრივი და ეთნოგრაფიული მასალა გადაჭაჭვულია, მაგალითად, მერაბ ბერიძის მონოგრაფიები და სტატიები, მწერლისა და მეცნიერის გიორგი ზედგინიძის შემოქმედება და ა. შ.

ჩვენი მიზანი იყო უკვე არსებული მდიდარი სამეცნიერო ბაზის გამოყენება და მისი შედარება ამჟამინდელ ვითარებასთან. რასაკვირველია, განხორციელდა საკითხის ირგვლივ არსებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, ხოლო შემდეგ უკვე დაიგეგმა საველე კვლევა, რომლითაც შესწავლილ იქნა თანამედროვე რეალიები. საველე ეთნოგრაფიული კვლევა წარმოადგენს ჩვენი კვლევის უმთავრეს ნაწილს. საველე კვლევა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით წარიმართა. ძირითადი იყო საველე-ეთნოგრაფიული მეთოდი. ვანარმოეთ უბრალო და ჩართული დაკვირვება, გამოვიყენეთ ინტერვიურების მეთოდები (კერძოდ, ჩაიწერა ნახევრად სტრუქტურირებული, არასტრუქტურირებული, ჩაღრმავებული ინტერვიუები, ბიოგრაფიული და ფოკუსირებული ინტერვიუები). გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მეთოდებით მიღებული შედეგები (სტატისტიკური მონაცემები), მასალის ფიქსირება მოხდა ფოტოგრაფირებითა და აუდიო-ვიდეო ჩანაწერების სახით.

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო განისაზღვრა სივრცის სოციალური კონსტრუქციის თეორიის, საზღვრების „ქმნადობის“ თეორიისა და ფუნქციონალური თეორიის საფუძველზე. ასევე გამოყენებულ იქნა კომპარატივისტული მიდგომა როგორც დიაქრონულ (ისტორიულ-ტიპოლოგიური შედარება), ასევე სინქრონულ (საზღვრის სხვადასხვა მხარის ყოფის შედარებითი ანალიზი) ძრილში. ამ მიდგომების ფარგლებში გამოყენებულ იქნა თანამედროვე ტერმინოლოგიური აპარატი და თანამედროვე ავტორთა კონცეპტები.

კვლევის შედეგად შეიქმნა მეტ-ნაკლებად სრული სურათი, თუ როგორია ჯავახეთის ყოფა გეოგრაფიული საზღვრების კონცეპტუალურ, სიმბოლურ თუ წარმოსახვით საზღვრებთან მიმართების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ ამ პერპექტივით საკითხი აქამდე შესწავლილი არ ყოფილა. ძირითადი საკვლევი კითხვები იყო, თუ როგორია საქართველოს სამხრეთ სასაზღვრო რეგიონის – ჯავახეთის სოციო-კულტურული ყოფა, რა გავლენას ახდენს მასზე სასაზღვრო ურთიერთობები, ქმნიან თუ არა საზღვრები სპეციფიკური ტიპის კულ-

ტურას და განვითარების რა ტენდენციები იკვეთება.

მონოგრაფიული გამოკვლევა მოიცავს რეგიონის ზოგად დახასიათებას; საისტორიო წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, აგრეთვე, დასახლების ტიპის, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სამეურნეო კულტურის, მეურნეობის დამხმარე დარგების, საოჯახო ყოფის, ქორწინებისა და დაკრძალვის ტრადიციების, სოლიდარობის ფორმების, რელიგიური ვითარების, ეთნიკური მრავალფეროვნებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ტრადიციული გამოცდილების, პოსტსაბჭოთა პერიოდის სირთულეების, ტრადიციული კულტურისა და თანამედროვე ვითარების ურთიერთმიმართებისა და სასაზღვრო კომუნიკაციის აღწერა-ანალიზს.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია 2015 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალის ერთი ნაწილი. ეს ექსპედიცია ჩატარდა ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწყობილი ტენდერის ფარგლებში („ასპინძის მუნიციპალიტეტში ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის არამატერიული კულტურული მემკვიდრეობის პირველადი ინვენტარიზაცია“). პროექტი განხორციელდა როზეტა გუჯეჯიანის ხელმძღვანელობით და მანვე დაამუშავა და გააანალიზა ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც საველე-ეთნოგრაფიული კვლევით შეკრიბეს როზეტა გუჯეჯიანმა, გიორგი ავთანდილაშვილმა, სოფო სარიშვილმა და გიორგი მალრაძემ. კონსულტაცია გაგვიწიეს პროფესორმა მერაბ ბერიძემ, არქიტექტორმა დავით ჯაფარიძემ, ტერასული მეურნეობის სპეციალისტმა გიორგი ბუცხრიკიძემ.

ნაშრომის ავტორები მადლიერებას გამოვხატავთ ჯავახეთის ადგილობრივი საზოგადოების, ადმინისტრაციის, სასულიერო პირებისა და ჩვენი მთხრობელების მიმართ გულთბილი მასპინძლობისა და საველე კვლევის დროს აღმოჩენილი დახმარებისთვის. განსაკუთრებით მადლობელნი ვართ თემურ ხოსიტაშვილის, ნელი ზედგინიძის, გიორგი ნათენაძის, ჯემალ დათაშვილის, გიორგი მურადაშვილის, ვარდან სუქიასიანის, არმინე აკოფიანის, ლენა მელიქიძე-ასპანიძის, დურმიშხან ასპანიძისა და, აგრეთვე, ფოცხოვისა და ჩრდილის მოსახლეობისა თურქეთში.

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, როგორც თანადამფინანსებელი ორგანიზაციის მიმართ, რომლის ძალისხმევითაც განხორციე-

ლდა წინამდებარე პუბლიკაცია.

ნაშრომში გამოყენებულია 2022 წლის ექსპედიციის (რ. გუჯეჯიანი, ქ. ხუციშვილი, მ. ხოსიტაშვილი), 2015 წლის ექსპედიციის (რ. გუჯეჯიანი, გ. ავთანდილაშვილი, ს. სარიშვილი, გ. მაღრაძე), გიორგი მაღრაძისა და გიორგი მურადაშვილის მიერ სხვადასხვა წლებში გადაღებული ფოტოები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული რუკა.

ნაშრომი განკუთვნილია სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისა და დაინტერესებული საზოგადოების ფართო წრისთვის.

# საზღვრის კვლევის თეორიული ასპექტები

საზღვრები, როგორც საზოგადოების სივრცითი ორგანიზირების საშუალება, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო კაცობრიობისათვის, თუმცა, საზღვრების კვლევების სპეციალურ სამეცნიერო მიმართულებად ფორმირება შედარებით ახალი ფაქტია და ამ საკითხისადმი ინტერესი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც მეცნიერებმა გააცნობიერეს საზღვრების წინააღმდეგობრივი ბუნება და მათი გავლენა საზოგადოებების არა მხოლოდ სივრცობრივ-გეოგრაფიულ, არამედ მნიშვნელობით-იერარქიულ ორგანიზაციაზეც.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, გლობალური ეკონომიკის არასტაბილურობამ და ტერორიზმთან დაკავშირებულმა უსაფრთხოების პრობლემებმა, კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შესძინა საზღვრების კვლევას.

თანამედროვე მიდგომებით საზღვრები, ერთი მხრივ, განიხილება, როგორც გეოპოლოტიკური დაყოფის ინსტრუმენტი, თუმცა სახელმწიფოთაშორისი საზღვრების გარდა, დღეს სამეცნიერო ინტერესის სფეროშია მოქცეული კულტურული, სიმბოლური და სხვადასხვა ტიპის სოციალური საზღვრები. საზღვრები სულ უფრო ხშირად განიხილება იდენტობისა და ყოველდღიურობის დისკურსში. სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი კითხვები უკავშირდება საზღვრების მნიშვნელობის ცვლილებას, ეკონომიკური კავშირების არსებობა-არარსებობას და მის რეგიონალურ განვითარებაზე გავლენას, ყოველდღიური ყოფისა და იდენტობის მიმართებას სასაზღვრო ზონაში და სხვ. ეს და საზღვრების კვლევასთან დაკავშირებული სხვა საკითხები კომპარატივისტული ისტორიული, ეთნოგრაფულ-ანთროპოლოგიური, სოციოლოგიური და გეოგრაფიული პერსპექტივით შეიძლება გაანალიზდეს.

საზღვრები ფუნდამენტური სოციალური ფენომენია, რომელიც საკმაოდ წინააღმდეგობრივია ბევრი თვალსაზრისით. მათი ანალიზი შესაძლებელია განგრძობითობისა და დისკრეტულობის პარადოქსის გათვალისწინებით. დისკრეტულობა გულისხმობს საზღვრების რეალურად არსებობას. იმის აღიარებას, რომ მათი მეშვეობით ხდება სივრცის სტრუქტურირება. ამავდროულად საზღვრების განგრძობითობის (მუდმივად ქმნადობის პროცესში არსებულის) აღიარება უარყოფს მათ ობიექტურ არსებობას და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მათი იდენტიფიცირება.

საზღვრებისა და სასაზღვრო ზონების გაგების ამბივალენტურობიდან და მათი ჰიბრიდულობიდან გამომდინარე საკმაოდ პრობლემურია საზღვრების რომელიმე ჰომოგენური სოციალური თეორიის ფარგლებში კვლევა. ამასთან, პირველადი ამოცანა სივრცის, ადგილის და ტერიტორიის გაგების ანალიზია, სწორედ ამ ცნებათა სოციალური მნიშვნელობების ახსნა მოგვცემს საშუალებას გაანალიზდეს საზღვარი როგორც სივრცის სოციალურ ადგილად - კონკრეტულ სივრცედ ქცევის იარაღი.

ტრადიციული სახელწიფოთაშორისი საზღვრების კვლევიდან სამეცნიერო ინტერესმა თანდათანობით გადაინაცვლა ეთნო-კულტურული არეების კვლევისკენ, სხვადასხვა სოციო-სივრცითი და გეოგრაფიული მასშტაბებით, ლოკალურიდან და მუნიციპალურიდან, გლობალურ, რეგიონალურ და ზესახელმწიფოებრივ დონეებამდე. საინტერესო გახდა “არმატერილური”, წარმოსახვითი თუ სიმბოლური საზღვრების კვლევა, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და რელიგიური საზღვრების დადგენა, ადამიანთა საზოგადოებებზე მათი რეალური თუ უხილავი გავლენების ანალიზი. ამათან საზღვრები აღარ აღიქმება, როგორც სტატიკური წრფეები თუ მონაკვეთები, არამედ ისინი წარმოიდგინება ინსტიტუციებად, პროცესებად და სიმბოლოებად. ამ პერსპექტივით ისინი დაკავშირებულია ერთი მხრივ ტერიტორიული კონტროლის, უსაფრთხოების, სუვერენულობის, ძალუფლებითი ურთიერთობების, და მეორე მხრივ ყოველდღიურობის, სოციალური სადემარკაციო ხაზების, იდენტობის კონსტრუქციის საკითხებთან. ჩნდება კითხვა თუ რა მიმართებაშია საზღვრების რეკონფიგურაცია და ცვლილება, სოციო-კულტურული იდენტობისა და ყოფის რეკონსტრუქციასთან; არის თუ არა ეთნიკური თუ კულტურული იდენტობების ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებული; რა გავლენა აქვს ყოველდღიურობაზე საზღვრის გადაღმა მობილობის შეზღუდვას, ნაწილობრივ ან სრულ აღკვეთას.

საზღვრები ზოგადად განიხილება, როგორც გეოპოლიტიკური და ყოფის ინსტრუმენტი, თუმცა, სახელმწიფოთაშორისი საზღვრების გარდა, დღეს სამეცნიერო ინტერესის სფეროშია მოქცეული კულტურული, სიმბოლური და სხვადასხვა ტიპის სოციალური საზღვრები. საზღვრები სულ უფრო ხშირად უკავშირდება იდენტობისა და ყოველდღიურობის დისკურსს. მეცნიერებისთვის მეტად საინტერესოა შე-

მდეგი კითხვები: რა არის საზღვარი და სასაზღვრო ტერიტორიები? როგორ წარმოიქმნება ისინი? ქმნიან თუ არა საზღვრები სპეციფიკური ტიპის კულტურას? რა გავლენა აქვთ მათ ადამიანთა ყოფაზე? როგორ აღიქმევიან სასაზღვრო ზონაში მცხოვრები ჯგუფები ინდივიდების, სახელმწიფოების მხრიდან? როგორ ხდება კოოპერაცია საზღვრებს გადაღმა? საზღვრები ადამიანებისა და საგნებისთვის სტატუსებისა და ფუნქციების მინიჭება-დანუსების ფორმაა, რითიც იგი ცვლის ამ პროცესში ჩართული ობიექტების აღქმას, მათი ნორმატიული პრეტენზიების, ტელეოლოგიებისა და დაშვებების ქსელში ჩართვით.

დღეს საზღვრების კვლევები ასახავს სამეცნიერო აზრის განვითარებასა და ცვლილებას XIX საუკუნიდან და ასევე სოციალური სივრცის კონცეპტუალიზაციის პროცესში მიღებულ ანალიტიკურ შედეგებს. როგორც უკვე აღნიშნეთ საზღვრების კვლევისას არ შეიძლება არსებობდეს ერთი წამყვანი თეორია, იმდენად მრავალასპექტიანია თავად კვლევის საგანი. ერთი მხრივ, კვლევის ინტერესშია სივრცე, რომელიც აბსტრაქტული და აბსოლუტურია, და მეორე მხრივ ამ სივრცის “ფიქსირება” ხდება საზღვრებით, სწორედ ისინი ააქტიურებენ სივრცეს, როგორც ათვისებულ და გასაგებ სოციალურ ადგილებს.

სივრცის ანთროპოლოგიური კვლევა ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი მიმართულებაა. პირველ ყოვლისა ნებისმიერი კულტურა სივრცეში (დროსთან ერთად) ჩნდება და არსებობს. ამდენად კულტურის კვლევა გულისხმობს სივრცეში მისი განფენილობის, სივრცესთან კავშირის, სივრცის ორგანიზებისა და კულტურული ღირებულების საკითხების გარკვევასაც. დედამიწაზე სივრცობრიობა რეალიზდება როგორც გეოკოსმიური და ლანდშაფტური, გეოგრაფიული რეალობა, რომელსაც განსაკუთრებული მოცულობა, მოედანი და მრავალფეროვნება ახასიათებს. ეს განსაკუთრებით კულტურებთან მიმართებაშია მნიშვნელოვანი, რადგან როგორც ითქვა ისინი კონკრეტულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში ჩნდებიან, ვითარდებიან და არსებობენ. კულტურული მრავალფეროვნება ხშირად გეოგრაფიული გარემოთიც არის განპირობებული. ისტორიულად ცნობილია სხვადასვა ტიპის კულტურები: საზღვაო, სამდინარო, მთური, სტეპების და ა.შ. გეოგრაფიულის გარდა ძალიან მნიშვნელოვანია ასევე სოციალური სივრცე, რაც სხვადასხვა ტიპის კომპლექსურად ორგანიზებული ურთიერთობების არსებობას გულისხმობს. სოციალურ სი-



ვრცეში მიმდინარეობს ადამიანთა ცხოვრება. სოციალური სივრცე პარაქტიკულად ყოველთვის სოციოკულტურულია არსით. კულტურა აყალიბებს და ცვლის სივრცეებს, რომლებიც სავალდებულოდ არ ემთხვევიან ფიზიკურ-კოსმიურ, ფიზიკურ-გეოგრაფიულ თუ სოციალურ სივრცეებს. სივრცეს არა აქვს მხოლოდ გარეგნული (მატერიალური) კონტურები თუ ჩარჩოები, იგი სოციუმისა და პიროვნების სულიერ სამყაროშიცაა განფენილი. ეს სივრცობრივი პლასტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ იგი ზემოქმედებს, რომ არ ვთქვათ განაპირობებს ადამიანთა ქცევის მოტივაციებს.

კულტურული სივრცე ურთიერთქმედებაშია გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეთნიკურ, ლინგვისტურ და ინფორმაციულ სივრცეებთან. თითოეულს საკუთარი სპეციფიკა გააჩნია, კონფიგურაციასა და არქიტექტონიკასთან ერთად. ასევე სპეციფიკურია მათი ტრანსლაციისა და ცვლილებათა დინამიკის ხერხები. კულტურული სივრცე ეს არის ის ველი, რომელიც ჩნდება კულტურული ღირებულებების ურთიერთქმედების და ზემოქმედების წყალობით. კულტურის ღირებულებები, როგორც ადამიანთა სპეციფიკური ურთიერთობები, განსხვავდება და საგნობრივი ხდება სხვადასხვა მატარებელში, რომელთა წყალობითაც იქმნება თავისებური (უნიკალური) სულიერი ატმოსფერო. კულტურული ღირებულებები სივრცეში კონცენტრირდება და ამით განაპირობებს კულტურის არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ კულტურა ყველგან შეიძლება გავრცელდეს, იგი ლოკალიზდება ე.წ. კულტურულ ცენტრებში. ამასთან, კულტურული სივრცეები თანაარსებობს და შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე სივრცე ფარავდეს ერთმანეთს. კულტურულ სივრცეში არსებობს და ყალიბდება ეთნიკური კულტურა. კულტურული სივრცე, ერთი მხრივ, იძლევა საშუალებას ერთიან სივრცეში მოაქციოს შედარებით მცირე სივრცეები და გააერთიანოს, მეორე მხრივ, შესაძლებელია სწორედ შედარებით მცირე სივრცეებმა არ მისცენ ერთმანეთს გაერთიანების საშუალება (Теория культуры 2008: 436–8). ყველა კულტურული სივრცე მეტნაკლებად პლურალისტურია. ასეთია ქართული კულტურული სივრცეც, რომელიც, თავის მხრივ, შედარებით მცირე სივრცეებს მოიცავს. ეს სივრცობრივი მრავლობითობა ვლინდება კულტურის სხვადასხვა ელემენტებში (მაგ. ენაში ერთი ენის შიგნით დიალექტების, ჟარგონის და ა.შ. არსებობა და სხვ.). კულტურული სივრცე ითავსებს ისტორიულ მემკვიდრეობითობას, უწყვეტობასა და დისკრეტულობას.



მრავალფეროვნების მიუხედავად იგი ინარჩუნებს საერთო კონფიგურაციას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ რადიკალური მიდგომები, იქნება ეს უნიფიკაციის მცდელობა, თუ იზოლაციონიზმი, თანაბრად დამლუპველი შეიძლება გახდეს კულტურული სივრცისათვის, რადგან ბუნებრივი მდგომარეობა ურიერთსაწინააღმდეგო პოლუსების შემცველობას გულისხმობს (Теория культуры: 2008: 440).

ანთროპოლოგიაში სივრცე კულტურის განზომილებად განიხილება. აღიარებულია, რომ სივრცე კულტურის მიერ არის დეტერმინირებული და იგი მნიშვნელობას სოციალური დინამიკის პირობებში იძენს. ამ მიმართულებით თეორიული კვლევები ბოლო დროის შედეგია, თუმცა, კლასიკურ ანთროპოლოგიურ ნაშრომებში ყველგან გვხვდება სივრცის ემიკური აღქმების ანალიზი.

სივრცე, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, შემდეგნაირად დიფერენცირდება:

- ლოკალური სივრცე – ეს არის კონკრეტული გეოგრაფიული სივრცე, თავისი ტოპონიმიკითა და საზღვრებით;
- უტოპიური ლოკალური სივრცე – ეს არის წარმოსახვითი, არაგეოგრაფიული სივრცე, თუმცა ასევე თავისი ტოპონიმიკითა და საზღვრებით;
- ადგილი – კონკრეტული სოციალური ჯგუფის მიერ სოციალური ინტერაქციისთვის გამოყენებული სივრცე;
- წარმოსახვითი ადგილი – სივრცე, რომლის წარსული და მომავალი მნიშვნელობების გამოყენება ხდება ჯგუფის მხრიდან;
- ტერიტორია – ეს არის ადგილი, რომელზეც საკუთრების უფლება აქვს გაცხადებული ჯგუფს;
- წარმოსახვითი ტერიტორია – ადგილი, რომელზეც კონკრეტული ჯგუფის მხრიდან საკუთრების უფლება არსებობდა წარსულში ან გაცხადებულია, რომ იარსებებს მომავალში (Haller 2005: 125-133).

რასაკვირველია სივრცის ასეთი დიფერენცირება პირობითია და არ არის სავალდებულოდ მართებული ყველა კულტურისათვის. თუმცა, საოპერაციოდ საკმაოდ მოსახერხებელია. აქვე უნდა აღინიშნოს სხვა ტიპის დიფერენციაციებიც, კერძოდ – ადგილსა და ეთნიკურ-კულტურულ მახასიათებლებზე ორიენტირებული სივრცობრივი იდენტობა და ისტორიულ ტერიტორიებზე ორიენტირებული სივრცო-

ბრივი იდენტობა; ასევე ლოკალური, რეგიონალური, ნაციონალური და გლობალური სივრცეები, რომელთაც უკავშირდება ტერიტორიალიზაცია, დეტერიტორიალიზაცია-რეტერიტორიალიზაციის, შესაბამისად კი ძალაუფლების საკითხები.

სივრცის კულტურული დატვირთვის კვლევისას ყურადღების გამახვილება იმაზეც არის საჭირო, რომ ადამიანები გარემომცველ სამყაროს ვერბალური კატეგორიებით აღიქვამენ და ყველა კულტურაში სივრცის მოწესრიგება სიმბოლური ნიშნებით – ამ სივრცეში განლაგებული ობიექტებით ხორციელდება. ლინგვისტური კატეგორიებით ხდება ხილული კონტინუუმის დაყოფა გააზრებულ ობიექტებად და სუბექტებად, რომლებიც სხვადასხვა როლს ასრულებენ ამ სივრცეში. ამავე დროს იგივე კატეგორიებით ხდება ამ ელემენტების დაკავშირება ერთმანეთთან. ასეთი ორმაგი სიმბოლური ფუნქცია ეკისრება ვერბალურ ქცევასთან ერთად არავერბალურ ქცევასაც. ამასთან, სიმბოლოებსა და ნიშნებს დატვირთვა მხოლოდ სხვა სიმბოლოებთან და ნიშნებთან მიმართებაში გააჩნია და კონტექსტის გარეშე სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობებს იძენენ (Лих 2001: 44).

ცალკე მიმართულებაა საზღვრების კვლევა. ამ შემთხვევაში სივრცობრივ საზღვრებზე გავამახვილებთ ყურადღებას და ავლნიშნავთ, რომ საზღვრების არსებობა გარკვეულ დაძაბულობას სწორედ სივრცობრივი დაყოფისას იმიტომ შეიცავს, რომ ბუნებრივად გაუყოფელის გაყოფა-შემოსაზღვრას მიმართავს. იგივე პრობლემა ჩნდება როდესაც სიმბოლოების ან ქმედებების ერთი კლასს მეორისაგან გამოყოფით ადამიანები ხელოვნურ საზღვრებს წარმოქმნიან. სოციალური სივრცის სეგმენტირებისას იგივე მიზეზების გამო აუცილებელი ხდება გარკვეული რიტუალების შესრულება სოციალური საზღვრების გადალახვისათვის. სოციალური სივრცის საკითხი წამოიჭრება საკრალური და საერო ადგილების ერთმანეთისგან განსხვავებისას. ამ დროს საზღვარი სივრცეს ყოფს ორ ერთგვაროვან სოციალურ ზონად, რომლებიც ჩვეულებრივი, გარკვეული, ცენტრალური და საეროა, ხოლო თვით სივრცობრივი მარკერები რომლებიც საზღვრებად გვევლინებიან, ანუ სოციალურ ზონებს გამოყოფენ, არის – არაჩვეულებრივი, ორაზროვანი, განაპირა, წმინდა, რადგან არასოდეს არის სრულიად ნათელი კერძოდ სად გადის ზღვარი ორ ერთგვაროვანს შორის, ამიტომ მათ შორის გარკვეული დაფარვის

არე ამ ბუნდოვანების გამო ხდება ტაბუირებული და შესაბამისად მოსაფრთხილებელი.

კულტურულ სივრცეში შედის მშობლიური ადგილები და ძეგლები, ასევე გრძნობა „ნათესაური“ ახლობლობისა იმათ მიმართ ვინც სახლობს ამ ტერიტორიაზე. „სახლთან“ კავშირის განყვეტა, სულიერი მონყვეტილობა, მიუსაფრობის გრძნობას ბადებს. ამ თვალსაზრისით კულტურული სივრცე იყოფა სხვადასხვა ტიპად. შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე ტიპის მახასიათებლები თანაარსებობდნენ, რომელიღაც ერთის უპირატესობით. მიუხედავად სხვადასხვა ფორმების არსებობისა, ცხადია, რომ ადამიანი და ადამიანთა საზოგადოება კულტურული სივრცის გარეშე და მასთან მჭიდრო კავშირების გარეშე ვერ ფუნქციონირებს. ამასთან, კულტურული სივრცე დინამიურია, ცვალებადია (Теория культуры: 2008, 451). მთელ რიგ კულტურებში, განსაკუთრებით კი ბინადარ სამეურნეო კულტურებში, კულტურულ სივრცესთან მიჯაჭვულობა პირდაპირ პროპორციულია ტერიტორიულ-გეოგრაფიულ სივრცესთან მიჯაჭვულობისა. ამ ქრილში განსაკუთრებით საინტერესოა ადამიანთა ადგილმონაცვლეობა და მასთან დაკავშირებული კულტურული ტრანსფორმაციები რამდენადაა დაკავშირებული გეოგრაფიული სივრცის ცვლილებასთან. ადგილმონაცვლეობის სხვადასხვა მიზეზები და მიმართულებები შეიძლება არსებობდეს. საკმაოდ პრობლემატური საკითხია იძულებით ადგილმონაცვლეობა ერთი კულტურული სივრცის შიგნით. ეს არის მტკივნეული პროცესი, არა მხოლოდ პიროვნული ადაპტაციის არამედ ჯგუფური, კულტურული ადაპტაციის თვალსაზრისითაც. იძულებით გადაადგილება იწვევს გაურკვევლობას როგორც ცალკეული ინდივიდების, ასევე ჯგუფებისა და ერებისაგის. ეს შეიძლება გახდეს მიზეზი რეგიონული მასშტაბით ცვლილებებისა და სიძნელებისთვის, განსაკუთრებით კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში. ლაბკემანის (Lubkemann 2010) მიხედვით ემპირიულად ყველაზე პროქდექტიულია კვლევები რომლებიც ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ იძულებით გადაადგილება არის პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს სოციალური ტრანსფორმაციის სხვა ძირითად პროცესებზეც. ტრანსფორმაციის პროცესი განსხვავებული ტემპებით მუდმივად მიმდინარეობს ყველა საზოგადოებაში. კულტურა და სოციუმი ვარიაბელური მოცემულობებია და მათი თითოეული ელემენტი დროთა ვითარებაში სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმე-

დებით კომპონენტური ცვლილებების პროცესშია. იგივე უხეხა ადამიანისა და ჯგუფის მიერ იდენტობის განსაზღვრასაც. იდენტობის მრავალი დონის არსებობა (იქნება ეს სქესობრივი, ასაკობრივი, სოციალური, ეთნიკური, კულტურული და ა.შ.) და ამ დონეებზე შიდა და გარე ფაქტორების გავლენები საკმაოდ მრავალნაზნაგოვან სურათს იძლევა. ამასთან, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესები ზემოქმედებენ კულტურებსა და საზოგადოებებზე და დგება კულტურული განსხვავებულობის, სუბკულტურის, კონტრკულტურის, მულტიკულტურალიზმის, ეთნოცენტრიზმის, გლობალური კულტურის არსებობის პრობლემები, რაც ათასწლეულების მიჯნაზე ინდუსტრიული საზოგადოების ეპოქის ე.წ. ინფორმაციული ეპოქით ჩანაცვლების საკმაოდ წინააღმდეგობრივ პროცესსაც უკავშირდება. კულტურული სტანდარტიზაციის საფრთხის გაცნობიერების გამო იზრდება ეთნიკური იდენტობის მნიშვნელობა (Eriksen: 1993: 2). მასობრივი კულტურის საზოგადოებაში ადამიანი თავისუფალი არჩევანის წინაშეა. ასეთ დროს ხშირია იდენტობის ცვლა. მართალია, იდენტობის ძიების ეს სირთულე ხშირად ინდივიდუალურ პრობლემად განიხილება, მაგრამ იგი არაა ფსიქოლოგიური ხასიათის და მოდერნისტული საზოგადოების “რელატივიზმს” უკავშირდება, როცა ინდივიდები კარგავენ ტრადიციით განპირობებულ უსაფრთხოებისა და გარკვეულობის გრძნობას (Macionis 1995 651). მსოფლმხედველობის ელემენტებში ცვლილებები იჩენს თავს. ხდება ტრადიციების, როგორც მყარი ხასიათის მქონე, გარკვეულ სტერეოტიპებში და ქცევის წესებში გამოხატული საერთო კულტურული გამოცდილების გადაფასება. ლეგიტიმიზებული თან ერთად ჩნდება რეზისტანტული და პროექციული იდენტობები. განსაკუთრებით პრობლემატურია ეთნოკულტურული იდენტობის საკითხი ისეთ საზოგადოებებში, სადაც კულტურული დიფერენციაცია დიდია, ასევე გარდამავალ ან ღია კონფლიქტის მქონე საზოგადოებებში, სადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მანამდე დადგენილი იდენტობები.

შესაბამისად, საზღვრების შესწავლა ოფიციალური სახელმწიფო საზღვრებისა და ეთნო-კულტურული ტერიტორიების დომინირებული კვლევიდან გადადის საზღვრების სხვადასხვა სოციალურ-სივრცითი და გეოგრაფიული მასშტაბით კვლევაზე ადგილობრივ, მუნიციპალურ, გლობალურ, რეგიონულ და სახელმწიფო დონეზე. საზღვრების კვლევა იქცა სამეცნიერო სფეროდ, რომელიც გულისხმობს

სხვადასხვა დისციპლინარული მიდგომების გამოყენებას, იქნება ეს პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ისტორია, საერთაშორისო სამართალი, ხელოვნება, მედიის კვლევები, ფილოსოფია თუ ეთიკა. შეიძლება ითქვას, რომ საზღვრების ანალიზს ამ დისციპლინურმა მრავალმხრივობამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა გეოგრაფიული, ფიზიკური და მატერიალური საზღვრების ფიქსირებულიად განხილვა; თანაბრად მნიშვნელოვანი გახდა კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და რელიგიური საზღვრები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უჩინარნი არიან, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ადამიანისა და საზოგადოების ორგანიზების წესზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასაზღვრო კვლევების განვითარების მიმდინარე პერიოდი გამოირჩევა სამეცნიერო ცენტრების, სასწავლო ჯგუფებისა და საერთაშორისო კონფერენციების სიმრავლით, აგრეთვე მრავალი წიგნისა და ატლასის გამოქვეყნებით. ამავდროულად, ამ სფეროში იქმნება საერთაშორისო ინსტიტუციონალური სტრუქტურები, მაგალითად დაფუძნდა საზღვრების კვლევის ჟურნალი, ფინეთში დაფუძნდა სასაზღვრო კვლევათა ასოციაციას (ABS) და შეიქმნა არაფორმალური ჯგუფი - სასაზღვრო რეგიონები გარდამავალ ქსელში (BRIT), რომელმაც უკვე ჩაატარა 12 საერთაშორისო კონფერენცია და ისეთი მსხვილი პროექტები, როგორიცაა ევროპული ჩარჩო პროგრამების მხარდაჭერა.

საზღვრების კვლევების მზარდი განვითარება ნაწილობრივ შეიძლება განპირობებული იყოს 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში გლობალიზაციის დისკურსების ანტი-ნარატივების წარმოქმნით. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ძლიერი იყო დისკურსი "უსაზღვრო მსოფლიოს" შესახებ, რომ გლობალური ტექნოლოგიები, კიბერსივრცე, კაპიტალის ნაკადები, აღმოსავლეთ-დასავლეთის პოლიტიკური დაახლოება და სახელმწიფოთაშორისი ინტეგრაცია პოლიტიკურ საზღვრებს მოაძველებს. თუმცა, შესაძლოა ბედის ირონიით, გლობალიზაციამ ხელი შეუწყო კვლევის პერსპექტივებს, რომლებშიც საზღვრები ყველგან მნიშვნელოვანი გახდა, თანაც საზღვრები არა ყოველთვის თვალსაჩინო, თუმცა, ყოველთვის მკაფიო სოციალური გავლენის მქონე.

მიმდინარე დებატები ეჭვქვეშ აყენებს საზღვრების ყოველდღიური შექმნის საფუძვლების გაგებას, საზღვრები განიხილება როგორც ინსტიტუტების, პროცესებისა და სიმბოლოების ერთობლიობა. ამრი-

გად, საზღვრები არ არის მოცემული, ისინი წარმოიქმნება საზღვრის შექმნის ან საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მეშვეობით.

თანამედროვე დებატების ძირითადი კითხვაა: რა კავშირშია ერთმანეთთან საზღვრის შექმნის ფორმალური (მაგ. სახელმწიფო) და არაფორმალური (სოციალური) პროცესები? საზღვრები მუდმივად რეპროდუცირდება, როგორც სივრცე-საზოგადოების ურთიერთობების გამოვლენა, რასაც ორი ასპექტი ახასიათებს: პირველი ესაა ტერიტორიული კონტროლის, უსაფრთხოების და სუვერენიტეტის იდეებით ნასაზრდოები სახელმწიფო საზღვრების კონფიგურაციის განვითარებადი პროცესი და მეორე ასპექტია საზღვრების განუყოფელი კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ძალაუფლებით ურთიერთობებსა და სოციალურ კონსტრუქტებთან. ამ მრავალფეროვნების გამო, არ არსებობს ერთიანი თეორია საზღვრების შესახებ. მკვლევრები ძირითადად ცდილობენ შეიმუშაონ ტრანსდისციპლინარული კონცეპტუალური ჩარჩოები.

საზღვრების შესწავლა ტრადიციულად ხასიათდება სახელმწიფოებთან და ტერიტორიებთან მიმართების დაფიქსირებით და მოსაზრებით, რომ საზღვრები არის პოლიტიკური, სოციალური და / ან ეკონომიკური პროცესების ფიზიკური შედეგები. ამ გზით დანახული სამყარო ნაწილდება სახელმწიფო ერთეულებად და ტერიტორიებად, რომლის მახასიათებელიცაა სიმყარე. თანამედროვე საზღვრების კვლევებში მიმდინარე დებატები აშკარად ასახავს სივრცული სიმყარისგან ზოგად გადახრას. ამ მიდგომის მიხედვით საზღვრები უკავშირდება და/ან იყოფა გარდამავალი სივრცეებით, სადაც გამაერთიანებელი ატრიბუტებისა და მახასიათებლების კონკრეტული ნაკრებები თანდათანობით იცვლება. პოლიტიკური საზღვრები იშვიათად ემთხვევა ეთნიკურ, ენობრივ და კულტურულ საზღვრებს. ამ გზით, მსოფლიო პოლიტიკური რუკა, მეტწილად წარმოადგენს პოლიტიკური ელიტების წარმოდგენას, რადგან ბევრი ადამიანი არ ცნობს ან არ ასოცირდება თავს ამ ფიქსირებულ ერთეულებთან (Houtum van 2005).

სივრცის სოციალური კონსტრუქციის თეორიებმა ზოგადად ხელი შეუწყო ადამიანის გეოგრაფიაში ანალიტიკური მიდგომების ღრმა გარდაქმნას, მათ შორის ეგრეთ წოდებული კრიტიკული გეოპოლიტიკის წარმოქმნას (Dalby and Ó Tuathail, 1998; Dijkink 1996). საზოგა-



დოების მიერ საზღვრები შეიძლება ზოგადად განისაზღვროს, როგორც განსხვავების კატეგორიები, რომლებიც მიჯნავენ სოციალურ და სივრცულ სფეროებს ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის. გარდა ამისა, ამ კონსტრუქტივისტული მიდგომის საინინაალმდეგოდ გაჩნდა, მიდგომა, რომელიც საზღვრებს გაიაზრებს, როგორც რალაც მუდმივად "წარმოებულს" (იხ. Van Houtum and Naerssen, 2002; Newman, 2011; Scott, 2011).

პერსპექტივა საზღვრების კრიტიკულ გადაფასებას გულისხმობს. ასევე აღიარებულია ფორმალური და არაფორმალური საზღვრების ფსიქოლოგიურ მნიშვნელობა. როგორც მაგალითად ანრი ლეფე-ვრმა (Lefebvre 1972) აჩვენა, სოციალური როლი, სივრცის აღქმა და გამოყენება უეჭველად უკავშირდება სოციალურ ურთიერთობებს, რომლებიც არსებითად პოლიტიკურია და მუდმივად მიმდინარეობს. საზღვარი, როგორც სოციალურ-სივრცითი პრაქტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ტერიტორიულობისა და პოლიტიკური რუკების ჩამოყალიბებაში - ყველა სოციალურ და რეგიონალურ ჯგუფს აქვს საკუთარი ტერიტორიისა და საზღვრების სურათი.

საზღვრების კვლევის ერთ - ერთი ცენტრალურ ასპექტს წარმოადგენს სახელმწიფო ტერიტორიულობის საკითხი. სასაზღვრო კვლევები სათავეს იღებს ისტორიული და კულტურული დეტერმინიზმის ტრადიციებში (იხ. Ratzel 1897), რომლებიც შთაგონებულია ჰერდერის, ჰეგელის, დარვინის, ფიხტესა და სხვათა სპეციფიკური ინტერპრეტაციებით, სახელმწიფოები და მათი საზღვრები გაგებული იყო როგორც ისტორიული აუცილებლობის ან / და „ღვთის ნების“ გამოხატვა.

დღესაც თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოები ეფექტური სოციალური ორგანიზაციის უმაღლეს ფორმადაა განხილული მსოფლიო სისტემაში და რჩებიან პოლიტიკური, კულტურული და სოციალური იდენტობის მთავარ წყაროდ. სახელმწიფოზე ორიენტირებული ტრადიცია საზღვრის კვლევაში გრძელდება ისტორიული გამოცდილების შედეგად, რომელიც განმტკიცებულია მიმდინარე მოვლენებით. ცივი ომის შემდგომი ევროპის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელი, რომელიც დაემთხვა „საზღვრების გაქრობის“ დისკურსების გავრცელებას და ნაციონალური სახელმწიფოს დაცემას, ეს იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპაში ეროვნული თვითგამორკვევისკენ სწრაფვა. დე-ფაქტო ან/და დე-იურე სუვერენიტეტისკენ მიდრეკილებამ შექმნა ახალი საზღვრები და დიდი დარტყმა მიაყენა

მრავალეროვან ფედერაციებს, როგორც იყო იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია და საბჭოთა კავშირი, რასაც თან მოჰყვა ომები და ეთნიკური წმენდები. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის პროცესები ართულებს სურათს, საზღვრების უწყვეტი (ხელახალი) მშენებლობა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმებისა და ერის მშენებლობის პროცესების საფუძველზე კვლავ რჩება საზღვრის კვლევების მთავარ პრობლემად. როგორც პაასი ამტკიცებს საზღვრების გაგება თავისთავად წარმოადგენს სახელმწიფოების ფუნქციონირების გაგებას და, შესაბამისად საზღვრების გამოყენება შეიძლება ტერიტორიის, უსაფრთხოების, იდენტობის, ემოციებისა და მეხსიერების მობილიზებისთვის (Paas 2012: 2307).

უფრო ტრადიციული გაგებით, საზღვრები სუვერენიტეტის ნიშანია და, შესაბამისად, მოქმედებს როგორც ინსტიტუტები, რომლებიც ქვეყნებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ და მართონ თავიანთი ადამიანური, ეკონომიკური, ბუნებრივი და სხვა რესურსები და მოითხოვონ განსაკუთრებული უფლებები. ამ მხრივ კლასიკური გამოკვლევები ეკუთვნთ რატცელს (Ratzel 1897), ჰართშორნს (Hartshorne 1933), ლადის კრისტოფს (Kristof 1959) და ჯულიან მინგის (Julian Minghi 1963).

საზღვრებსა და ეროვნულ სუვერენიტეტს შორის მიმართება მნიშვნელოვან საკითხად რჩება, რადგან ეს თანამედროვე გეოპოლიტიკური წესრიგის საფუძველია. სუვერენიტეტი ითვალისწინებს და ამართლებს ტერიტორიის, იდენტობისა და პოლიტიკურ საზოგადოებას შორის მიმართებას, ხოლო სუვერენიტეტის, უსაფრთხოების და იდენტობის შესახებ დისკურსი ემყარება ტერიტორიულ სახელმწიფოს იდეას (Agnew, 2001).

სახელმწიფოსა და სოციალურ საზღვრებს შორის ძლიერი კავშირი არსებობს. სუვერენიტეტი არ არის მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურის საკითხი, საზღვრების სამართლებრივი სტატუსი და ფუნქციები ასევე წარმოადგენს ძალაუფლებითი ურთიერთობის პროდუქტს, რომელიც მოქმედებს მოცემულ საზოგადოებაში და, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე. საზღვრის შექმნის ტრადიციული პროცესები (მაგ. დელიმიტაცია, დემარკაცია, მართვა, კონტროლი) მეტწილად სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციებია, ამასთან ესაა ძალა საზოგადოების გარკვეულ ეთნიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ ჯგუფებში სტრატეგიც-



რებისა. შედეგად, კრიტერიუმების ან კატეგორიების განსაზღვრის საფუძველზე, სოციალურ-სივრცითი საზღვრების გამოყოფა წარმოადგენს საზოგადოების მოწყობის მთავარ ფაქტორს. ამრიგად, საზღვრების გამტარიანობა, ისევე როგორც ფიზიკური და სიმბოლური მნიშვნელობა განსხვავებულია სხვადასხვა ადამიანისთვის. ძალაუფლების მქონე ელიტა წყვეტს როდის და ვის ინტერესებშია საზღვრების დადება და შექმნა, როდის და როგორ უნდა გახსნან საზღვრები. ძალაუფლების მქონე ელიტა ასევე განსაზღვრავს რამდენად მკაცრი იქნება მენეჯმენტი და საზღვრების გადაკვეთა, რა დოკუმენტებია საჭირო გადაკვეთის პროცესისთვის - იქნება ეს პასპორტი თუ ვიზა.

სახელმწიფო და სოციალურ საზღვრებს შორის კავშირი აშკარაა ბევრ სიტუაციაში, როდესაც საზღვრები, როგორც ტერიტორიული, ისე სიმბოლური გაგებით, ურთიერთსაწინააღმდეგო პრეტენზიების ობიექტია. საზღვრების გაჩენისა და დელიმიტაციის შესახებ განსხვავებული შეხედულებები სერიოზული დაბრკოლებაა თანამშრომლობისა და ტრანსსასაზღვრო გადაადგილებისთვის. სასაზღვრო კონფლიქტები დაკავშირებულია საერთო ისტორიის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციასთან, ძველი გამარჯვებების, დამარცხებების, რეალური ან წარმოსახვითი დანკარგისა და უსამართლობის განცდებთან. სასაზღვრო ზონები შეიძლება იყოს ეთნიკურად მშობლიური ადგილები, რეგიონები, რომლებსაც ისტორიულად იზიარებდა ორი ან მეტი ეთნიკური ან კულტურული ჯგუფი - და ყველა მათგანი მიიჩნევს, რომ ეს მათი ტერიტორიაა, რაც მუდმივი ტერიტორიული კონფლიქტის ლოკუსად იქცევა. ასეთ შემთხვევებში, საზღვრებმა შეიძლება მოახდინონ ძალადობის კატალიზაცია მათი ემოციურად დატვირთული ხასიათისა და ვიქტიმიზაციის განცდის გამო. სასაზღვრო კონფლიქტები, როგორც იდენტობის პოლიტიკა, რეპროდუცირდება ისტორიულ ნარატივებში, რომლებზეც აპელირებენ პოლიტიკური ლიდერები. ეს გამოიყენება, როგორც სოციალური მობილიზაციის სტრატეგია სხვების მუქარის წინააღმდეგ. (Yiftachel 1999: 287). შედეგად, სადავო სასაზღვრო რეგიონები ხშირად ხდებიან "მეხსიერების ადგილები" ძეგლებით, მუზეუმებით და ისტორიული ადგილებით; ისინი ეროვნული ან ეთნიკური მეხსიერების წმინდა სივრცეებად იქცევიან. ზოგიერთ შემთხვევაში, სასაზღვრო რეგიონებს შეუძლიათ შეიძინონ თეატრალიზებული სახე, რომელშიც დადგმულია წარსული

კონფლიქტის კონკრეტული ეროვნული ინტერპრეტაციები და ხაზგასმულა მეორე მხარის ბრალეულობა. ეს განსაკუთრებით შეეხება მაგალითად დემილიტარიზებული ზონის სამხრეთ კორეულ მხარეს, კვიპროსს, საზღვარს თურქეთსა და სომხეთს შორის და ბოსნიასა და ყოფილი იუგოსლავიის სხვა რესპუბლიკებს შორის. აქ საზღვრები აღიქმება, როგორც მუდმივი საფრთხე და როგორც ტერიტორიული კონფლიქტის მთავარი იდეური მამოძრავებელი (Bechev and Nicolaidis, 2010; McCall, 2013).

თანამედროვე საზღვრის მკვლევართა უმეტესობა სახელმწიფო საზღვრებს უცვლელად არ განიხილავს და არც სახელმწიფო სისტემების მიმართაა სკეპტიკურად განწყობილი. მართალია, საზღვრების შესახებ დებატებში იშვიათად უღერს, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტი აბსოლუტურია, მაგრამ ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. საზღვრების კვლევებში კონცეპტუალური განვითარების ძირითადი წყაროა თავად სახელმწიფო საზღვრების ცვალებადი ხასიათი. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნარატივი არის იდეა, რომ პოლიტიკური საზღვრები ინგრევა სახელმწიფო სუვერენიტეტის კრიზისის გამო და რომ "გლობალიზებული პოლიტიკური ავტორიტეტის" ახალი ფორმები და მსოფლიო სისტემის ქსელური ხასიათი მიუთითებს პოლიტიკური ძალაუფლების უპირატესობას სახელმწიფოსთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოზე ორიენტირება რჩება საზღვრების და მათი მნიშვნელობის კონცეპტუალიზაციის მნიშვნელოვან საშუალებად, მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს, რომ სამყარო სულ უფრო მეტად შედგება რელაციური ქსელებისგან და არა მხოლოდ ფიქსირებული სივრცეებისგან. ამრიგად, სოციალურ-სივრცითი დინამიკა განისაზღვრება უწყვეტი მოქნილობით, რაც კვანძებსა და ადგილებს შორის კავშირის საშუალებას იძლევა. გლობალური ქსელების პირობებში გადაადგილების ასეთი მოქნილობა ნაკლებად ითვალისწინებს ფიქსირებულ საზღვრებს. მაგალითად ური (Urry 1999) თვლის, რომ უნდა მოხდეს საზოგადოებათა შესწავლიდან მობილობის შესწავლისკენ ყურადღების მიპყრობა. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა უელმანის (Wellman 2001) იდეა „ქსელური ინდივიდუალიზმის“ შესახებ. ყველაზე ცნობილი მაინც მანუელ კასტელის იდეებია (Castells 1994), რომლის მიხედვითაც მსოფლიო ქსელურია. ამ თვალსაზრისით, მხოლოდ ეროვნული საზღვარი აღარ წარმოადგენს იმ ხაზს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ტე-

რიტორიას და მის ტერიტორიულ წყლებს. კომუნიკაციებისა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება ქმნის საზღვრებს სახელმწიფო ტერიტორიაზე: საერთაშორისო აეროპორტებში, სატრანსპორტო კვანძებში, სპეციალური საბაჟო ზონებისა და თავისუფალი ეკონომიკური ზონების გარშემო. ბევრ ქვეყანაში პოლიციას შეუძლია შეამონღმოს სავარაუდო არალეგალური მიგრანტების საბუთები ნებისმიერ დროს და ქვეყნის ნებისმიერ გეოგრაფიულ წერტილში. ე.ი. სასაზღვრო სივრცეები არ ემთხვევა მხოლოდ სახელმწიფოს ფიზიკურ საზღვრებს. სახელმწიფო სუვერენიტეტის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, ასევე შესაძლებელია განვასხვაოთ ტერიტორიული კონტროლის სხვადასხვა ხარისხები და ტიპები, რომლებიც შეიძლება სულაც არ შეესაბამებოდეს ტრადიციულს. მაგალითად, ტერიტორიული კონტროლი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის (იძულებითი, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური, იურიდიული ან კრიმინალური), ასევე სხვადასხვანაირი ფორმებიც (სრული ან სპორადული კონტროლი, უწყვეტი, დროებითი, სეზონური და ა.შ.). ტერიტორიული კონტროლის განხორციელება შესაძლებელია კოსმოსური ქსელებითაც (Popescu 2011). იზრდება რესურსებზე გავლენს მქონე ელიტების როლიც.

მსოფლიო ეკონომიკური სისტემა დამოკიდებულია სახელმწიფოთა შორის სივრცის დაყოფაზე, ასევე რეგიონებსა და ქალაქებს შორის სივრცეების შემოსაზღვრაც, რადგან კაპიტალი შეიძლება ვრცელდებოდეს ასეთი დარაიონების მიხედვით შექმნილ კონკურენტ იურიდიულ სივრცეებს შორის და მათი გარანტიებით. გარდა ამისა, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი არა მხოლოდ წარმოშობს, არამედ მოითხოვს ასიმეტრიულობას და სოციალურ უთანასწორობას და, შესაბამისად, პოლიტიკურ საზღვრებს. ეს საზღვრები, თავის მხრივ, წარმოუდგენელია კონკრეტული იდენტობის ლეგიტიმაციის გარეშე. როგორც ბალიბარი (Balibar 1998) აღნიშნავს, სახელმწიფო საზღვრებს ახლა სხვადასხვა ფორმა აქვს და იმდენად დიფუზური გახდა, რომ მთელი ქვეყნებიც კი შეიძლება სასაზღვრო ზონებად მოიაზრებოდნენ. პოლიტიკური საზღვრები საკმაოდ გამჭვირვალე გახდა მსხვილი ტრანსნაციონალური ორგანიზაციებისთვის, რომელთათვისაც საზღვრის გადაკვეთის ხარჯები უმნიშვნელოა, ან არც არსებობს. ამასთან, იგივე საზღვრები შეიძლება მნიშვნელოვანი დაბრკოლება იყოს ინდივიდებისთვის ან საშუალო და მცირე ადგილობრივი ბიზ-

ნებისთვის. სავარაუდოდ, გლობალიზაციამ გამოიწვია ერთი ზოგადი და მკაცრად ფიქსირებული სასაზღვრო ზოლიდან გადასვლა სხვადასხვა ჯგუფისთვის შექმნილ მრავალ ხაზზე.

სოციალურ და სახელმწიფო საზღვრებს შორის ურთიერთკავშირი, ალბათ, ყველაზე თვალსაჩინოა საზღვრის შექმნისა და პოლიტიკური და კულტურული საზღვრების თაობაზე არსებულ ადგილობრივ დისკურსებში. ოლივიე კრამში (2010) საზღვრის კვლევებში სახელმწიფოზე ორიენტირების კრიტიკოსი, ამტკიცებს, რომ საზღვრების გაგება მხოლოდ სახელმწიფოების ისტორიული წარმოშობის კუთხით, უარყოფს დროებითი სპეციფიკისა და ყოველდღიური მენტალიტეტის მნიშვნელობას სასაზღვრო კატეგორიების შექმნისას. კრამშის ვარაუდით, გეოგრაფიული აზროვნების ფესვებისკენ მიბრუნებით უნდა მოხდეს ფოკუსირება სოციალური და ტერიტორიული იდენტობის განვითარებაზე. კრამშის თანახმად, სასაზღვრო სივრცეებში ლოკალურობის განცდის გაჩენაა მნიშვნელოვანი. ე.ი. საზღვრები, არ უნდა გაანალიზდეს როგორც მხოლოდ ნაციონალიზაციის სოციალური მექანიზმები ან სახელმწიფო სივრცეების ტერიტორიული და სოციალური კონსოლიდაციის ანარეკლი.

სასაზღვრო რეგიონებში მცხოვრები ადგილობრივი საზოგადოებების შესწავლის შედეგად მიღებული პერსპექტივები შეცვლის სახელმწიფოზე ორიენტირებულ პერსპექტივას; მთავარი ინტერესი ასეთ შემთხვევაში მიმართულია სახელმწიფო საზღვრებს, ადგილობრივ თემებსა და ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკის მიმართების გააზრებისკენ. პროცესები, რომლებიც ხელს უწყობს სასაზღვრო ტერიტორიების „ფორმირებას“, სხვადასხვა დონეზე მოქმედებს და გულისხმობს დიალექტიკურ ურთიერთობას ადგილობრივ საზოგადოებებსა და საზღვრებით დადგენილ ტერიტორიულ სივრცეებს შორის. ყურადღება მახვილდება საზღვრებსა და სასაზღვრო ზონებზე, როგორც საცხოვრებელ ფართებზე ყოველდღიურობა სოციალური ტრანსფორმაციის უფრო დიდი პროცესების ანარეკლია და უფრო მეტად რელევანტურია სოციალური რეალობები „ადგილზე“.

ამ მხრივ კვლევის სამი მნიშვნელოვანი მიმართულებაა: 1) საზღვრების, როგორც ისტორიული მეხსიერების და ადგილობრივი იდენტობის მახასიათებლის ანალიზი, 2) საზღვრების, როგორც ადგილობრივი საზოგადოების ყოველდღიური დამოკიდებულების ამსახველი ელემენტის ანალიზი და 3) სასაზღვრო ზონაში მცხო-

ვრები საზოგადოების ყოფის ანალიზი საზღვრებთან მიმართებაში. სასაზღვრო რეგიონები (ან „სასაზღვრო ზონები“) ასახავს ყველა ამ ასპექტს, რადგან ისინი თავად დგინდება საზღვრებზე ცხოვრების ისტორიული მოგონებებით და იქ მცხოვრებთა აქტიური ჩართვით საზღვრის სიმბოლიკისა და ფუნქციების შეცვლაში. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სახელმწიფო საზღვრები ხშირად წარმოადგენს საყრდენ პუნქტს ტერიტორიის და იდენტობის განსაზღვრის დროს, ფიზიკური საზღვართან ერთად მის შესახებ არსებული განსხვავებული წარმოდგენებიც მნიშვნელოვანი ხდება. ულრიკე მაინჰოფის (Mainhof 2002) აზრით, საზღვრები გავლენას ახდენენ კოლექტიურ მეხსიერებაზე.

საზღვართან ყოველდღიური ცხოვრების და გეოგრაფიისადმი ასეთი მიდგომა წარმოადგენს ჰერმენევტიკულ, „ქვემოდან ზემოთ“ პერსპექტივას, რომელიც მიზნად ისახავს დასაბუთებული ცოდნის მოპოვებას სასაზღვრო რეგიონებში მონაწილის დაკვირვების გზით. ამ სფეროში ჩატარებული კვლევის მიზანია გააცნობიეროს, თუ როგორ ხდება ყოველდღიური ცხოვრების მოწყობა საზღვრებთან და როგორ ხდება სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნები და სოციალური ურთიერთობების დეკონსტრუქცია და კონსტრუქცია.

საზღვრების კვლევების მნიშვნელოვანი კონცეფციების ეს მოკლე და არასრული მიმოხილვაც აჩვენებს მიდგომების მრავალფეროვნებას, თემატურ და დისციპლინურ დისპერსიასა და დიფერენცირებას (Newman 2011). ცხადი ხდება მნიშვნელოვანი პარადიგმატული ცვლილება, კერძოდ, „საზღვრების გარეშე მსოფლიოს“ ოპტიმისტური პერსპექტივიდან აქცენტი გადადის უსაფრთხოების, სამრეწველო კომპლექსების გავლენის, გლობალიზაციის შედეგად პროვოცირებული ტერიტორიული იდენტობების ცვლის პროცესებისკენ. ახალი ტექნოლოგიები შლის სხვაობას საზღვრებსა და შიდა რეგიონებს შორის და მთელ სახელმწიფო ტერიტორიებს სასაზღვრო ზონად აქცევს. პარადოქსულია, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა ხელი არ შეუწყო ადამიანის მობილობას, არამედ მას ახალი დაბრკოლებები შეუქმნა და წარმოშვა ახალი რისკები ადამიანის უფლებების ბოროტად გამოყენებისა და მორალური და ეთიკური საკითხების მიმართ.

საზღვრების კვლევის დროს, ყოველდღიურობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე გეოგრაფიული ცოდნის ობიექტივიზაცია ე.წ. ელიტების მიერ. საზღვრის ქმნადობის ყოველდღიურობა ასევე გეოპოლიტიკურ

პროცესებთან არის დაკავშირებული. სახელმწიფო სიმბოლოები, ნიშნები, ნარატივები ძალზე მნიშვნელოვანია სასაზღვრო ტერიტორიებზე. მსოფლიოს ბევრ რეგიონში სასაზღვრო რაიონებში ვითარება მეხსიერების გეოპოლიტიკით განისაზღვრება. გარკვეული წარმოდგენებით განასხვავებენ ადამიანები მეზობელ ქვეყნებთან ან რეგიონებთან საერთო ისტორიის მნიშვნელოვან პერიოდებს. ასეთი პერიოდების ნეგატიური ინტერპრეტაცია ახდენს კონსტრუქციული იდენტობის დაპირისპირებას საზღვრის მეორე მხარეს დომინირებულ იდენტობასთან, ხოლო პოზიტიური დამოკიდებულება მეზობელთან სოლიდარობის გრძნობას ქმნის.

სიმბოლური საზღვრის კონცეპტუალიზაცია მჭიდრო კავშირშია კრიტიკულ გეოპოლიტიკასთან. მსოფლიო გეოპოლიტიკური ხედვა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ნორმატიული პოლიტიკური რუკა მსოფლიოს ან რეგიონისა, რომელზეც ასახული წარმოდგენები პოლიტიკური აქტორების, პოლიტიკური სივრცის ელემენტების, ეროვნული უსაფრთხოების, უპირატესობებისა და ნაკლოვანებების შესახებ. გეოპოლიტიკური ხედვა ყალიბდება ტრადიციების, განათლების, პირადი გამოცდილების, რეკლამირების, ლიტერატურისა და ხელოვნების, კინოსა და განსაკუთრებით მასმედიის ზემოქმედებით, რაც ქმნის მითებს და სტერეოტიპულ წარმოდგენებს ეროვნული ისტორიისა და ტერიტორიის შესახებ. ეს წარმოდგენები დიფუზურია პოლიტიკური დისკურსის პროცესში, სადაც შეჯამებულია ინფორმაცია საერთაშორისო ურთიერთობათა ან ტერიტორიულ მდგომარეობასთან დაკავშირებული პოლიტიკური ვითარების შესახებ. ბუნებრივია, დროთა განმავლობაში იცვლება დამოკიდებულებები. ამიტომ, სახელმწიფო საზღვრების შესახებ დისკურსი წარმოადგენს სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველს.

ზემოთ განხილული საკითხების უმეტესობა პირდაპირ ან არაპირდაპირი გზით მოიცავს ეთიკურ საკითხებს. როგორც თანამედროვე კვლევები აჩვენებს, საზღვრები იზღუდება სიმბოლურადაც და ფიზიკურადაც (ბარიერების და კონტროლის სახით), ხშირად ეს ხდება შიშის ქსენოფობიური ექსპლუატაციის და უარყოფითი კულტურული სტერეოტიპების რეპროდუქციის მიზეზი (Gallardo, 2008). ეს განსაკუთრებით აშკარაა ევროპულ კონტექსტში, როდესაც პოლიტიკური კონცეფცია „ღია საზღვრები“ განხილულია როგორც ნაწილობრივი პოლიტიკა, რომელიც ხაზს უსვამს საზღვრის მენეჯმენტს და ევრო-



პაში სახელმწიფო საზღვრებს პოლიციისა და უსაფრთხოების ზოგად პოლიტიკას უკავშირებს (Houtum 2005). კვლევების ეთიკურ ნაწილად განიხილება, მგრძნობიარე თემებისა და პრობლემებისადმი ღიაობა და საზღვრების ამ კუთხით გაანალიზებაც. რასაკვირველია, ეთიკურ მიდგომებში იგულისხმება მეთოდისა და ქცევის გარკვეული წესების დაცვაც, რაც უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ საკვლევ რეგიონში მცხოვრები ადამიანების სიცოცხლესა და ყოფას არ დაემუქრება რაიმე საფრთხე.

საზღვრის კვლევების ამჟამინდელი მდგომარეობა მიუთითებს იმაზე, რომ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ღრმად შეცვალა საზღვრების „ძალა“; მათ შეცვალეს დიალექტიკური კავშირი ფიქსირებულ ბუნებასა და მუდმივად ცვალებად, მოქნილ რეჟიმს შორის და ახლებურად ჩამოაყალიბეს საზღვრების გავლენა ადამიანის საქმიანობაზე. საზღვრებს არა მხოლოდ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ სხვადასხვა მოქმედი პირებისათვის, არამედ საზოგადოებაში ძალაუფლებითი ურთიერთობასაც სხვადასხვა მასშტაბით ასახავენ. კერძოდ, ისინი ასახავენ საერთაშორისო ორგანიზაციების ნორმატიულ ძალას და არსებულ სახელმწიფოთა შორის ძალაუფლების ასიმეტრიას სხვადასხვა სფეროში. ამავდროულად, საზღვრის შესწავლა ხსნის პრაქტიკულ გზებს სადავო საზღვრების "მშვიდობის საზღვრებად" გარდაქმნისთვის (Newman 2012). საზღვრების მკვლევრები აცხადებენ, რომ საზღვრები არის თანამშრომლობის გადამწყვეტი პირობა. მაგრამ ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მრავალდონიანი, მრავალსექტორული და გრძელვადიანი მიდგომებით, რომლებიც გულისხმობს ტრანსფორმაციას საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს კულტურულ ცვლილებებს და ახალი ტიპის აზროვნებას მოცემული საზღვრის ორივე მხარეს.

საზღვრების კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. არ არის გადაჭრილი დემარკაციის საკითხი, კონფლიქტის ზონების არსებობა იწვევს საზღვრის ცნების მუდმივ გადახედვას, ცვალებადია მიდგომები კონკრეტული სასაზღვრო ზონებისადმი. წინამდებარე კვლევის მიზანია წარმოადგინოს მეტნაკლებად სრული სურათი საქართველოს საზღვრისპირა რეგიონის - ჯავახეთის სოციო-კულტურული მახასიათებლისა და რეგიონში არსებული სასაზღვრო ურთიერთობების შესახებ.

## **ჭავჭავაძის სოციო-კულტურული და სამეურნეო ტრადიციები და თანამედროვეობა**

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ჭავჭავაძის აღმოსავლეთით ესაზღვრება თრიალეთს, ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით - სამცხეს, სამხრეთ-დასავლეთითა და დასავლეთით - თურქეთს და სამხრეთ-აღმოსავლეთით - სომხეთს. ადმინისტრაციულად ის მოიცავს ასპინძის მუნიციპალიტეტის ნაწილს (მტკვრის ხეობის სოფლებს), ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს. ამასთანავე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჭავჭავაძის ერთი ნაწილი მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის არტაანის რეგიონის შემადგენლობაში.

ჭავჭავაძის სხვადასხვა პერიოდებში რამდენიმე ცენტრი ჰქონდა: ნუნდა, თმოგვი, ახალქალაქი.

ჭავჭავაძე მდიდარია როგორც უძველესი ხანის, ასევე, ანტიკური პერიოდისა და შუასაუკუნეების ქართული საერო და საეკლესიო არქიტექტურით: ციხე-სიმაგრეებით, ეკლესიებით, სამონასტრო კომპლექსებით. ამავე დროს, ჭავჭავაძეში არსებობს ქართული ეპიგრაფიკული მასალის უმდიდრესი ბაზა. უდიდესი ისტორიული და კულტუროლოგიური შინაარსის მქონეა წარწერები, რომლებითაც ქართული დამწერლობის განვითარების სხვადასხვა ეტაპის კლასიფიკაციაც კია შესაძლებელი და ყოველივე ეს ასახულია ადგილობრივ ძეგლებზე. უმნიშვნელოვანესი შინაარსის მქონეა ადგილობრივი ტოპონიმები და სხვა (სიხარულიძე, 1958; ბერძენიშვილი, 1964; ოთხმეზური, 1981; ბერძენიშვილი, 1985; ბოჭორიძე, 1992; ბერიძე, 1992; სილოგავა, 1994, სილოგავა, 2000; თუმანიშვილი, 2000; ჭავჭავაძის ეპიგრაფიკული კორპუსი, 2012 და სხვ.).

ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დიდი მრავალფეროვნებაა შემონახული თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ისტორიული ჭავჭავაძის მიწა-წყალზეც (ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები, 2020).

ჭავჭავაძე გამორჩეულია ე.წ. ციკლოპური საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და ზღუდეების სიმრავლითაც. აქ გვხვდება მშრალი წყობით ნაშენი დიდი და საშუალო ზომის დაუმუშავებელი, ან უხეშად დამუშავებული ქვებით ნაგები თავდაცვითი კომპლექსები, მაგა-



ლითად, ახალქალაქის „ამირანის გორა“, საროს კომპლექსი, ნიალას გორაზე შემორჩენილი კედელი, სულდას გორაზე, ოკამის გორაზე, აბულის ციხე-ქალაქი, თორიას მთის კომპლექსი, ტონთიოს გორის კომპლექსი, სათხეს ციკლოპური გალავანი და სხვ. (ნარიმანიშვილი, 2019: 11-20).

ჯავახეთის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა კულტურული ტურიზმი, მომლოცველობითი ტურიზმი, რასაც შემდგომშიც დიდი პოტენციალი აქვს. ამ მხრივ ჯავახეთს უმდიდრესი რესურსი მოეპოვება: ციკლოპური ნაგებობანი, გამოქვაბულთა კომპლექსები, ნაქალაქარები, ციხესიმაგრეები, არქეოლოგიური ბაზები, ყორღანები, ტრადიციული კულტურულ-სამეურნეო ლანდშაფტი - ცოცხალი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობით: მათ შორის, ტერასული მეურნეობა, ერდოგვირგვინიანი და მიწურბანიანი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. რეგიონის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს შუასაუკუნეების (განახლებული) და თანამედროვე საეკლესიო/სამონასტრო კომპლექსები. სამონასტრო ცხოვრების აღდგენით ბერ-მონაზვნები არამხოლოდ სასულიერო ცხოვრების ცენტრებს ქმნიან, არამედ მკვიდრ მოსახლეობასთან უწყვეტი კომუნიკაციით, გარკვეულ დადებით როლს ასრულებენ ყოველი სოფლის სოცო-კულტურულ ცხოვრებაშიც. რელიგიური/მომლოცველობითი ტურიზმისათვის ჯავახეთის ყველა სოფელში არის საგულისხმო საკრალური ადგილები.

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის ბიომრავალფეროვნებაც - ენდემური, იშვიათი და რელიქტური მცენარეები - ინტერესის სფეროა მსოფლიოს ბოტანიკოსთა და ეკოლოგთათვის. ანუ, ჯავახეთს აქვს განვითარების მრავალმხრივი პერსპექტივები. მაგალითად, მნახველთა დიდი ინტერესს იწვევს ყარყატთა ბუდეები. აქ შეიძლება მრავალი თეთრი ყარყატის ნახვა, რომლებსაც ბუდეები, პირდაპირ სოფლებში დენის ბოძებზე და სახლების სახურავებზე აქვთ გაკეთებული, ხოლო მადატაფასა და კარნახზე წეროებსა და ხუჭუჭა ვარხვებზე დაკვირვებაცაა შესაძლებელი.

ოფიციალური ინფორმაციით, სამსარის ქედის სუბნივალურ ზონაში აღრიცხულია მცენარეთა 62 სახეობა, მათ შორის 3 ლოკალური და 14-კავკასიის ენდემი, დანარჩენი სახეობები სამხრეთ კავკასიონსა და მცირე აზიაში ფართოდაა გავრცელებული. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი სუბალპური ტყე საქართვე-

ლო-თურქეთის საზღვარზე მდებარე კარნახის ტბის მიდამოებში გვხვდება. აქ გავრცელებულია: თეთრი არყის, კავკასიური ცირცელი, ჩიტა კომშა, ასკილისა და ჟოლოს ბუჩქნარი. ჯავახეთის ზეგანზე კარნახისა და სულდას ქაობები ძირითადად ტბათა კოლბოხოვანი დაქაობების შედეგადაა წარმოქმნილი. ასეთი ქაობებია ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაცია, ქაობიან ეკოსისტემებში *Carex acuta* -ს დომინანტობით არის შექმნილი. კოლბოხოვანი ზედაპირი ყოველთვის უხვი და მაღალი ბალახნართაა დაფარული, რომელსაც ისლის სახეობები ქმნიან. კარნახის ტბასა და მის შემოგარენში მთის სტეპებსა და გასტეპებულ მდელოებზე 2004 წელს აღმოაჩინეს საქართველოს ფლორაში აღწერილი ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელი - *Dasiphora fruticosa*, რომელიც სხვაგან არსად გვხვდება საქართველოში. აღნიშნულ ქაობებიან ეკოსისტემებში მრავლად არის ენდემური ჯიშები წარმოდგენილი: მცენარეების 15 სახეობაა, აქედან კავკასიის 12, საქართველოსი კი 3 ენდემია. ჯავახეთში მცენარეულობის ნაირფეროვნებით გამორჩეული საძოვრები, ვულკანური წარმოშობის ნაშალი მთები და განუმეორებელი სილამაზის ტბები გვხვდება. ამათგან მადატაფას, ხანჩალის და კარნახის ტბები წყლის ფრინველთა სამფლობელოა. ადრე ეს ტბები ადგილობრივი თევზის სახეობებით (ტბის კალმახით) ყოფილა სავსე, მაგრამ უცხო სახეობის თევზების (კარასის, ევროპული ჭაფალას, კობრის და სხვათა) ტბებში გაშვებამ ადგილობრივი სახეობების გადაშენება და მათი პოპულაციის შემცირება გამოიწვია. დღესდღეობით, ამ ტბებში 12 სახეობის თევზი ბინადრობს. ტბები ყოველთვის იყო და დღემდე რჩება წყლის გარეულ ფრინველთა ჰაბიტატად. კარნახის ტბაზე აღრიცხულია 59 სახეობის ფრინველი. კარნახის ქაობზე კი 21 სახეობის ფრინველია, სულდას ქაობზე 15 სახეობის ფრინველია აღრიცხული, მათ შორის მრავალია წყალმცურავი. ჯავახეთის ტბების ნაპირებზე და აქაურ ქაობებში ძალზედ ბევრია ჩიბუხა, გოჭა, პრანჭია და ოჩოფეხა. ქაობებში იშენებენ ბუდეებს ქაობის მტაცებელი ფრინველები, ძელქორები და ველის კაკაჩები. ამასთანავე, ჯავახეთის ზეგანი ფრინველთა მიგრაციის ერთ-ერთ მთავარ ტრასასაც წარმოადგენს. ჯავახეთის სხვა ტბებთან შედარებით დაბალი სიღრმის გამო, ხანჩალი ყველაზე თბილია და წყლის ფრინველებისთვის საუკეთესო საცხოვრებელი და დასასვენებელი ადგილია. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ადგილობრივმა მთავრობამ ტბის ნაწილი სა-

თიბებად გამოყენების მიზნით დააშრო. ეს ნამდვილი ეკოლოგიური კატასტროფა იყო, რომლის შედეგადაც ათიათასობით გარეული ფრინველი აღარასდროს დაბრუნებია თავის საბუდარს. ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. ჯავახეთის მთიანეთში აღრიცხულია ძუძუმწოვართა თითქმის 40 სახეობა. მათ შორის 10 მტაცებელი და 2 ჩლიქოსანია. ჩლიქოსანთა ორივე სახეობა, ისევე, როგორც ფოცხვერი და დათვი, იშვიათად ჩნდება შიშველ ადგილებში. ართოდ არის გავრცელებული: ქრელტყავა (*Vormela peregusna*, გლობალურად მოწყვლადი სახეობა), წავი (*Lutra lutra*), ევროპული კურდღელი (*Lepus europaeus*), მაჩვი (*Meles meles*), მელა (*Vulpes vulpes*) და მგელი (*Canis lupus*). კურდღელი, მელა და მგელი გავრცელებულია მთელ ჯავახეთის მთიანეთში, ხოლო ქრელტყავა აღრიცხულია მხოლოდ სასაზღვრო ზონაში (მადატაფის ტბის მიდამოებში). უამრავი პატარა მღრღნელი ზაზუნა და მინდვრის თაგვი მათთვის შესანიშნავ საკვებს წარმოადგენს. ოთხმოციან წლებში ხანჩალის ტბაში გაშვებული იქნა ონდატრას რამდენიმე ოჯახი. ცხოველები ძალიან სწრაფად გამრავლდნენ და ჯავახეთის თითქმის ყველა წყალსატევს მიაღწიეს. ონდატრის მიერ ადგილობრივი ეკოსისტემისთვის მიყენებული ზარალი ჯერ კიდევ არა არის შესწავლილი. იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ სახეობებიდან აღსანიშნავია ფრინველების 2 სახეობა, რომელიც შესულია IUCN –ის „წითელ ნუსხაში“, 6 - საქართველოს „წითელ ნუსხაში“, 12 აფრიკა-ევრაზიის გადამფრენი ფრინველების შეთანხმებაში. ძუძუმწოვრების 1 სახეობა IUCN –ის „წითელ ნუსხასა“ და საქართველოს „წითელ ნუსხაში“. მათგან აღსანიშნავია: ნაცრისფერი ზაზუნელა (*Cricetulus migratorius*) და ბრანდტის ზაზუნა (*Mesocricetus brandti*), წავი (*Lutra lutra*) და სხვ. აქ გვხვდება ძუძუმწოვართა ექვსი სახეობა (ძირითადად მღრღნელები), რომლებიც კავკასიის ენდემებია. (იხ., <https://apa.gov.ge/ge/biomravalferovneba/djavaxetis-daculiteritoriebis-biomravalferovneba> )

ჯავახეთის სოფლებში სახლობს მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ჯავახური ჯგუფის აგრეთვე, საქართველოს სხვა მხარეებიდან ჩასახლებულ ქართველთა ჯგუფები. ქართველებთან ერთად ამ მხარეში სახლობენ სომხები, მცირე რაოდენობით რუსები და სხვ.

დღეისათვის მკვიდრ ჯავახურ საგვარეულოებს ქმნიან: ასპანიძეები, ბერიძეები, გიორგაძეები, გურგენიძეები, დათაშვილები, დიასამიძეები, ზედგინიძეები, ივანიძეები, იველაშვილები, ლონდარიძე-

ბი, მალრადეები, მელიქიძეები, მურადაშვილები, მჭედლიშვილები, ნათენაძეები, სანდოძეები, ქუქჩიშვილები, წითლანაძეები, ხოსიტაშვილები, ხუციშვილები და სხვ. საგვარეულოთა შესახებ მეოცე საუკუნის ვითარების ამსახველი ინფორმაცია წარმოდგენილია ილია მაისურაძის ნაშრომში (მაისურაძე, 1981).

ჯავახეთის ტრადიციული კულტურის არაერთი ელემენტი სიცოცხლისუნარიანია თანამედროვე ეპოქაშიც. მართალია, შეცვლილია და გაზრდილია სოფლის განსახლების არეალი, შეინიშნება მალობიდან დაბლობში ეტაპობრივი ჩამოსახლების ფაქტები, შექმნილია სოფლები ადრე გაუკაცირებულ ადგილებშიც, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დღეს უკვე ცხოვრობს ახალი ტიპის სახლებში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრგანაა თვალსაჩინო სოფლის ზრდა ტრადიციული განსახლების არეალის გარშემო, ასევე, შემონახულია ტრადიციული მესხური საცხოვრებელი სახლებიც, შეინიშნება ტრადიციულ ტერასათა ნაკვალევი, ზოგან მოქმედი სახითაც არსებული და სხვ.

ცხადია, გარკვეული ცვლილებებია ტრადიციულ ჭირისა და ლხინის რიტუალებში. მესხური საქორწილო წესები და რიტუალები დეტალურადაა შესწავლილი ქართველ ეთნოლოგთა მიერ (ხოსიტაშვილი, 1972, იველაშვილი, 1987-ა, იველშვილი, 1987-ბ). ცხადია, ჩვენს დროში ბევრი ცვლილებაა და ეს, ძირითადად, გამოხატება იმ მხრივ, რომ ქორწილებსა და ქელეხის სუფრებს უკვე ოჯახებში კი არ შლიან, არამედ თითქმის ყველა სოფელში (ე.წ. სასოფლო სახელმწიფო პროგრამებით) აგებულია საერთო სარგებლობის სარიტუალო სახლები, სადაც დაცულია საჭირო დგამ-ავჯეი და ჭურჭელი. ქორწილებსაც ამ სახლებში იხდიან და ქელეხის სუფრასაც. ეს კი ცვლის ტრადიციული ცხოვრების წესის არაერთ ელემენტს, მათ შორის, შრომითი ურთიერთადხმარების ფორმებსაც.

ჯავახეთის ყველა დიდ თუ მცირე სოფელში არის ერთი ან რამდენიმე მაღაზია.

დიდ სოფლებში 12 კლასიანი საჯარო სკოლებია, ზოგ სოფელში სკოლები დაიკეტა და მოსწავლეები სპეციალური ტრანსპორტით (რასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს) მეზობელი სოფლების სკოლებში გადაჰყავთ. ბევრგან არის საბავშვო ბალებიც. ზოგიერთ სოფელში საყურადღებო საბავშვო ცენტრები აქვთ ქართველ კათოლიკეებს, მაგალითად, ხიზაბავრაში. ყველგან კმაყოფილნი არიან დასუფთავების სამსახურის მუშაობით.

შეშის მოპოვება ზოგიერთ სოფელს უჭირს. ამიტომ სრული გაზიფიკაცია მეტად დადებით გავლენას იქნებს ადგილობრივთა ყოფაზე.

უძველესი დროიდან XIX საუკუნის ბოლომდე ჭავახეთში განვითარებული იყო სელის მეურნეობაც, კერძოდ, აქ მოჰყავდათ მთიანეთის საზეთე სელი, რომელიც ბიომორფოლოგიური ნიშნების მიხედვით წარმოადგენდა მთის კლიმატის გავლენით შექმნილ კოლხური სელის სახეცვლილებას

ცნობილია, რომ საქართველო სელის სამშობლოა. კოლხური სელი სელის ბოტანიკურ სახეობებს შორის ყველაზე უძველესია და მისი წარმოშობის კერაც კოლხეთშია სავარაუდო (მოლოდინი, 1985: 63). დადგენილია ისიც, რომ კოლხური სელი ერთდროულად წარმოადგენს საბოჭკოე და საზეთე მცენარეს, ხოლო საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საზეთე სელის სახეობა კულტურის ახალი ეტაპია და ბიომორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, მთის კლიმატის გავლენით შექმნილ კოლხური სელის სახეცვლილებას წარმოადგენს (გორგაძე, 1958: 162; მოლოდინი, 1985: 63).

ლ. მოლოდინის დაკვირვებით, სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთში ტრადიციულად თესავდნენ ბრტყელ, წინმატა და შავ ანუ შალგა სელს. ამ მცენარეთაგან მხოლოდ ბრტყელი სელი განეკუთვნება საზეთე სელის სახეობას, რომელსაც ეს სახელი თესლის ბრტყელი მოყვანილობის მიხედვით აქვს შერქმეული. შალგა სელი კი იგივე ქარხალბოლოკაა, მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა წინმატას (*Camelia sativa* Cronty), შალგას (*Brassica avvenica*) და ბრტყელ სელს ერთნაირად სელის ჯიშებად მიიჩნევს და სელის სახელით იცნობს (მოლოდინი, 1985: 63).

სელისაგან მიღებულ პროდუქციას დიდი ადგილი ეჭირა ყოფაში მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაშიც: სელის ზეთი საკვებად გამოიყენებოდა, მისი როლი განსაკუთრებით მარხვის დროს იზრდებოდა, ზეთი წარმოადგენდა განათების საშუალებასაც, ზეთს ხმარობდნენ ტყავის დასარბილებლად, ქსოვილების დაჩითვისათვის, საქონლის გასაზეთად. ხალხურ მედიცინაში სელის ზეთისაგან ქმნიდნენ მალამოებს. სელის ბზესა და სელის ნახადის ნარჩენს საქონლის საკვებად იყენებდნენ, სელის ღეროთი კი სახლის ბანს ხურავდნენ და ა. შ. (მოლოდინი, 1985: 66).

სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული სელის თანდათანობითი გაქრობა ბევრმა მიზეზმა და მათ შორის, მზესუმზირის საქართვე-

ლოში გავრცელებამაც განაპირობა. სელის ზეთის გამოსახდელად იყენებდნენ ზეთსახდელებს, რომელთა დიდი მრავალფეროვნებაა საქართველოში, მათ შორის, ჭავახეთშიც, შემონახული (მოლოდინი 1963). სამწუხაროდ, სელის კულტურის მოყვანის შემცირებამ და თითქმის გაქრობამ, ტრადიციულ ზეთსახდელებს ფუნქცია დაუკარგა.

ადგილობრივი მემინდვრეები ჯერ კიდევ უთმობენ სახნავი სავარგულების გარკვეულ მონაკვეთებს ქერს, ჭვავსა და შვრიას, რაც ოდითგანვე ტრადიციული დარგები იყო ჭავახეთისათვის.

ჩვენს დროში ყველაზე ფართოდ მეკარტოფილეობაა გავრცელებული. მეკარტოფილეობას მისდევენ ადგილობრივი ქართველებიც და სომხებიც. სამივე რაიონში ვრცელ სავარგულებზე ითესება კარტოფილის თეთრი და წითელი ჯიში. გასაღების ბაზარი, ძირითადად, საქართველოს დიდი ქალაქებია. ხშირად კარტოფილის საყიდლად გადმოდიან თურქეთიდანაც (ვალესა და კარნახის საბაჟო გამშვები პუნქტებიდან), როგორც საზღვრისპირა (არტაანის რეგიონი) სხვადასხვა სოფლიდან, ასევე, შავშათიდანაც (ქართული სახელი სათლელი) და ართვინიდანაც.

მებოსტნეობის კულტურებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით მოჰყავთ კომბოსტო, ქარხალი, სტაფილო, გოგრა (კვახი).

ჭავახეთში როგორც ძველად, ისე ამჟამადაც განვითარებულია მეფუტკრეობა. ჰყავთ კავკასიური ფუტკარი. ჭავახეთში მეფუტკრეობის განვითარებას ხელს უწყობს ბუნებრივი გარემო - თაფლოვანი მცენარეების, მთის ყვავილების სიმრავლე. აქაური თაფლი არომატულია. მეფუტკრეობა ამჟამად საკმაო შემოსავლის მომტანი დარგია.

ჭავახთა ტრადიციული ყოფა, ცხადია, ქართული სახელმწიფო და კანონიკური სამართლით იყო ნასაზრდოები და მიუხედავად ოსმალეთის იმპერიაში ხანგრძლივი დროით მოქცევისა, მკვიდრ ქართველთა მსოფლხედვის ძირითადი ასპექტები მომდინარეობდა ერთიანი ქართული მსოფლხედიდან და ყოფის მარეგულრებელი სამართლებრივი ნორმებიდან. აქაური ეთნოგრაფიული მასლა ავლენს, რომ ისტორიული მესხეთშიც, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მხარეში, ქალს ჰქონდა მაღალი უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა. მიუხედავად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ხანგრძლივად ყოფნისა, ამ მხარეში არ დასტურდება სყიდვითი ქორწინების გადმონაშთები, ან მისი ანარეკლი, არამედ „ქალი ქმრის ოჯახში საკუთარი დამოუკიდებელი ქონებით შედიოდა, რაც



მისი უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობის საკმაოდ მაღალი დონის მაჩვენებელია“ (იველაშვილი 2009: 164-165).

ქართული სამოსის ისტორიაში დიდი ადგილი უჭირავს ჯავახურ ტრადიციულ სამოსს. ჯავახური ფეიქრობა და მღებრობა კარგადაა შესწავლილი ქართველ ეთნოგრაფთა მიერ (ყარაულაშვილი, 1972; მოლოდინი, 1972). ჯავახური ტანსაცმელი, ძირითადად შალისაგან იქსოვებოდა. აქაური ტრადიციული ტანსაცმელი, ქუდი, ფეხსამოსი განვითარების ადგილობრივი, ქართული ხალხური სამოსის ნაირსახეობას წარმოადგენს. მამაკაცის ტანსაცმელი შედგებოდა ელადის, ზუბუნის, ნაოჭებიანი ჩოხისაგან. „ავდარში წამოსასხამს ანუ სანვიმარს იხურებენ ჩოხაზე და ხნიერნი ზამთარში ქურქს იცმენ. პერანგი თეთრი სამოსელია, გრძელი, მუხლის თვლამდე, პერანგის გული ირიბათ შეჭრილია და საყელოთი გვერდზე აქვს შესაკრავი ღილ-კილოთ, ფოლაქით. ეს ირიბათ შეჭრილ გულზე წითელი შილაა გადაკრული და რადგან ზუბუნი და ჩოხა უსახელოა, გულშიაა, მაშინ წითელი საგულე ჩანთ პერანგისა... შარვალი მოკლე დ აგანიერი იჭრება და სათავიანს ჰკერენ, შიგ ხონჯარს უყრიან. შარვლის ტოტის ერთ კუნჭულს პაიჭებში იკეცებენ... ჯავახელების ქურქი ოთხი ცხვრის ტყავისაგან იკერება. ქუდს ერთი ცხვრის ტყავიდან ჰკერავენ... ფეხთ იცმენ წინდა-პაიჭს... წინდებზე ქალმნებს ან ყარაულებს, ნულებს იცმენ“ (მასალები, 1983: 205). შემონახულია ხიზაბავრელი ქალების სამოსის აღწერილობაც 30-იანი წლებისა: „ქალები იცმენ პერანგს, პერანგზე - გულამოჭრილ გრძელ ზუბუნს, ზევიდან კი გულშია კაბას, რომლის წინა კალთების კუნჭულები უკან წელზე აქვთ დამაგრებული ზედ მორტყმული ყვითელი შალის სარტყელით. კაბის კუნჭულების აკრეფით დარჩენილ წინაობაზე იფარებს შალის ფეშტამალს და ბალებით იმაგრებს წელზე ხუთ-ექვსჯერ გარშემოხვევით. პერანგის საყელოზე უვიათ პატარა ვერცხლის ღილები... ზუბუნის წელი სარტყელ ზევით ჩაფრასტებით შეკრულია, ხოლო კაბის წელს ანჯუსტებით იკრავენ... ნიფხავსაც თეთრი სამოსელისას იცმენ... პატარძლებს ფეხთა მწვანე ქოშებს აცვამდენ და თავზე წითელ ბადეს ჩამოახურავდენ სახეზე... თავზე ლეჩაქს იხურავენ ხიზაბავრელი ქალები. შუბლზე ნაიკრავდენ აბრეშუმის ხელმანდილს, ზემოთ ჩიქილას იდებენ და წითელ ბაღდადიას გადაიფარებენ... თმა თორმეტი ნაწნავით წინ უკან გადაყრილი აქვთ“ (მასალები 1983: 206-207). ტრადიციულად ქალებმა იცოდნენ ქარგვა, ქრა-კერვა, რაც, ნაწილობრივ, დღესაც ხელენიფებათ.

ჯავახეთი განთქმული იყო ხალიჩების, ფიჩვების, ჯეჯიმების, შალისა და ჭილოფის ქსოვის ტრადიციით. განვითარებული მეცხვარეობა იძლეოდა დიდი რაოდენობით მატყლს და ამან ხელი შეუწყო შინამრეწველობის განვითარებას. შალის ძაფის შესასაღებად იყენებდნენ ბუნებრივ საშუალებებს: ფოლიოს ყვითელი ყვავილისაგან ყვითელ ფერს იღებდნენ, ენდროსაგან - წითელს, მარმიჭის ბალახისაგან - ცისფერს, ფოთოთას, სოსანის, ჟანგიანი რკინის ნაჭრისა და შავი ტალახისაგან - შავ ფერს და სხვ. ქსოვდნენ საქსოვ დაბგებზე. აგრეთვე, „პურის მჯის“ წნელით წვრილ კალათებსა ქსოვდნენ და ჭილიდან - ჭილობებს დაბგაზე“ (მასალები, 1982: 158-159).

ჯავახეთში უძველესი დროიდან არსებობდა მჭედლობისა და ოქრომჭედლობის მდიდარი ტრადიციები. მჭედლები ამზადებდნენ საყოფაცხოვრებო, შრომისა და საომარ იარაღს, ოქრომჭედლები კი ვერცხლის, თითბერისა და ოქროს ნატიფ ნაკეთობებს: სამკაულს, ქამრებს. განსაკუთრებით ცნობილი სახელოსნოები ახალციხესა და ახლაქალაქში ყოფილა (სოსელია, 1973). მჭედლობის მცოდნენი ახლაც არიან ამა თუ იმ სოფელში.

ჯავახეთმა შემოგვინახა ქართული მუსიკალური ხალხური შემოქმედების ადგილობრივი სახეობანი. აქ ჰქონდათ ხალხური საკრავები: სტვირი, გუდასტვირი, ჭიჭყინა. ამ საკრავების დამზადების წესი დღესაც ახსოვს ზოგიერთ მთხრობელს, მაგალითად, სოფელ ხიზაბავრაში. მესხური მუსიკალური ფოლკლორი ნაწილია ქართული ეთნომუსიკალური კულტურისა (ჩხიკვაძე, 1960) და დღეს არაერთი ხალხური ანსამბლი ასრულებს ადგილობრივ სიმღერებს. ქართულ საწესო-რელიგიურ ფერხულთა შორის სათანადო ადგილი უჭირავს მესხურ სიმღერებსა და ფერხულებსაც (ალავერდაშვილი 2013).

საბჭოთა დროს ჯავახეთის მხარეში საკმაოდ განვითარებული იყო ადგილობრივი ეკონომიკა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან კი თანდათანობით მოიშალა საბჭოთა მეურნეობების სისტემა და დაიწყო ტრანსფორმაციული პროცესი - სოციალისტური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა, რამაც რთულ მდგომარეობაში ჩააყენა მოსახლეობა. სამწუხაროდ, საბჭოთა წნეხისაგან გათავისუფლებულმა საქართველოს მმართველმა პოლიტიკურმა ძალებმა ვერ შეიმუშავეს ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა. ეკონომიკური ტრანსფორმაცია სპონტანურად განხორციელდა. მოსახლეობის ნაწილი, რომელიც აქამდე დასაქმე-



ბული იყო საბჭოთა მეურნეობებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, ან საბჭოთა სამხედრო ბაზებში, დარჩა უმუშევრად და ინდივიდუალური რესურსით დაიწყო ზრუნვა გადარჩენისათვის. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის საკითხმაც არაერთი პრობლემა წარმოქმნა.

უაღრესად აქტუალურია სახელმწიფოს ზრუნვა მიკროეკონომიკის განვითარებისათვის, რათა ყოველ მხარეში (რეგიონში) შესაძლებელი გახდეს ადგილობრივთა დასაქმება ამა თუ იმ კომპანიათა თავმოყრის, კონცენტრაციისა და მათში ადგილობრივთა დასაქმების ხელშეწყობით. მეცნიერთა ნაწილი ამ კუთხით საუკეთესო გამოსავალს ხედავს ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების ორგანიზაციის საქმეში ეკონომიკური ბირთვებისა და ზრდის პოლუსების თეორიაზე დაყრდნობით ტერიტორიული ცენტრების, ეკონომიკური კლასტერების ფორმირება-განვითარებაში (თევზაძე 2016: 78.). მეცნიერთა პროგნოზით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კლასტერიზაციის კუთხით მსჯელობისას „ამ ეტაპზე განიხილება, მხოლოდ ყველაზე რეალური და ფუნქციური პოტენციური კლასტერების ჩამონათვალი. ასე მაგალითად: 1. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ბორჯომი-ნაღვერი-ცემი-ბაკურიანის სამთო-კლიმატური კლასტერი; 2. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაცული ტერიტორიების კლასტერები; 3. ახალციხის რაიონული საგანმანათლებლო კლასტერი, რომელიც პერსპექტივაში უზრუნველყოფს დასავლეთ საქართველოს ინტელექტუალური და შრომითი რესურსებით; 4. სამცხე-ჯავახეთის სასოფლო-სამეურნეო კლასტერი (მებოსტნეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა და სხვა); 5. სამცხე-ჯავახეთის რესურსული პოტენციალისა და განვითარების მომავალი პერსპექტივების გათვალისწინებით დამოუკიდებელ კლასტერებად შეიძლება ჩამოყალიბდეს ძალიან კონკრეტული მიმართულებები, როგორებიცაა: მეკარტოფილეობა და მეფუტკრეობა, და 80 ისინი რეგიონის ეკონომიკის ე.წ. სავიზიტო ბარათად იქცენენ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს მცირე სტატისტიკური მონაცემის შესახებ, რომელიც კიდევ უფრო ამყარებს კლასტერიზაციის მოსაზრებას. აღსანიშნავია, რომ 12 რეგიონიდან სამცხე-ჯავახეთს უკავია მე-5 ადგილი, რეგიონში არსებული ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიის ფარდობით, და ის უდრის 4.9 ათს კვ.კმ. (2012 წ. ფინანსთა სამინისტრო) (თევზაძე, 2016: 79-80).

რასაკვირველია ზემოთ მოტანილ რეკომენდაციებს უნდა დაემატოს ეთნოგრაფთა მხრიდან შემუშავებული რჩევები, იდეები. მათში

სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს ჯავახეთის ტრადიციული კულტურის ყოველმა ელემენტმა, რომლებიც, შესაძლოა, ფორმირდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ჯავახეთს აქვს ბუნებრივი წიაღისეული რესურსი მრავალი მიმართულებით მრეწველობის განვითარებისათვის: სამთომომპოვებლობა, მინერალური წყლების, ავეჯისა და ხის პროდუქციის წარმოება. შედარებით იაფი მუშახელის, იაფი ელექტროენერჯისა და რეგიონის სტრატეგიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით რეგიონში შესაძლებელია სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება (თოლორდავა, მაღლაკელიძე 2016: 87).

ამჟამად ჯავახეთში მოქმედი დასაქმების ძირითადად კერებია კვების ობიექტები, სამშენებლო მასალებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები. აგრეთვე, დიდი როლდენობითაა ხე-ტყის დამუშავების მცირე წარმადობის საწარმოები ე.წ. „სახერხები“ და ხის ნაკეთობათა დამამზადებელი საამქროები, მაგალითად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მოქმედებს ბაზალტის ქვის გადამამუშავებელი და მსუბუქი კედლების ბეტონის ბლოკის საამქროები. ახალქალაქში სასოფლო-სამეურნეო მანქანების სარემონტო, ხორცის გადამამუშავებელი, რძის პროდუქტების საწარმოები, აგრეთვე, ბეტონის ბლოკების, ქვისდამამუშავებელი, ხის დამამუშავებელი საამქროები. ნინოწმინდაში მოქმედებს ბაზალტის ქვის დამამუშავებელი, მსუბუქი კედლების ბეტონის ბლოკის, ხორცის გადამამუშავებელი, რძის პროდუქტების საწარმოები და სხვ. (თოლორდავა, მაღლაკელიძე 2016: 87-88).

ჯავახეთის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი შედეგის მომტანია ენერგორესურსების ათვისებაც. „ჰიდრო-ენერგორესურსების გონივრული ათვისება მას სამხრეთ კავკასიის რეგიონში ელექტროენერჯის მსხვილი მწარმოებლისა და სატრანზიტო კვანძად გახდომის შესაძლებლობას მისცემს. ენერგორესურსების ეფექტიანად გამოყენება მსხვილი ინვესტიციების მოზიდვას მოითხოვს. ამ მიმართულებით რეგიონში მუშაობა უკვე მიმდინარეობს, რაც ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის სიმრავლითაც დასტურდება (5 ახალი პროექტი)... გასათვალისწინებელია, რომ ელექტროენერჯიზე მოთხოვნა სწრაფად იზრდება, რეგიონის მოსაზღვრე თურქეთში, რომელიც საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ბაზარს წარმოადგენს. ამასთანავე,

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ 2006 წლიდან ჯავახეთზე გადის British Petroleum-ის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის ვრცელი მონაკვეთები“ (თოლორდავა, მალლაკელიძე 2016: 90-91).

ჯავახეთს აქვს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი სამკურნალო გამაჯანსაღებელი კურორტების შექმნისა და განვითარების კუთხითაც. ამ ეტაპზე მოქმედია ვარძიის კულტურული და ბალნეოლოგიური ცენტრი. ძალიან საყურადღებოა ადგილობრივი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ავლენს სხვადასხვა ტრადიციულ საშუალებას, რომლებიც გამოსადევია ბალნეოთერაპიული ეფექტის მქონე ჰიდრომინერალური რესურსებით მდიდარი ცენტრების, მათ შორის, ბალნეოთერაპიის შედარებით ახალი მიმართულების - ველნესის ცენტრების შექმნისათვის. ტრადიციულად ჯავახეთის ამა თუ იმ მხარეში არსებობს ბალნეოთერაპიის ხალხური ფორმები, მაგალითად, ცნობილია, რომ სამკურნალოდ გამოიყენება გოგირდის შემცველი და სხვა სახის მინერალური წყლებიც, აგრეთვე, სამკურნალო ტალახიც და სხვ.

ჯავახეთში დღემდე შემონახულია ტრადიციული საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსების ტიპური ნაგებობები, ჯერ კიდევ ცოცხალია ტერასული მეურნეობის ფორმები, ცოცხალია მიწათმოქმედების, მებაღეობის, მევენახეობისა და მესაქონლობის სამეურნეო ტრადიციები, ხელოსნობის ზოგიერთი დარგი, მეთევზეობის სახეობები, ტრადიციული კვებითი სისტემის არაერთი ელემენტი, ხალხური სამედიცინო გამოცდილება, ეკოლოგიური ბალანსის დაცვის ამსახველი შედარებით ფრაგმენტული ცოდნა და სხვ.

დასახლების ტიპი ჯავახეთში ორი სახისაა: 1. ჰორიზონტალური და 2. ტერასული. ორივე მათგანში არსებული დასახლებები ფლობდა მცირე ეზოს, რომელსაც, ძირითადად, სამეურნეო დანიშნულებისათვის იყენებდნენ. ჯავახური ტრადიციული დასახლება შედგებოდა ახლო მონათესავე ჯგუფთა განსახლებების არეალისაგან. მონათესავენი ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობდნენ. ეთნოგრაფიული მასალით ცნობილია ფუძე სახლებიც - ერდო-გვირგვინიანი, საიდანაც გაიზარდა სანათესაო ჯგუფი და გამრავლდა შტოებად. რელიეფიდან გამომდინარე, ზოგჯერ ერთი სახლის ბანი, მეორე სახლისათვის ეზოს წარმოადგენდა (ხიზაბავრა, ტოლოში, სარო, კარნახი). ასეთივეა საზღვარსმიღმა მოქცეული სამცხისა და ჯავახეთის ტრადიციუ-

ლი დასახლების ტიპი. მათგან განსაკუთრებით ურდვევად ეს ფორმები შემონახულია სოფელ ყველ-სა და ხეოთში/ხევათი (ფოცხოვის/პოსოფის რაიონი), აგრეთვე კარნახის მიმდებარე სოფლებშიც თურქეთის მხარეს.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ასევე თურქეთში მოქცეულ მესხურ სოფლებში დასახლების ტიპთან ერთად, განსახლების ტრადიციულ ფორმები და საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობანი აბსოლუტურად ერთი და იგივე ფრომისაა. იგივე ითქმის ტრადიციულ სამეურნეო ტიპზეც. ორივე მხარეს გადანაწილებული ჯავახეთის ტერიტორია გეოგრაფიულად ზეგანია, ზოგან კი - მთა-გორიანი ზეგანიც. კონტინენტური ჰავაა გაბატონებული, იცის ზომიერი ზაფხული და ყინვიანი ზამთარი. ტრადიციულად, განვითარებული იყო მრავალდარგოვანი ინტენსიური მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მეურნეობა აქ სიმბიოზური ხასიათისაა. სამწუხაროდ, სოფელთა ერთი ნაწილი თითქმის დაკლილია მოსახლეობისაგან, რაც გავლენას ახდენს ინტენსიური მიწათმოქმედების მასშტაბების შემცირებაზე.

ჯავახური ტრადიციული კულტურის უმნიშვნელოვანეს სეგმენტად გვევლინება ადგილობრივი ხალხური არქიტექტურის შედეგები - **მესხური ერდოგვირგვინიანი საცხოვრებელი კომპლექსები**. არქეოლოგიური განათხარი მასალით, ერდო-გვირგვინიანი (დარბაზული) ტიპის სახლის პროტოტიპი საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. აღის მესამე ათასწლეულის შუა პერიოდიდანაა ცნობილი (ქვაცხელეები, ამირანის გორა...). საქართველოს სხვადასხვა მხარეში არსებული ტრადიციული დასახლების ტიპი და საცხოვრებელი ნაგებობები მრავალფეროვანია. ისტორიულად საქართველოში ჩამოყალიბებულია საცხოვრებლის სამი ძირითადი ტიპი: ერდო-გვირგვინიანი (დარბაზული), კოლხური, მთური (გ. ჩიტაია), რომელთაგან საკვლევ რეგიონში - ჯავახეთში - ტრადიციულ საცხოვრებლად გვევლინება ერდოგვირგვინიანი (დარბაზული) ნაგებობა. დარბაზული ტიპი გავრცელებული იყო სამცხეში, ქართლსა და კახეთშიც.

ზოგადად, დარბაზული საცხოვრებელი ცნობილია სხვაგანაც სამხრეთ კავკასიაში. იგი მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე სახელითაა ცნობილი. საქართველოში მას „დარბაზულ“-ს ან „ერთობის სახლს“ უწოდებენ, სომხეთში - გლახატუნ-ს, ან ტუნ-ს, აზერბაიჯანში - ყარადამ-ს. არსებული მასალის მიხედვით სამხრეთ

კავკასიაში ერდო-გვირგვინიანი საცხოვრებლის ტიპი ყველაზე მეტად გავრცელებული იყო საქართველოში, შემდეგ სომხეთსა და აზერბაიჯანში.

საერთოდ, საქართველოს ერდო-გვირგვინიანი ტიპის საცხოვრებლები შემდეგ ძირითად ლოკალურ ვარიაციებად იშლება: 1. ქართლური და კახური; 2. სამცხე-ჯავახური; 3. თრიალეთური. ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, დარბაზული ტიპის საცხოვრებელი ნაგებობის გენეზისი იწყება მიწურიდან. დარბაზი, ზოგადად, გადახურულია გუმბათისებრი, საფეხურებრივი გვირგვინით, რომლის თანდათანობითი დავიწროებული ყელი მთავრდება საკვამლე და სანათი ხვრელით - ერდოთი.

გვირგვინისებურად გადახურული კლასიკური ფორმის დარბაზი შეიცავს კერას, რომელიც საცხოვრებელი ფართის ცენტრშია განთავსებული და ორნამენტირებულ დედაბოძს. საქართველოს მაგალითზე, უმრავლეს შემთხვევაში დარბაზული ტიპის საცხოვრებელი ნაგებობები გავრცელებულია დასახლების შეჯგუფულ ტიპში.

დარბაზული ტიპის საცხოვრებელი მრავალფუნქციური ნაგებობაა. კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია არამხოლოდ დარბაზის არქიტექტურული აღნერელობა და მშენებლობის ტექნოლოგია, არამედ მისი სოციალური ბუნება და კულტურულ-სამეურნეო არსი და დანიშნულება. ჯავახეთის კლიმატური პირობები და საზღვართან ოდითგანვე სიახლოვე განაპირობებდა აქ დარბაზული ტიპის ნაგებობების გავრცელების საჭიროებას.

ჯავახეთის მოსახლეობის ძირითადი საცხოვრებელი მეოცე საუკუნის 20-იან-30-იან წლებამდე იყო ერდო-გვირგვინიანი სახლი, რომელიც ფართის სეგმენტაციის მიხედვით იყო ორი სახისა: 1. რთული კომპლექსი და 2. მარტივი კომპლექსი. ერდო-გვირგვინიანი სახლის ქერქვეშ, გვერდი-გვერდ, ჰორიზონტალურ ჭრილში წარმოდგენილი იყო, როგორც საცხოვრებელი, ასევე სამეურნეო ნაგებობები. გარდა ამისა, ფართოდ იყო გავრცელებული მიწურ ბანიანი ნაგებობანიც.

ჯავახეთი და ერდო-გვირგვინიანი საცხოვრებელი ტიპი ადრევე მოექცა კვლევის არეალში. ქართველ ეთნოლოგთაგან პირველი ამ საკითხს შეისწავლის გიორგი ჩიტაია. მისი კვლევა საყურადღებო მრავალმხრივაა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევის დრო - მეოცე საუკუნის 20-ანი და შემდეგ 30-იანი და 40-იანი წლები. პირველი ექსპედიცია გიორგი ჩიტაიამ სამცხური და ჯავახური დარ-

ბაზების შესასწავლად ჩაატარა 1924 წელს. გიორგი ჩიტაიას დღიურში დაცულია უაღესად საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც წარმოგვიდგენს 20-იან წლებში არსებულ ჯავახურ ყოფას და საცხოვრებელ ნაგებობებს (ჩიტაია, 2001). შემდეგი პერიოდის ერდო-გვირგვინიანი საცხოვრებლის დეტალური აღწერილობა მოგვეპოვება 1935 წლის მასალის მიხედვით. მასალა ჩანერილია სოფელ ხიზაბავრაში ივანე ჯავახიშვილის დავალებით (მასალები, 1976), ეს ტექსტი ქვემოთ ვრცლად არის მოტანილი, როგორც უძვირფასესი წყარო. XX საუკუნის 60-იან წლებში ერდო-გვირგვინიანი საცხოვრებლის დეტალური კვლევა მოცემულია თეიმურაზ ჩიქოვანის სტატიებსა და მონოგრაფიაში და სხვ. ყოველივე ზემოთჩამოთვლილისა და სხვა სამეცნიერო შრომების საფუძველზე იკვეთება შემდეგი სურათი: ჯავახური ერდოგვირგვინიანი სახლი დროთა განმავლობაში იცვლის შიდა დაგეგმარებას, დავინყებას ეძლევა მშენებლობის ტრადიციები, მიმდინარეობს საცხოვრებლის შიდა სტრუქტურის ახლებური გადანაწილება და ფუნქციური ცვალებადობა. შესაბამისად, აუცილებლად წარმოგვიდგება ტრადიციის ტრანსფორმაციის ამსახველი ეტაპების წარმოჩენა.

გიორგი ჩიტაიას მიერ მოწოდებული პირველი ეთნოგრაფიული აღწერილობა დღიურის სახისაა, მაგრამ განზოგადებული დასკვნები და სამეცნიერო დაკვირვებები მას სხვა არაერთ სტატიაში აქვს გამოკვეთილად წარმოდგენილი. 1924 წლის აგვისტოსათვის გიორგი ჩიტაიამ მოინახულა ახალციხის ორი დარბაზი: სტეფანე იანოლაშვილისა და პეტრე ყირქიზლიშვილისა (ჩიტაია, 2001: 184-186). მართალია, ეს აღწერილობა უშუალოდ ჯავახეთს არ ეხება, მაგრამ მეზობელი მხარეა და კულტურის ეს ტიპი მსგავსია. „ყირქიზლიშვილები ძველი ბატონებია. დარბაზი დიდია. აქვს შესავალი კარები. ერთი და ორი დარბაზია მიდგმული ოთახებით. აქვეა ნეფე-დედოფლის დასაწოლი აჯილაკი. დარბაზების გუმბათები, კოკოშაკები დღეს ნახევრად გადაკეთებულია. განყოფილია ხის ავეჯით: განჯინა, სკამლოგინები მოჩუქურთმებულია“ (ჩიტაია 2001: 185).

გიორგი ჩიტაია სამცხის ქვაბლოვანის ხეობაში აფიქსირებს დარბაზული საცხოვრებლისგან განსხვავებულ ტიპსაც: „უძველესი ტიპია დარბაზი თავისი მახასიათებელი გვირგვინიანი სახურავით; მეორე ტიპია ოდა - ოდური ბანიანი ბრტყელი სახურავით“ (ჩიტაია, 2001: 213). ჯავახეთსა და სამცხეში იკვეთება ერდო-გვირგვინიანი (დარბაზული)



საცხოვრებლის ადგილობრივი სახელწოდება: „მერცხლის ბუდურა“. გვირგვინის ეს სახეობა ამგვარია: გვირგვინი კუთხური წყობისაა, ექვსსაფეხურიანია, ეყრდნობა საკედლო სვეტებსა და ოთახის ცენტრისაკენ არსებულ ორ დედაბოძს. გვირგვინს ბოლოში ერთო აქვს დატანებული. ბანზე მინაა დატკეპნილი. ბევრგან გვხვდება მესხური სახლის მეორე სახეობაც: ოდური ბანიანი ბრტყელი სახურავით.

დარბაზული სახლი დიდი ოჯახებისთვის იყო განკუთვნილი. მასში მეოცე საუკუნის 30-იან წლებშიც კი რამდენიმე თაობა და ცოლ-შვილიანი ძმები ერთად ცხოვრობდნენ. მაგალითად, ხიზაბავრის მასალით, თენოშვილების ოჯახი 50 სულისაგან შედგებოდა, ვენჯილაშვილებისა - 45, კელოშვილებისა - 35, ბალიაშვილებისა - 40, დათაშვილებისა - 35 (ჩიქოვანი, 1967: 83). დარბაზული სახლი სამი მხრიდან, სამი კედლით მიწაშია ამოყვანილი, სახლის პირი მიწის ზემოთაა და ღიაა. სახურავი ერთო-გვირგვინსებურია.

ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრის ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, უკვე 1935 წელს ამ სოფელში გადაკეთებული იყო ყველა სახლი, გარდა „თენოთ ალექსოს სახლისა, ლეკოთ ბასილასი და ადოთ ბასილასი. ჩვენებური სახლები სულ ქვა-ლოდებით და ტალახით არის გაკეთებული. ძველათ ტალახსაც არ ხმარობდნენ, მიწას აყრიდნენ კედლებში ქვებს. ოსტატები აქაურებივე ყოფილან, დღესაც აქაურები აკეთებენ. მასალა - ქვ-ტალახი (ძველად კი ტალახის მაგიერ მიწა), ხე, სულ ადგილობრივი ყოფილა, რადგან აქ ყოფილა დიდი დაბურული ტყე და ქვა-ლოდები ხომ ახლაც ბევრია. დღეს ტყისას აქ ველარაფერს ვხედავთ, მაგრამ ძველი ნათქვამი ამტკიცებს:

„ხიზაბავრა ქარიანო,  
წინ მინდორი, უკან ტყეო“  
„ხიზაბავრა ქარიანი,  
დარნები აქვს კარიანი,  
წინ მინდორი, უკან ტყე,  
ღვინო იცის გვარიანი“.

საშენი მასალის დამზადება, ხე-ტყისა და ქვა-ლოდისა, ყოფილა მარტო ცულით და ლოდების საგორებლად ხის კეტებით. ძველ სახლებს ხერხით და სხვა აჯათით ნამუშევარი არ ეტყობა და დახეული ფიცრებიც არ უხმარიათ. ეს სახლები გაკეთებულია შემდეგი თვლე-

ბისაგან. დარბასა (დარბაზისაგან), ახორისაგან, მარანისაგან (საკუჭ-ნაო), სათონესაგან და საბძლისაგან, საბძელს ზემოდან კალო, კალოზე კარაპანისაგან. კარაპანში ზაფხულში კალოს გალენვის დროს მეკალოები ისვენებენ და პურს სჭამენ, ზამთრობით კი შიგ ინახავენ ურემს, ჭილდა-გუთანს, არნადს, ღრიჭინას, ორთით-ფოცხს, ცელს, ნამგალს, უღელს, ტაბიკს, სამჯე კეტებს და სხვა აჯათებს. კალოზე პურის შესანახავად ორმოებია გაკეთებული, სადაც ჩადის 10-12 სომარი (16 კოდი ან ფუთი). პური (უნინ კოდში 1 ფუთი და 10 გირ. ხორბალი ჩადიოდა, ახლა დააპატარეს და ერთი ფუთი ჩადის კოდში; კოდში 4 რუბია - 10 გირ., რუბში 2 კოდი და 5 გირ.)... თენოთ ალექსოს ძველი სახლის (დარბაზი) აშენება არავის ახსოვს, რომელიც უტალახოთ, ქვა-ლოდით არის გაკეთებული. მისი კედლების აშენების დროს ქვის ნაპრალებში ტალახის მაგიერათ ჰყრიდენ მიწას და ავსებდენ. ქვა-ლოდი იქვე ყრილა და მითი უშენებით კედლები; ხე-ტყე ადგილობრივია, იქვე ყოფილა დიდი ტყე. შენობაზე დაყრილ ძელებს ცულის ნაცხვირალი სულ არ ეტყობა რა, რაც ამტკიცებს, რო იგი შორიდან არაა მოტანილი ხარებით. როდესაც ხარებით ეზიდებიან, ნაცხვირალში ჯაჭვის გაყრით აუბმენ ხარებს, ძელები ადგილობრივ მოჭრილია. შენების დროს უხმარიათ აჯათები, ცული და ხის კეტი ლოდების დასაძრავად, რომელსაც ხელით ვერ დასძრავდნენ კედელში დასათანებლად. სახლი შედგება: დარბაზისა, ახვრისა, სათონისა, მარნისა და საბზელისაგან. დარბაზი 12-25 არშინის სიგრძის, 15-20 ვერშოკის სიმაღლი, სრულიად გაუთლელი ხეებისაგან გაკეთებული არის, სამტოტიან მსხვილ კატრის ბუნებრივ დედა-ბოძზე (ეს „ბოძი“ იქვე ყოფილა ამოსული, როცა ტყე ყოფილა იქ) დაშენებული. დედა-ბოძს გარშემო კაცი ვერ შემოავლებს ხელს, ისე სხვილია. ამ ბოძს ზევით, წინ ნახევარი მტკაველი გამოშვერილი აქვს ტოტი, პატარა თიკი. ამ თიკს რასმის ჩამოსაკვიდად ხმარობენ. დედაბოძზე გადებულია გრძელი, 20 ვერშოკის სიმაღლი ხე - გარენალი, ანუ სასთუმალი (გარენალი სულ კვარია). ეს გარენალი დადებულია თავ-ბოლოთი ორს ორ-ორ არშინის სიმაღლე ქვის ბოძებზე. გარენლებზე დვენდარმა (საწარბე) აქვს გადებული შენობის მოსაყრელად (ზევით შესავიწროებლად სახურავისა). დვენდარმაზე გადებულია ორივე მხრით ხარიხები, 15-15 ვერშოკია სიმაღლითი ორ წყებათ, ზედიზედ ასამაღლებლად შენობისა და ზემოდან დუზმათ დაწყობილია ოთხი ხე (ჰორიზონტალურად). ზევიდან 6-6 ვერშოკიანი კოჭები დაწყობილია

როგორც ზემოდან, ისე ქვემოთ ნათქვამი დვენდარმასა და ხარიხებ შუა ფარღალეებში დასაყრუებლად; კოჭებზე ტალახია და ზევიდან მიწა დაყრილი. კარის ნაწილები. შესავალში, ქვეშ ზღურბლი, გვერდებზე ასული ხეები, ორი ამყოლი, ამყოლებზე ქუდი. ქუდზე ზემოდან დადებულია ტალავერი ანუ ბალავარი (მუხისაა). სახლის პატრონი - თენოთ ალექსო, 70 წლისა, მოგვითხრობს: ამ დარბაზს შუაზე ჰქონდა ერდო - იტყოდა ბებიაჩემიო. ერდოს პირდაპირ, ქვეშ შუაზე ჰქონია ცეცხლის ასანთობათ კერა. ოთხკუთხედი 1/2 არშინის სიმაღლე ქვა ყოფილა კერასთან სამკვრეთ. [რომელზედაც] კვარს სდებდნენ ოთახის გასანათებლად, როდესაც იმ დროებში არა ყოფილა ნავთი. დარბაზს ბუხარი არა ჰქონდა. ჩემ დროს დააყრუეს შუაზე ერდო და სამხრეთის მხრდიან ორთვალე ერდო გამოაღეს გვერდიდანო, კერაც მაშინ მოშალეს შუიდან და ბუხარი გააკეთეს პირდაპირ შესავალ კედელში. ამ ბუხარს ჩვეულებრივი ბუხრის ფორმა არა აქვს... ქვეშ განიერი და ზეით შევიწროებული ფორმები ამაღლებული. ეს ბუხარი ოთხკუთხათ არის გამოღებულ-გამოშენებული კედელში... ამ დარბაზში ერთი დიდი ორმოა პურის შესანახი და 20 სომრისა, ოთხი ც ღვინის ჭურებია ჩაფლული... ამ სახლის კთებას 400 წელს ვარაუდობენ ადგილობრივი ხნიერები... თენოშვილის დარბაზში ჩრდ. კედელშია სარკმელი - დოლაბი, წვრილმანებისათვის და სხვა საოჯახო ნივთების შესანახავად. ამავე კედელზეა თაროები, სადაც აწყვია ჭურჭლები თიხისა. კედლის მხარეში ქვის საქვია - თარო, ქოთნებისა და ქვაბ-ტაფების სანყოფი. სამხრეთის კედლის აღმ. კუნძულთან სათონეში შესასავლელს აქვს კარი. სათონეში თონე მოუშლიათ და გაუკეთებიათ ფურნე. დარბაზში შესავალ დერეფანში, ახორში და სხვა (სათავსოში) არის შესავალი კარები. ახორი ისეთივე ქვა-ლოდებითა და ხე-ტყის მასალითაა ნაშენი, როგორც დარბაზი. ბოძებზე დვენდარმაა, ბოძები ქვებზეა დაბჯენილი, რომ ძირები არ დაულპეს. დვენდარმაზე (დანყობილია) ხარიხები, ხარიხებზე - ყოშბაშები, , ე. ი. კვანტები და შილები, ზევიდან დუზმაა, ზევიდან - ტალახი და მიწა... საბძელი ბოძების თავზე. კედლების თავებზე გადებულია გარეწალი, გარეწალზე ზემოდან დვენდარმები, ზემოდან აწყვია ხარიხები ასამაღლებლად საბძლისა, ზევიდან - კვანტები, კვანტებზე - ყოჩბაშები, ზევიდან - კოჭები, მიწა-ტალახი და სულ ზევიდან - ერდო კალოდან ბზის ჩასაყარად... დერეფანი: კედლებზე გარეწალი (თავ-ბოლო კედლებზე დადებული), კვანტები, კოჭები, მიწა-ტალა-

ხით. საბძლის ზემოთ კალო. კალოს ერთ კუთხეზე კარაპანი მეკალო-ების დასასვენებლად და პურის საჭმელათ. ზამთარში კარაპანში ინახავენ ურემს, ჟილა გუთანს და სხვა ყველა მიწის სამუშაო აჯათს... კარაპანის მშენებლობა. წინ ერთი გრძელი ხე გადებულია კედლიდან კედელზე, რომლის შუანელი ბოძებზეა დადებული. ასეთივე ხე უკანა კედელზეა და ზედ გრძელი კვანტების თავებია დაწყობილი, კვანტებზე აწყვია კოჭები და აყრია მიწა... ახორში უბიათ საქონელი და ცალ გვერდზე ოდათ იყენებენ ზამთარში თავიანთ საცხოვრებლად, რადგან ზამთრის სიცივეში საქონელთან ახლოს თბილათ იქნებიან. ახორის ნახევარს ოდათ გადამკვდელავენ, შიგ მოაწყობენ შესავალ კარის პირდაპირ ბუხარს კედელში. ბუხარს ზევიდან მოაწყობენ ფარლებს, სადაც ჯამ-ჭურჭლეული და ქიქები ღამაზათ გამწკრივებული უწყვიათ. ბუხრის აქეთ-იქით მხარეებზე საქვები აქვთ მთელი ოდის სიგრძეზე, ბუხრის კედლიდან კარის დარაბამდე, რომელიც ახორშია მოთავსებული (აქ ოდის კარი ფიცრისა არაა, წმიდა გადებული ქერებითაა ნაკეთი, რო ახვრდან ხბო ან საქონელი არ შევიდეს ოდაში, როცა დაუბმლი დარჩებათ). საქვებზე ღამით წვებიან. საქვის თავებში ბუხრის კედელზე სიბებია მიკრული (ხის ფიცრები ერთი არშინის სიმაღლე ძირიდან, რომელსაც აქვს საქვის ზემოთ, ნახევარ არშინზე მაღლა, ვინრო ტარო 4 თითის დადება სიგანით, რაზედაც ჭრაქს და წვრიმან ნივთებს სდებენ ხოლმე სახელდახელოდ). ამ სიბებსაც ის დანიშნულება აქვს, რო საქვზე დამჯდარ სტუმარს, რომელსაც ფიჩვ-ხალიჩას უგეებენ ხოლმე, ბალიშსაც მიუდებენ სიბასთან სუფთათ და არა კედელთან... ამ ოდას ბუხრის პირდაპირ ერთი თვალი ან ორთვალიანი ერდო აქვს, ქვეშ საშუბლე მშვენიერი გაშალაშინებული და ზოგან დაჭრელებული ფიცრებით დამშვენიებული. ამის პირდაპირ ერდოს ქვეშაც ასეთივე საშუბლე ღამაზი ფიცრები აქვს ნაკეთი, რომელიც თარომდის გაფორმებულია. ამ ახვრის ოდას ორი კედელი აქვს ქვისა და ტალახისა, ერთი ბუხრისაკენ და მეორე ახვრისპირდაპირ. ამ კედლებში ბევრგან სარკმლები აქვთ. ამ კედლებში დატანებულია, ბუხარს აქეთ-იქით, ორი სარკმელი სიბის ზევით და ერთიც შკაფსავით მოზრდილი სარკმელი. ყველა ესენი კარებიანია, რომლებშიაც ინახავენ შუშეულ სუფთა ჭურჭლებს და სასტუმროდ შენახულ საჭმელ-სასმელს, ხოლო ბუხრის წვრილ სარკმელში აწყობენ, უფრო კი, ერთში, მათთვის ძვირფას ნივთებსა და საჭირო საბუთებს, რომელიც ოჯახის უფროსი წევრის

განკარგულებაში იქნება; მეორე სარკმელი ოჯახის ყოველდღე საჭირო სახმარი საგნებისთვისაა. ახლა და ახლა, გასაბჭოებისას, გაუკეთებიათ ზოგიერთს მუსანდრები, ლოგინის შესაწყობი შკაფები, რომელიც ახვრიდან შესავალ კართან საქვის ბოლოშია, ერდოს ქვეშ, მიგდებულ ადგილას, რომელსაც ვერაფერში იყენებენ... ახვრის ოდას რთავენ ფიჩვებით, ხალიჩებით და ბალიშებით. „ჯავახელები ასეთი ახვრის ოდის კეთების გეგმას ახვრის გაკეთებამდის ადგენენ და ისე დაიწყებენ კეთებას, თუ რა მხარეს საქონელს დააბამს და რომელ კუთხეს ოდათ გააკეთებს. ასეთი გეგმით ახორთან, რომლის კარები დერეფნიდან შემოდის ახორში, კარიდან 5-6 ნაბიჯის გადმოდგმით მიადგებით ოდის ფანჩატურა კარს (წმიდა ქერებით გაკეთებულს), რომელსაც გააღებთ და შეხვალთ მშვენიერ ოდაში, რომელიც ავწერეთ. ამ ოდას ქვით და ტალახით და ფიცრებით ან ქერებით გადამკედლილს ნახავთ. აამ კედლებთან რო გადაიხედოთ სუფთად დაგვილ ახორში, ყველა საქონელს დაინახავთ, რომელი სად აბია. ჯავახელები ოდებს იყენებდნენ როგორც კლუბს, დასასვენებლად და გასართობად, ზამთრის გრძელ ღამეებში შეიკრიბებოდნენ მეზობლები ოდებში, სადაც სასოფლო საქმეზე მსჯელობდნენ, მუსაიფი და ზრაპრები არ აკლდათ. კითხულობდნენ წიგნებსაც... ზაფხულობით კი ჯავახები ცხოვრობდნენ უფრო დარბაზებში და არა ახვრის ოდებში... ახვრის მოწყობილობა. კედლებთან ბაგეები საქონლის დასაბმელებით. ბაგაზე დაბმულ საქონელს ქვეშ დასაწოლად დაგებული აქვს ხეები, ზოგან ნათალი ქვები, რომელსაც ჰქვია ზღვე. ზღვეს ნაპირზე, ახვრის შუაში არის სანარწყავი, სადაც საქონელი ფუნავს. ზღვე-ბაგაზე დაბმულ საქონლის გასწვრივ სიგრძეზე გათხრილია, სადაც ჩააგვიან ახვრის სიბინძურეს და დილას ადრიან ხელძარებით ორი კაცი გაზიდავს ნეხვს და აგროებს სანეხვეზე... სათონეში ინახავენ პურის საცხობ აჯათ-ჭურჭლეულობას, ასტამს, პურის ცომს ჭურჭლით - ქოთნით, ფეშხუმს, უხლავს, ფქვილის ტომრებით ან საფქვილე დიდი გოდრებით... მარანში ინახავენ საქმელ-სასმელ ხორაგეულს: ერბო-ყველს, წნილებს ქოთნებით, ხილს, გამომცხვარ პურს, ლობიოს, კორკოტ-კარტოფილს, კვახს. საბზელში ინახავენ თივა-ბზეს, კალოზე ორმოებში ინახავენ ქირნახულს“ (მასალები, 1976: 252-258).

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება ერთსართულიანი ახალი საცხოვრებელების აგების პროცესი. XX საუკუნის II ნახევრიდან კი

მათ ემატება ორსართულიანი სახლებიც. XX ამ დროიდან მოყოლებული თითქმის აღარ აგებენ ტრადიციულ ერთო-გვირგვინიან საცხოვრებლებს. ერთო-გვირგვინიანი სახლების მშენებლობის შეწყვეტა დაკავშირებულია XX საუკუნეში საბჭოთა საქართველოში მშენებლობის მეტნაკლებად ერთიანი სტილის შემოღებასთან და იმ გარემოებასთანაც, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან ადგილობრივი მუსლიმი მესხები გადაასახლა და დაცარიელებულ სახლებში ასევე იძულებით გადმოსახლა მოსახლეობა მიმდებარე სოფლებიდან თუ სხვა მხარეებიდან. თანდათანობით გამოიკვეთა სურათი, რომ ერთო-გვირგვინიანი საცხოვრებელი ნაგებობის არქიტექტურულად საკმაოდ რთული კომპლექსის აგების მცოდნეთა რაოდენობამაც იკლო და ამ ყველაფრის გათვალისწინებით მოსახლეობამ ამჯობინა მარტივი კონსტრუქციის ნაგებობების მშენებლობა.

ჯავახური, კონკრეტულად ხიზაბავრული ერთოგვირგვინიანი და მიწურბანიანი სახლების ტიპოლოგია, სოციალური შინაარსი, მათში გამოვლენილი სახეცვლილებები შესწავლილია ეთნოლოგ ზურაბ ქუქჩიშვილის მიერ და მისი ნაშრომები უძვირფასეს წყაროს წამოადგენს ამ საკითხის კვლევით დაინტერესებული მეცნიერებისათვის (ქუქჩიშვილი 1998, ქუქჩიშვილი, 2004).

ჩვენს დროში შემონახულ ერთოგვირგვინიან კომპლექსთა და მიწურბანიან სახლთა დიდი ნაწილი მიტოვებული და გავერანებულია, თუმცა, ზოგან გვხვდება ამ სახლების მოდერნიზებული ფორმებიც, რომლებსაც მოსახლობა კვლავ იყენებს საცხოვრებლად, უფრო კი - სამეურნეოდ. ზოგან ტრადიციული მესხური კომპლექსი საგულდაგულოდაა მოვლილია, მაგალითად, საროში, ხიზაბავრაში, კარნახში, დიდ გონდურაში, ხევათში და სხვ., გვხვდება ცოცხალი სახით არსებულ ტრადიციული კომპლექსებიც, რომელთაც მათი პატრონები საცხოვრებლადაც კი იყენებენ, ზოგან კი მხოლოდ სათავსოდაა შემონახული. თუმცა ეს არაერთი ფაქტი მიუთითებს, ტრადიციული კომპლექსის შესაძლო სიცოცხლისუნარიანობაზეც.

მესხური ერთოგვირგვინიანი ნაგებობებისა და მიწურ-ბანიანი სახლების სრული აღნისხვა, განმენდა და აღდგენა ძალიან დიდ როლს შეასრულებს ადგილზე მოსახლეობის დამაგრებისა და ტურიზმის განვითარების კუთხით. ამ მხრივ ძალიან საყურადღებოა საროს ასპანიძეთა გრანდიოზული კომპლექსი, მასშტაბური ნაგებო-



ბითა და კარმიდამოთი. ის მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. სასიხარულოა ერთი ფაქტიც, მაგალითად, ბოლო წლებში უდუმი (სამცხე) აღდგენილ იქნა ულამაზესი ერდოგვირგვინიანი სახლი. საყურადრებოა, რომ სასტუმროები, რესტორნები ზოგჯერ ინტერიერისათვის იყენებენ მესხურ მოტივებს, ერთგვარ ჩანართებად თანამედროვე არქიტექტურაში (მაგალითად, სასტუმრო-რესტორანი „ვარძია“).

ჯავახური ტრადიციული საცხოვრებელი კომპლექსის ერთ საინტერესო თავისებურებას ქმნის **ადგილობრივი ტრადიციული თბოიზოლაციის ფორმები**. ეს მხარე მდიდარია თბოიზოლაციის საშუალებებით, რაც აუცილებლობითაა განპირობებული - შედარებით უტყეო მხარე, ხანგრძლივი და ცივი ზამთარი აიძულებდა ადგილობრივებს, შეექმნათ თბოიზოლაციის ლოკალური ნაირსახეობები. თბოიზოლაციის ტრადიციული ქართული საშუალებები მრავალგვარია. ჯავახური თბოიზოლაციის სახეობაა სახლის კედლების ნაკელით გალესვა და იატაკის მომშრალება ცხვრის „ხუშკით“. „ხუშკი“ ცხვრის მშრალი ნაკელია. ხანგრძლივი და ცივი ზამთრის პირობებში აუცილებელი იყო საცხოვრებელ სახლში სითბოს შენარჩუნება.

სახლის ნაკელით გალესვა ნებისმიერ პერიოდშია შესაძლებელი, თუმცა ამჯობინებენ გვიან ზაფხულს ან შემოდგომას. ცხვრისა და საქონლის ნაკელს ერთმანეთში ურევენ და თუ სურთ, რომ თხლად გაილესოს, პირდაპირ ქვის ან ხის კედლებს შელესავენ, ხოლო თუ სქლად უნდა შეილესოს, ასეთ შემთხვევაში ხის ტოტებს ან წნელებს იყენებენ, გადაჯვარედინებენ, კედელზე მიაჭედებენ და შემდეგლა შელესავენ კედელს. ჩვენი ექსპედიციების დროს ასეთ ფაქტებს შევსწარით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებში.

ნაგებობის დასათბობად კარგი საშუალებად მიიჩნევა სამეურნეო ნაგებობის იატაკის მომშრალება „ხუშკით“. „ხუშკს“ ზაფხულის განმავლობაში ბოსლის იმ ნაწილში, სადაც ცხვარი ჰყავთ, აგროვებენ და სპეციალურ სათავსში ინახავენ და კარგად აშრობენ. ზამთრობით, როცა საქონელი ბაგაბეა დაბმული, ბოსელი ბინძურდება, სველდება და ნესტიანდება, დღეში ორჯერ სველ ადგილებზე ხუშკს მოაყრიან, ის სისველეს მთლიანად შეიწოვს. კედელს როგორც წესი მამაკაცები ლესავენ და 2-3 წლის განმავლობაში განახლება არ სჭირდება, ხუშკით მომშრალება კი ყველას საქმეა და ხშირად მას ბავშვებსაც ავალებენ. კედლის შელესვა ჩვეულებრივი სამშენებლო იარაღებით

ხდება, ხოლო „ხუმკს“ სპეციალური ბოსლის ცოცხით აგროვებენ, რომელიც თხილის ან გრაკლისგან მზადდება.

ჯავახური ყოფა სრულად ავლენს მკვიდრ ქართველთა მიერ საუკუნეთა განმავლობაში არსებული ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობას თვით დღევანდელი ყოფაშიც კი, რადგან თბოიზოლაციის უძველეს საშუალებებს მოსახლეობა ჯერ კიდევ იყენებს.

ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობა - ქართველები და შემდეგ ამ მხარეში ჩამოსახლებული სომხებიც - გათბობის საშუალებად შეშასთან ერთად იყენებენ **წივას**. ცნობილია, ჯავახეთი ღარიბია ხე-ტყით, ამიტომ მოსახლეობა იძულებული გახდა სხვა სანვავი საშუალება მოეძებნა. ასეთი საშუალება აღმოჩნდა ცხვარ-ძროხის გამხმარი ნაკელი, რომლისგანაც ისინი წივას ამზადებენ.

ჯავახებს შეშა ძველად (1930-იან წლებში) უფრო მეტად ჭობარეთის, ტამალისა და ბაკურიანის ტყეებიდან მოჰქონდათ. „სათრევი ხეებიდან აჭრიდნენ ტოტებს და ან ნაქცეულ ხეებს აპობდნენ და სახლში ან გასაყიდათ ეზიდებოდნენ ახალქალაქში. ჯავახეთში მეტწილად წივას ხმარობენ სანვავად, რადგან საქონელს ბევრს ინახავენ და მათგან დამზადებულ წივას ზამთარ-ზაფხულ სანვავად იყენებენ. ამასთანავე დასახელებული ტყეები ბევრ სოფელს არ უახლოვდება, შარასა. ძველათ კი შიგ სოფლებშიც ყოფილა ტყეები, მარა ისინი ბოლოს მოსპობილა და ახლა მთელი ჯავახეთი ტიტველა თვალუნვდენ მინდვრებს უჭირავს... თუ მხედველობაში არ მივიღებთ თავფარავნისა და მტკვრის ღრმა ხეობებსა, სადაც შვენიერი ბაღები და ვენახები გაშენებული“ (მასალები 1992: 277-278).

წივის დასამზადებლად აგროვებენ ცხვრის ან საქონლის ნაკელს, ჭრიან მას მართკუთხა ან ოთხკუთხა თხელ ფენებად და ალაგებენ კედლისებურად. მოგვიანებით კიდევ ამატებენ და ასე იქცევიან მთელი ზამთრის განმავლობაში. ზამთარში ადვილია ნაკელის შეგროვება, რადგან საქონელი ბაგაზეა დაბმული და არსად არ მიდის. ზაფხულის დასაწყისში იწყება წივის მოჭრა. სანამ დახაზვას დაიწყებენ, ჯერ მოგვიან მთლიან ტერიტორიას. შემდეგ დაიხაზება და ტარდებად ჭრიან (პატარა ოთხკუთხედ ნაჭრებად). დაჭრილს ტოვებენ რამდენიმე დღე, სანამ ცოტათი შეშრება, შემდეგ ღობეებზე შემოალაგებენ, ამას ქვია „ყალაღი“. ღობეზე შემოწყობილ წივას რამდენჯერმე გადაატრიალებენ, კარგად რომ გამოშრეს და საბოლოოდ ერთად დაწყობენ ზამთრისთვის შესანახად. ცხვრის წივას ბევრად

უფრო მეტი ძალა აქვს და უსუნოა ამიტომ მას სასტუმრო წივას უწოდებენ. წივის საშუალებით მოსახლეობა თბება, ამზადებს საკვებს, ადრე თონესაც წივით ახურებდნენ. წივის მოჭრა როგორც წესი კაცის საქმეა, მაგრამ მის მოსაჭრელად დიდი ძალისხმევა არ არის საჭირო, ამიტომ ზოგჯერ ქალებიც ასრულებენ ამ საქმეს. ბევრგან შევესწარით, რომ ამ საქმეს სწორედ ქალები ასრულებდნენ.

ჩვენი დროისათვის ჯავახეთის სოფლების გარკვეულ ნაწილში ბუნებრივი აირი უკვე შეყვანილია და ეს პროცესი გრძელდება, დროთა განმავლობაში ყველა სოფლის გაზიფიცირდება და მოსახლეობას, სავარაუდოდ, აღარ დასჭირდება დიდი რაოდენობით წივის მომზადება.

ტრადიციული თბოიზოლაციის საშუალებები რომ აუცილებელი იყო სიცოცხლისუზრუნველყოფის სიტემისათვის, დასტურდება თანამედროვე მეცნიერული დაკვირვებითაც. ცნობილია, რომ სამშენებლო პრაქტიკაში ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინება აუცილებელია. ამჟამადაც ამა თუ იმ ობიექტის დაგეგმარების თუ მშენებლობის სტადიაშიც კლიმატის გათვალისწინებით გადაწყვეტენ სამშენებლო ობიექტების არქიტექტურულ-გეგმარებითი ღონისძიებებს. კლიმატზევა დამოკიდებული ამა თუ იმ ობიექტის საექსპლუატაციო დონეც. შესაბამისად, სამშენებლო კლიმატოლოგიის ამოცანაა, მშენებლებს მისცეს იმ რაიონის კლიმატური მონაცემები, სადაც მიმდინარეობს მშენებლობა, გამოიყენოს გეოგრაფიული გარემოს დადებითი მხარეები და მიიღოს შესაბამისი ზომები უარყოფითი ზემოქმედებისაგან დაცვისათვის. დარგის სპეციალისტთა რეკომენდაციაა, რომ საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების თბოტექნიკური გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ტემპერატურული მონაცემები: შენობის შიგა ჰაერის ტემპერატურა არ იყოს ნაკლები 18 გრადუსზე (საბავშვო დაწესებულებებსა და საავადმყოფოებში კი 20-22 გრადუსზე). ზამთარში შენობის შიგა ჰაერის ტემპერატურაზე დიდ გავლენას ახდენს გარე ჰაერის ტემპერატურის დაწვევა, რომელიც გრძელდება საკმაოდ დიდხანს. ამ შემთხვევაში, რაც უფრო თხელია შენობის კედლები, მით უფრო სწრაფად აღწევს მასში სიცივე. ჩვეულებრივი სისქის კედლებზე კი მოქმედებს გარე ჰაერის ტემპერატურის დაწვევა, რომელიც განუწყვეტლივ გრძელდება 5 დღის მანძილზე (ხუთდღიური პენტანდა). ამიტომ შენობების დაპროექტებისას თბოტექნიკოსმა აუცილებლად

უნდა იცოდეს გარე ჰაერის ტემპერატურა წელიწადის ყველაზე ცივი პერიოდის დროს ე.წ. საანგარიშო ტემპერატურა. ქარის მოქმედება შენობებზე ვლინდება დატვირთვის სახით და წარმოადგენს კონსტრუქციის ვიბრაციის ძირითად წყაროს. შენობებზე ქარის მოქმედების გაუთვალისწინებლობა იწვევს ხიდების, მაღალი შენობების დანგრევას, ელექტრო გაყვანილობის და რადიოანძების ხაზების დაწყვეტას (ქართველიშვილი, მეგრელიძე, ქურდაშვილი, 2016: 148-156). ტრადიციულ კულტურაში მშენებლები ეყრდნობოდნენ რა ხალხურ დიდ გამოცდილებას, მუდამ ითვალისწინებდნენ გარემო პირობებს და შექმნილიც ჰქონდათ თბოიზოლაციის ადგილობრივი ფორმები.

**ქართული ხალხური ტრანსპორტის სახეობებიდან** ჭავახეთში გავრცელებული იყო საბარო ურემი, ბჯის ურემი, ჭიჭყინა. ჭიჭყინას იყენებდნენ ძარის დასადგმელად.

გიორგი ჩიტაიას დაკვირვებით, საქართველოში გავრცელებულ ურემთა შორის, ერთ განსაკუთრებულ სახეობას სწორედ მესხური ურემი, კერძოდ, „ახალციხური საძნე“ ქმნიდა (ჩიტაია, ჯალაბაძე, 1985: 54). სამცხე-ჯავახეთში ასეობდა საბარო ურემიც და საძნე ურემიც. საბარო ურემი შემდეგი სტრუქტურისა იყო: „საბაროს აქვს ორი ხუთ არშინიანი სიგრძის დედნები. ერთი ბოლოდან ერთ არშინზე აქვს დათვები აკრული ქვევიდან. დათვებს გახვრეტილი აქვს შუაში, რაშიც ხეები აქვს ჩარჭობილი ღერძზე დასაცმელად, წინა ხეს ჰქვია საყენებელი, უკანას - ყვერი. დედნებს დასამაგრებლად გაყრილი აქვს გარჯები ორივე თავებით. დედნების ტავები წინიდან ერთმანეთთან დამაგრებულია, დაკავშირებულია საბენვით, უკან დაირიბებულია. კოფოების ქალები ჩაყრილია დედნების თავში. დედნებზე კოფოების წინ ფიცრებია დანყობილი. ეს ფიცრები ტვირთის დასადებია. წინ დედნებზე, სადაც სატვირთე ფიცრები თავდება, ამა უგრძესი ფიცარია დედნებზე დაგებული ხარების უკან, რასაც სატრაკე ჰქვია. საბარიოს ხმარობენ ტვირთის დასადებად და მგზავრების გადასაყვანად“ (მასალები, 1987: 126-127).

ბჯის ურემი ამ სახისა იყო: „ურმის დედნების სიგრძე რვა-ცხრა არშინია, დედნის წინა თავები - ერთ-ნახევარი არშინი ზევით რქებსავით აშვერილი და ორივე დედანი... კოფოს ხით დამაგრებულია. რქებსავით აშვერილს ქალები ჰქვია... დედანი სამ ადგილას დახვრეტილია. ორივე დედნის წინა ნახვრეტში აგეყრება ნემსა, მეორე და მესამე ნახვრეტებში - გარჯები. .. წინა ნემსაზე ხელნებია შეცმული.

ხელნები ხარის შესაბამელათ არის. თუ რამდენიმე უღელი ხარის შებ-  
მაა საჭირო, ნემსაზე ჯაჭვის ერთ თავს მიაბამენ, მეორე თავს წაიღე-  
ბენ წინ და რამდენი უღელიც დასჭირდებათ, ჯაჭვით შეაბამენ. დედ-  
ნებზე დაკრულია ოთხი ვერშოკი სიგრძის ხე - დათვა, რომელშიც  
გატარებულია ხელნები და ჩამოცმულია საყენებელი და ყვერი. ჭა-  
ლებ შუა ღერძზე დაადებენ დედნებს. ღერძებში გოგორებია გაყრი-  
ლი... დედნებს ფერსობის ქვეშ საცურავები აქვს.... მასალა მოგვაქვს  
ადგილობრივი ტყიდან“ (მასალები, 1987: 126-127).

ტრადიციულად ჯავახეთის მეურნეობის მთავარ ფორმებს წარმო-  
ადგენდა **მინათმოქმედება** (მემინდვრეობა, მევენახეობა, მეხილე-  
ობა, მებოსტნეობა) და მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუ-  
ტყვი, ცხვარი).

ჯავახეთი **მემინდვრეობის** დიდი ტრადიციებით გამოირჩეოდა.  
ამ საკითხით ადრიდანვე დაინტერესდნენ ქართველი ეთნოლოგები.  
(იხ. გ. ჩიტაიას 1924 წლის დღიური). ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა  
გ. ჯალაბაძის ნაშრომები (ჯალაბაძე 1972). ჯავახეთში მოჰყავდათ  
ქერი, ჭვავი, შვრია, ფეტვი და ხორბალი (დიკა, მახა - „მახნია“, წითე-  
ლი დოლი), აგრეთვე, ოსპი, მუხუდო, ცერცვი, ბარდა, ლობიო და სხვ.  
ჯავახეთი მუდამ ამარაგებდა საქართველოს სხვა მხარეებს მარცვ-  
ლეულითა და პურით. თვით გვიანშუასაუკუნეებშიც, „როდესაც მესხე-  
თი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნო-  
და და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც  
კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და სამცხეს საქა-  
რთველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება და  
იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, სანოვაგე, განსაკუთრე-  
ბით კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად“ (ჯავა-  
ხიშვილი, 2016).

ტექნიკურ პროგრესამდე ჯავახეთში სახვნელი საშუალება იყო  
ქართული გუთნის ნაირსახეობანი: არონა, ჯილა, კავი. მესხური ჯი-  
ლა გიორგი ჩიტაიას საგანგებოდ აქვს შესწავლილი და მიიჩნევს,  
რომ „ჯილა საკმაოდ თავისებური სახვნელია, რომელიც დიდად  
მნიშვნელოვანია სახვნელი იარაღის ისტორიისათვის საზოგადოდ  
და კერძოდ საქართველოში. მისი გავრცელების არეალი ამჟამად  
შემოფარგულია ახალციხისა და ახალქალაქის მზრებით“ (ჩიტაია,  
1997: 63-64). საუბარია 1924 წელზე.

ჯავახეთში ყანის დასაფარცხად იყენებდნენ კაბდოს. მოსავალს

ლენავდნენ კევრით. მარცვლეულის გასანიავებლად იყენებდნენ ქვაცხრილას (ჩიტაია, ხაზარაძე, 1985: 87). მარცვლეულის ცეხვა და ნაყვა ქვისა და ხის საცეხველში ხდებოდა. ჯავახეთში გავრცელებული იყო თოხმახიანი როდინი, სწორსანაყიანი როდინი, სანაყ-სასრესი როდინი (რუხაძე, 1985: 92). აქ არსებობდა ხელსაფქვავების ორივე ნაირსახეობა, როგორც მრგვალი და ბრტყელი, ასევე მრგვალი და კონუსური მოყვანილობის ხელსაფქვავები. ხელსაფქვავების ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა მარილისა და საკორკოტე ხორბლის დანაყვა. კორკოტს, ცნობილია, რომ მნიშვნელოვანი სარიტუალო დატვირთვა ჰქონდა (მას აუცილებლად ამზადებდნენ საშობაოდ, საახალწლოდ...) (შილაკაძე, 1985).

ამჟამადაც ხორბალი დიდი რაოდენობით მოჰყავთ სამივე მუნიციპალიტეტის სოფლებში. სამნუხაროდ, ტრადიციულ ქართულ ადგილობრივ ჯიშებს, როგორც იყო ენდემური დიკა, წითელი დოლი, მახას ადგილობრივი ჯიში „მახნია“ და სხვ., საბჭოთა პერიოდში და შემდგომაც, სახელმწიფოს ჩარევით, ჩაენაცვლა შემოტანილი ხორბლის სახეობები. თუმცა, ბოლო ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოს დახმარებით რამდენიმეგან აღდგა მესხური ხორბლის მოყვანის ტრადიცია, რომლის მასშტაბიც, იმედია, დროთა განმავლობაში გაიზრდება. ქართული ხორბლის გადარჩენისა და გავრცელების კუთხით დადებით როლს ასრულებს ახალი ფესტივალი - ახალციხის პურის ფესტივალი, რომელიც იმართება ყოველი წლის ოქტომბერში. ფესტივალზე ადგილობრივ მწარმეებს, ფერმერებს, მონასტრებს გამოაქვთ თავიანთი ხორბალი და პურეული კულტურები, პურის ნაირსახეობები, რომელთა შორისაც, ცხადია, მესხური პურის ყველა სახეობაა წარმოდგენილი.

**მესაქონლეობა** ჯავახეთის ერთ-ერთი მთავარი დარგია მეურნეობისა, რაც დასტურდება არქეოლოგიური არტეფაქტებითაც და შუასაუკუნეების წერილობითი წყაროების მეშვეობითაც. ზოგადად ტრადიციულად მესხეთში გავრცელებულია ბარის ჯიშის საქონელი, რომელიც ხასიათდება დიდი ტანით, წითელი შეფერილობით. „ამ ჯიშის გადამეტებული მწარმოებლობა არის სამუშაო ძალა. ხორცის მხრივ მეორე, ხოლო მერძეულობით მესამე ადგილი უჭირავს“ (გედევანიშვილი, 1933).

საქონელი და ცხვარი ყველა ოჯახს ჰყავდა. საქონელი ბაგურ კვებაზე გადაჰყავთ ნოემბრიდან. ამისათვის აგებული იყო ახორი/ბო-



სელი, რომელიც ადრე საცხოვრებელი კომპლექსის გარკვეულ ნაწილში იყო განთავსებული, ახლა კი ბევრგან ცალკეა აგებული. ზოგან ძველ მესხურ კომპლექსებსაც იყენებენ ამ მიზნით. ცნობილია, რომ მესხური ტრადიციული საცხოვრებლის შიგნით გამოიყოფა ახორიც/ბოსელიც და საბძელიც (ჩიქოვანი, 1967: 66), რომელშიც ხანგრძლივი, ყინვიანი ზამთრის დროს გამოიზამთრებდა საქონელი. საქონელს საკვებიც და წყალიც ბოსელში ეძლეოდა. საკვები, ძირითადად, იყო ჩალა, ბზე და თივა. ბაგურ კვებაზე გადაყვანილ საქონელს გიორგობიდან თებერვლამდე დღეში ორჯერ კვებავდნენ, ჯერ დოლის პურის ბზეს აძლევდნენ, ხოლო ქერის ბზეს უმატებდნენ. თებერვლიდან დღე მატულობს და საქონელს ბზესთან ერთად თივასაც აჭმევდნენ. განსაკუთრებულად კვებავდნენ ხარებს ცხვარს ჯერ საძოვრებზე აძოვებდნენ, დაზამთრებისას „ყიშლებში“ ჰყავდათ, თებერვლიდან კი სოფელში მოჰყავდათ ბაგურ კვებაზე, გაზაფხულამდე (მაკალათია, 1972: 43-44). საქონლის საკვები იქვე საბძელში ინახებოდა. ცნობილია, რომ ჭავახეთში „ახორის უკანა კედელზე გამოღებული იყო ე. წ. სათოვლე, საიდანაც თოვლი ჩამოიყრებოდა და დაიყრებოდა რუკაზე (ბრტყელი ქვა, გვერდებზე ღარამოღებული და ცალ მხარეს დ ავინროებული), რუკაზე დამდნარი თოვლი ჩადიოდა ქურუნში, შემდეგ კი გადიოდა იქვე მდგარ მეორე ქურუნში“ (მაკალათია, 1972: 42).

ძველად და საბჭოთა პერიოდშიც კარგად იყო მოგვარებული მესაქონლეობის მართვის საკითხები. არსებობდა ამგვარი ტრადიცია: ქართველი მოსახლეობა საქონელს სოფლიდან მთის საძოვრებზე გადარეკავდა თოვლის აღების შემდეგ. ზოგიერთი სოფლიდან ჯერ „ქვეშა მთაზე“ გადაჰყავდათ, შემდეგ - „ზედა მთაზე“. ძველად თარიღს ანგარიშობდნენ „ხომლის“ კვირის დადგომით: „თიბათვეში, როცა გამოჩნდება ვარსკვლავთა ჯგუფი ხომლი. ხომლი ამოდის თიბათვის ექვსში, მაგრამ თორმეტ რიცხვამდე თვალთ უხილავია“ (მაკალათია, 1972: 50). უკან ბრუნდებიან მარიობის თვის ბოლოდან, ღვთისმშობლობის შემდეგ. ყველა სოფელს თავ-თავისი „თა“ ჰქონდა. უმრავლესი ჭავახური სოფლებიდან მაინც პირდაპირ „ზედა თისაკენ“ მიდიოდნენ და ორ თვეს რჩებოდნენ. საზაფხულო საძოვრებზე ჰქონდათ (ზოგიერთ სოფელს ახლაც კარგად მოვლილი აქვს) სადგომები, რომელთაც ორგვარი ფორმა ჰქონდათ, ან ძელურისა, ან მინური ქოხისა. ამჟამად ეს ტრადიცია ზოგ სოფელში მოშლილია, ბევრგან კი ისევ ცოცხალია.

სამცხესა და ჯავახეთს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები იყო დამყარებული. მაგალითად, არსებობდა ტრადიცია სამცხის სოფლებიდან საქონლის გამოსაკვებად „გაბარება“. სამცხელებს „გასაბარელად“ საქონელი მიჰყავდათ ჯავახეთის სოფლებში: ჩუნჩხში, პრტენაში, ქილდაში და სხვ. (მაკალათია, 1972: 45).

საძოვართა და სათიბთა სიმრავლე აპირობებდა მესაქონლეობის განვითარებას. ძირითადად გავრცელებულია მსხვილფეხა მესაქონლეობა. პურელ, ხორცისა და რძის პროდუქტებს წამყვანი ადგილი უჭირავთ ადგილობრივთა ყოფაში.

ისინი, ვინც ტრადიციას იცავენ, თიბვას ძველდაც და ახლაც იწყებენ პეტრე-პავლობის დღესასწაულის შემდეგ, მარიობის თვეში (აგვისტო) კი მთის სათიბებს თიბავენ 29 აგვისტოდან. ამჟამად ვრცელ მინდვრებს თიბავენ ტექნიკური საშუალებებით. ყოველ კომლს საკუთრებაში აქვს გარკვეული რაოდენობა სათიბებისა.

ასპინძის რაიონში ყველაზე კარგია ნიალასა და ვანის სათიბები. კარგი საძოვრები და სათიბებია ნინოწმინდის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებშიც, სადაც ჰყავთ დიდი რაოდენობით მსხვილფეხა რქოსანი საქონელიც და ცხვარიც. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატი აპირობებს აქ მესაქონლეობის განვითარებას. ამ რაიონებში დიდ ფართობებზეა გადაჭიმული სათიბები და საძოვრები, ბალახიც მანიერია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული სამმართველოს მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთში 1450 ფერმერია რეგისტრირებული, რომელთაც 20 ან მეტი საქონელი ჰყავთ მოშენებული. რეგიონში ამ დროისათვის 136000 სული პირუტყვია. არის დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები (<https://mepa.gov.ge/Ge/Page/RegisterofAgriculturalCooperatives/>)

ზოგიერთ ოჯახს 30-40-მდე სული საქონელიც ჰყავს, მაგალითად, აფნიაში, გოგაშენში, მირაშხანში, აზმანთაში, ქარცევეში, ოკამში, ხევათში, ვაჩიანში.

საყურადღებო ეთნოგრაფიული მახასიათებლებით გამოირჩევა სოფლები დადებში, სულდა, ბოზალი, კარნახი და სხვ. მაგალითად, ეთნოგრაფიულად უაღრესად საყურადღებოა სოფელი ხავეთი, სოფელი კარნახი, რომლებიც საზღვართან ახლოსაა და ეთნიკურად მთლიანად სომეხი მოსახლეობისაგან შედგება. აქაურნი, ძირითადად, მესაქონლეობას მისდევენ. აღსანიშნავია, რომ ბავშვებმა და მოზარდებმა უკვე იციან ქართული.

სახელმწიფო ეხმარება ფერმერებს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ზრუნავს ადგილობრივი მეურნეობის განვითარებაზე. მაგალითად, სამინისტროს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს აქვს არაერთი პროგრამა/პროექტი, რომელიც უშუალოდ მეურნეობის განვითარებას ემხსახურება: პროექტი „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“, პროგრამა „დანერგე მომავალი“, პროგრამა „აგროდაბლევა“, „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“, „სოფლად ახალგაზრდა მენარმეების მხარდაჭერის პროგრამა „ახალგაზრდა მენარმე“, „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი“, „სოფლის განვითარების პროგრამა“, „სასოფლოსამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობის პროგრამები“ (<https://mepa.gov.ge/Ge/Page/ServicesGuide>).

სახელმწიფო აფინანსებს პირუტყვის აცრების ნაწილსაც, მაგალითად, პრევენციის მიზნით, სახელმწიფო პროგრამით, ვაქცინაცია თურქულსა და ჯილესზე ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ტარდება და უფასოა. დანარჩენ დაავადებაზე კი მოსახლეობა პირუტყვს საკუთარი ხარჯებით აცრის.

მოსახლეობა რძის ნაწილს რძის მიმღებ პუნქტებში აბარებს. ამოდიან ნინოწმინდიდან და ახალქალაქიდან და ცისტერნებით მიაქვთ.

ზოგიერთ სოფელში მიგრაციული პროცესის ოდნავი შეჩერება გამოიწვია გზის გაყვანამ და მოასფალტებამ, მაგალითად, ადგილობრივთა ყოფაზე ფრიად დადებითად აისახა კეთილმოწყობილი გზის გაყვანა აფნიიდან, გოგაშნიდან, აზმანადან და მათი მიდებარე სოფლებიდან ახალქალაქამდე. ამ სოფლებიდან უკვე 15-20 წუთში ჩადიან ახალქალაქაში, რაც განსაკუთრებით კარგია ზამთრის დროს, როდესაც ვარძიიდან გოგაშენისაკენ მომავალი რთული გზა საკმაოდ საფრთხის შემცველია.

ჯავახეთში ტრადიციულად არსებობდა **სოციალური სოლიდარობის** მრავალი ფორმა, მათ შორის, შრომითი ურთიერთდახმარების წესიც. როგორც უკვე ითქვა, ჯავახეთი განვითარებული მესაქონლეობის მხარეა და აქაური შრომითი ურთიერთდახმარების ფორმებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „ხანულობის“ ტრადიცია. ხანულობა ფრიად სასარგებლო ტრადიციაა. ხანულობა შესაძლოა წელიწადის ნებისმიერ დროს დაიგეგმოს, როცა საქონელი იწველება, რაფგან

ხანულობა გულისხმობს ოჯახთა შეამხანაგებას რძის მარაგის შექმნისათვის. შეამხანაგებელი ოჯახები ერთმანეთში მორიგეობით ცვლიან რძეს. ერთი ოჯახი მეორეს აძლევს თავისი რძის მთელ მარაგს და გარკვეული დროის შემდეგ უკან იბრუნებს იგივე რაოდენობის რძეს. რძის აწყვა ხდება არა ლიტრობით, არამედ „ჭდის დადებით“. ასარწყავად ორივე ოჯახი იყენებს ერთიდაიგივე ჭურჭელს, რომელშიც ასხამენ რძეს. ჭურჭელში ჩაყოფენ ხის სუფთა ტოტს და სადამდეც რძე ასწვდება დანით აღნიშნავენ იმ ადგილს (დანით ჭდეს დაადებენ ერთ მხარეს) ასე გრძელდება 10 დღე და ამ დროის განმავლობაში პირველი ოჯახი მეორე ოჯახს აძლევს თავის რძეს. 10 დღის შემდეგ მეორე ოჯახი იწყებს რძის დაბრუნებას. დაბრუნების დროს მეორე ოჯახმა ისევ იმ ჯოხით უნდა არწყოს რძე და თუ ზუსტად იგივე რაოდენობას აბრუნებს, რის შედეგადაც ჭდეზე დადებული 10 ნიშანი რიგრიგობით წაიშლება. ჭდეზე ნიშნის წაშლისთვის საჭიროა ერთ მხარეს შეჭრილი ჭდე მეორე მხრიდანაც შეეჭრათ და ნიშანი გაქრება. თუ რძე რომელიმე ჭდეზე დააკლდება, ხდება „კუდნის“ დადება. კუდნი არის იგივე ჭდე, ოღონდ რადგან საკმარისი რძე ერთდროულად ვერ გროვდება, ორ ან მეტ დღეზე გადანაწილდება და ერთი დიდი ჭდის ნაცვლად ორი ან სამი კუდნი ამოიკვეთება. აღნიშნული შეამხანაგების წესი იმისთვის არის საჭირო, რომ რძის რესურსი სწორად იქნას გამოყენებული და ტყუილად არ დაკარგოს დრო. თუკი ადამიანს თვეში ყოველდღე ხუთ კილოგრამი ყველი ამოჰყავს, ის ირჩევს, რომ ნახევარი თვის ნაწველი რძე „ამხანაგს“ „ათხოვოს“ და შემდეგი თხუთმეტი დღის განმავლობაში უკან დაიბრუნოს ორმაგი, ანუ მხოლოდ ნახევარ თვეში მოამზადოს ყველი, უკვე ათი კილოგრამი ყოველდღიურად. ამით ორივე ოჯახი ნაკლებ დროს დახარჯავს. ძირითადად ქალები არიან „ხანულები“, რადგან რძის განკარგვა მესხეთში უმეტესად ქალების საქმეა. ამ ეტაპზე ხანულობის ჩვეულებას ხელს უშლის რძის მიმღები პუნქტების სიმრავლე და მოსახლეობის ნაწილს ურჩევნია, რძე ჩააბაროს, ვიდრე თვითონ იბრომოს ყველის ამოსაყვანად.

ჯავახეთის უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა **ტრადიციული ტერასული მეურნეობა**. ტერასული მეურნეობა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის კულტურის ნაწილია. ზოგან ტერასა ბუნებრივი წარმოშობისაც არის - ხეობებში, მდინარეთა დაბლობ ნაპირებზე. ჯავახეთში კი ვხედავთ ადამიანის ხელით

აგებულ, გამაგრებულ, საირიგაციო ცოდნის გამოყენებით დატერასებულ მონაკვეთებსაც და ბუნებრივი დატერასების გამოყენების კვალსაც. ჭავახეთის ტერასული კულტურის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით გიორგი ჩიტაიას (ჩიტაია 1997), ლ. ბერიაშვილს (ბერიაშვილი 1973), ნ. ჩიჭავაძეს (ჩიჭავაძე, 1976) და სხვ.

ჭავახეთთან ერთად ტერასები, ტერასული მეურნეობა საქართველოს რამდენიმე სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისთვისაცაა დამახასიათებელი. ეს მხარეები არის: სამცხე, აჭარა, ქართლი - ქსნის ხეობა (ცხავატი), ატენის ხეობა და სხვ. ტერასული მიწათმოქმედება გავრცელებულია ისტორიული საქართველოს იმ მხარეებშიც, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა მოქცეული. ეს მხარეები არის: ჭავახეთის არაერთი სოფელი, კლარჯეთი ნიგალის/ლიგანის ხეობითურთ, ზემო მაჭახელი, არტანუჯის მხარე, შავშეთი იმერხევითურთ, ფოცხოვი, ერუშეთის ნაწილი, არტაანის ნაწილი, არზრუმის რეგიონის ნაწილი, სპერი და სხვ. ბევრგან, სადაც უკვე აღარ სახლობენ ქართველები, მათ მიერ დატოვებულ სოფლებში მცხოვრები სხვადასხვა ახალი ჯგუფები იყენებენ ძველ ტერასებს მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის.

სამეცნიერო კვალიფიკაციით ჭავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში არსებული მიწათმოქმედების ტრადიციები გავრცელებულია მთისძირის ზოლის არეალში. ამ კულტურულ-გეოგრაფიული ზოლისათვის მკაფიოდ დამახასიათებელი თავისებურებაა ტერასული მიწათმოქმედება, რაც თავის დროზე სათანადოდ გაანალიზა გიორგი ჩიტაიამ და დაასკვნა, რომ მთისძირის ზოლის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თავისებურებას სწორედ ტერასული მიწათმოქმედება წარმოადგენს (ჩიტაია 1997: 34).

ჭავახეთის ტერასების კულტურა უძველესი წარმოშობისაა. იგი დიდად განვითარებული ჩანს მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში. „საქართველოს ტერასული მეურნეობა განიხილება როგორც განსაზღვრული ბუნებრივ-სამეურნეო გარემოთი შეპირობებული მეურნეობის ფორმა, რომელიც ძირითადად ახალი სავარგულების ათვისებას ისახავს მიზნად და ინტენსიური მეურნეობის ერთ-ერთ ეფექტურ ღონისძიებად გვესახება. ამავე დროს, იგი მიმართულია ბუნების უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ“ (ბერიაშვილი, 1985: 18-19).

ჭავახეთი უძველესი კერაა ქართული მიწათმოქმედებისა. არქე-

ოლოგიური არტეფაქტებით დასტურდება უწყვეტი ტრადიცია მემინდვრეობისა (ხორბლის ადგილობრივი სახეობები, ქერი), მევენახეობისა, მეხილეობისა (ჩუბინაშვილი, 1963, ჩუბინაშვილი, 1970). უმნიშვნელოვანესი ფაქტია ჯავახეთში სელის კულტურის არსებობაც და სელის ზეთსახდელების მნიშვნელობა რეგიონისა და საქართველოს სხვა მხარეების სოციო-ეკონომიკური ცირკულაციისათვის (მოლოდინი, 1963). მინათმოქმედების განვითარების მიზნით აქ შემონახულია ტერიტორიის დატერასების, ტერასათა კედლების ამოშენებისა და მორწყვის საკმაოდ მაღალი ტექნოლოგიური მახასიათებლები. ცნობილია, რომ ტერასული მინათმოქმედების განვითარების მთავარ მიზანს ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა წარმოადგენდა, რაც ნათლად ავლენს ადგილობრივ ქართველთა ემპირიულ ცოდნას ხალხური ეკოლოგიური გამოცდილების კუთხით. ტერასების სარწყავი სისტემები საკმაოდ რთულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს წარმოადგენდნენ, მათ მშენებლობასა და ფუნქციონირებას ამ საქმის სპეციალისტები – მერაბეები – უძღვებოდნენ. სარწყავი არხები მტკვრის შენაკადების ზემო წელიდან გამოჰყავდათ და ცხელი, მშრალი ზაფხულის განმავლობაში წყალი რომ არ მოკლებოდათ, არხების სათავეებში დამბების საშუალებით მცირე წყალსაცავებს აგებდნენ, ზამთარსა და გაზაფხულზე დაგროვილ წყალს ზაფხულში მოიხმარდნენ. ამ პერიოდში წყალი მკაცრად გაწერილი გრაფიკით და ძირითადად ღამით ნაწილდებოდა, რითაც წყლის აორთქლება არხიდან და ტერასებიდან მინიმუმამდე მცირდებოდა და გამორიცხავდა ნიადაგის დამლაშებას (გონგაძე, 2016: 109).

ჯავახეთში არსებულ ტერასათა აღნუსხვა და აღწერილობა გვაძლევს ასეთ სურათს: კლასიფიცირების მიხედვით ჯავახური ტერასა ძირითადად ქვისკედლიანია: „ტერასებს განსხვავებული სიდიდე აქვთ. მათი აგების პრინციპები კი ერთია. ფერდობი რამდენიმე საფეხურად, ჰორიზონტალურადაა შეჭრილი ქანობში და ქმნის სწორი ზედაპირის მქონე ფართობს. პირველი, ანუ ქვედა საფეხური მომდევნოზე წინაა გამოწეული და ასე მეორდება ყოველ შემდგომ საფეხურზე. ტერასულ ნაკვეთებს შორის ქვის კედლებია აგებული, ისე, რომ ყოველი ქვედა საფეხურის კედელი მომდევნო საფეხურის დასაწყისსა და მის საფუძველს წარმოადგენს. ორ კედელს შორის მოქცეული მინის ზოლი, რომელსაც სხვადასხვა ფართობი უკავია, არის ტერასა, ანუ კულტურათა გასაშენებლად შექმნილი ხელოვნურად დაბაქნებუ-



ლი ადგილი“ (ბერიაშვილი, 1985: 19).

ტერასების ნაწილი შემონახულია ჩვენი დროისთვისაც და გამოყენებულია ყოფაში - მეხილეობის, მევენახეობისა და, ნაწილობრივ, მებოსტნეობისათვის. თუმცა ჭავახურ ტერასათა დიდი ნაწილი, სამუხაროდ, მიტოვებულია და ინტენსიურად აღარ მუშავდება. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ტერასა აღდგენილია, თუმცა ეს მხოლოდ მცირე ნაწილია ჭავახური ტრადიციული ტერასული კულტურისა. აღდგენილ ტერიტორიაზე გაშენებულია მესხური ჭიშის ვაზი. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტია, რადგან ჭავახეთში არსებობდა მევენახეობის ადგილობრივი ფორმები, რომელთა აღდგენა ამ მხარის სოფლის მეურნეობის აღორძინების საფუძველი შეიძლება გახდეს (გონგაძე, 2016: 110).

ტერასები გვხვდება როგორც სოფლებში, სოფლების მისადგომებთან, ასევე ნასოფლარებში (აქ განსაკუთრებით გულსაკლავია მიტოვებულ ნამოსახლართა იერი), მაგალითად, აფნიაში, ქაჭკარში, ხიზაბავრაში, ახჩიაში, ხერთვისში და სხვ. ჭავახეთში შემონახულია ტერასის აღმნიშვნელი ადგილობრივი ეთნოგრაფიული ტერმინები: „დარიჯა“, „დარიჯები“; „ბაქანი“, „დუქნები“. ჭავახეთში დარიჯების, საქვიების დამზადებას გოდოლ-გოდოლ მოწყობა ეწოდება (ჩიტაია, 1997: 41). „დარიჯა“, „დარიჯები“ ერქვა ტერასას, მაგალითად, ხიზაბავრაში, ქაჭკარში.

ერთიარუსიან ტერასას „ბაქანი“, ხოლო რამდენიმე ბაქანს ერთად, სოფელ ქაჭკარის 1947 წლის მასალით, „დუქნები“ ჰქვია (ჩიტაია, 1997: 39). აღსანიშნავია, რომ „ბაქანი“ განმარტებული აქვს სულხან-საბა ორბელიანს, როგორც „კლდეში მცირე ვაკე რამ“ (ორბელიანი, 1949: 46).

ტერასის კედლები ჭავახეთში სამი სახისა იყო: „მშრალად ნაგები დიდი ბაზალტის ქვებისაგან, მშრალად ნაგები კლდის ქვისაგან და მშრალად ნაგები წვრილი ქვისაგან... გვხვდება სფორული კედელი“-ც (ჩიტაია, 1997: 40). ტერასის აგების და მოვლა-პატრონობის ტექნოლოგია რთული და მუდმივად განახლებადი იყო: მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში ჯერ კიდევ კარაგდ ახსოვდათ ტერასათა აგებისა და მოვლა-პატრონობის წესები. „დარიჯას გაკეთებას თავისი წესი ჰქონდა. ერთი თავი მაღალი უნდა დაგვეჭირა, რომ მორწყვა შესაძლებელი ყოფილიყო, წყალი კარგად მისწვდებოდა. წყალი თეთრობ-ჭობარეთიდან გამოგვყავდა, აქა-იქიდან გამოდის, გროვდება. აქედან

რუ იყო გაკეთებული და მოდიოდა. დაბლა რომ ჩამოლაგდებოდა ეს წყაროს წყლები და ხევები, მერე იქიდან რუს წამოუყვანდით, რომელიც ხელით იყო გაკეთებული. გზადაგზა, სადაც საჭირო იყო, რუსხმულებიც იყო მოწყობილი. აქ ჩვენთან ქვიანი ადგილია და როცა თხრი, დიდრონი ქვებაც ამოდის. ამას ყიშლის ქვას ვეძახით. მინა რომ ქვევით არ მიწვეს, ამ ქვებს დავანყოთ ფოტოროსთან. ქვემოდან ერთიმეორეზე ლაგდება უტალახოდ. დარიჯის სიგრძე სხვადასხვანაირია, სიგანე შეიძლება 6 მეტრიც ყოფილიყო. ზოგჯერ პატარ ადგილი რჩებოდა, ამას ბაქანი ერქვა, დიდ სწორეს - დარიჯი. დარიჯები მოსახლეს შეიძლება ერთად ჰქონოდა, ზოგი კი ცალ-ცალკეა. დარიჯის მოწყობას ცოდნა უნდოდა, კარგად უნდა მოგვესწორებინა მინა; წინასწარ კარგად უნდა გამოგვეზილა, დაქანება უნდა მიგვეცა. მთავარი იყო კედლის გაკეთება. მინა რომ გამოითხრებოდა (წინა მხრიდან მიყოლებით დათხრა რომ დამთავრდებოდა), მივადგებოდით მინის კედელს, რომელსაც ფოტოროს ვეძახდით. ფოტორო (ფლატე, საბათი) სუსტი იყო და რომ არ ჩამოშლილიყო ან ჩამოწვენილიყო, მას გამაგრება სჭირდებოდა. გამაგრება ხდებოდა ქვის კედლებით, რომელსაც ფოტოროებს მოადგამდნენ ხოლმე. როცა კედელს მოადგამდნენ, ამ კედლის თავზე ახლა მეორე დარიჯის მოწყობას დაიწყებდნენ, წინასწარ კი ისევ მინა უნდა გამოეთხარათ. რაც უფრო დიდი ყო გვერდა და დიდი დაქანება ჰქონდა, იმდენად მაღალი კედელი უნდა აშენებულიყო, მაგრამ სულ ძალიან მაღალს ხომ ვერ ავაშენებდით, ასეთი კედელი ადრე თუ მალე გადმოწვებოდა. მაღალი ქვის კედელი რომ არ გადმოშლილიყო, ვხმარობდით ასეთ ხერხს: მინას რომ გამოვთხრიდით და ზედ დარიჯის მოსაწყობ ადგილამდე ქვის კედლის აშენებას დავიწყებდით, თუ ძალიან მაღალი უნდა გამოსულიყო კედელი, ამ კედლის აგებას ასე, მეტრა-მეტრანახევრის სიმაღლეზე შევაჩერებდით, ამოყვანილი კედლის ზევით დარჩენილ მინას კიდევ გამოვთხრიდით და უკან დავწევდით, ხოლო აქ ახალი კედლის აშენებას დავიწყებდით. გამოდიოდა, რომ ერთი დიდი კედელი ორად იყო გაყოფილი. ასეთი კედელი დიდი აღარ გამოდიოდა და არც დასანგრევად იყო საშიში. ამ ორად გაყოფილ კედელს შორის გაჩენილ ადგილს თაროს ვეძახდით“ (ჩიტაია, 1997: 35-36).

ფრიად საყურადღებოა და შრომატევადია ჯავახური ტერასების მშენებლობის ტრადიცია. ის დიდი ემპირიული ცოდნის შედეგია: „დარიჯის მინას კარგად უნდოდა გამოზელვა - ქვებისგან განმეხდა,

გამოფხვანა. ქვებს ამოარჩევდნენ და დარჩებოდა სუფთა მინა. ქვებისგან ინმინდებოდა ერთ მეტრზე, ბევრი უფრო ღმად მიდოდა, ერთ საუენზეც, ეს მინა რომ დაჯდებოდა, დარჩებოდა ერთი მეტრის სიღმის კაი მინა. ... დარიჯის კედლის ასაშენებლად დიდ ქვებს ვიყენებდით. მაგარ ნიადაგზე ამ ქვებით დავაყენებდით კედელს. სულ დაბლა ყველაზე დიდი ქვები უნდა დაგვეწყო, სიმაღლეში კი თანდათან შეიძლებოდა შედარებით პატარა ზომის ქვა გვეხმარა. დარიჯას წყალი უნდა ჩასჯდომოდა, წყალი შიგნით უნდა წასულიყო, რომ კედელთან საქმე არ ჰქონოდა... დარიჯები ერთიმეორეზე რამდენიმე შეიძლებოდა ყოფილიყო. ყველა დარიჯის მინა კარგად უნდა განმენდილიყო. დარიჯებში პატივი და ცხვრის ნაკელი შეგვექონდა, გაზაფხულზე დავბარავდით და ყოველთვის ვაფხვიერებდით. ერთნაირი ბალახი იყო - ქაუკას ვეძახდით, იმას ხელით გამოვგლიჯავდით, რომ ყურძნისათვის ხელი არ შეეშალა. დარიჯის მინა კარგად როცა იყო განმენდილი და გაფხვერებული, შიგ ვაზს ჩავწვენდით, ამოვეყოფდით რქას. როცა კედელი მაღალი იყო, ამ კედელში გამოვაცოფინებდით ვაზის რქას, ტოტრბს და იგი დარიჯის კედელს მოეფინებოდა, ზედ დამნიფდებოდა, ჭიგო (აქაურად სარო) აღარ ჭირდებოდა. ვაზი როცა გაიშლებოდა და აქეთ-იქით წავიდოდა, დარიჯის კედელი აღარ მოჩადა, შორიახლოდან რომ შეგეხედა, სულ მწვანე იყო. აქ სხვადასხვა ჯიშის ვაზი ხარობდა, უფრო მეტად ხარისთვალა, თითა, შავი, ცხენის ძუძუ, უკურკო, საფერავი. ზოგჯერ ვაზს ჭერამზე და ატამზე ამოიყვანდნენ. როცა ავიყვანდით და გადიდდებოდა, ატამს და ჭერამს შემოვუქერქავდით, რომ გაგვეხმო და ვაზს ხელი არ შეშლოდა. ვენახში (ხეხლიში) წყალი შემოდგომამდე იყო და ხილი კარგადაც მნიფდებოდა. .. მინა იმნაირია, თუ წყალი იქნა, ყველაფერი იქნება. წყალი ხიზაბავრას ჭობარეტიდან მოდის... რუები გვექონდა: ვარანტის, ხიზების, ოსპანაურების, სისხოანების, საკაკაბეების რუელები. წყალი მთლიანად ვენახების მოსარწყავად გვეჭირდებოდა... წყალი დარიჯთან მიგვყავდა, დარიჯების გვერდით ჩამოდიოდა. სადინარი ჩამოკიდებული იყო, ქვა ჰქონდა დაგებული ძირზე და გვერდზე, რომ წყალს არ გადაეჭამა ეს ადგილები. დარიჯებს სათითაოდ ვრწყავდით... უფრო კარგი იყო ზემოდან დაწყება. დარიჯის რწყვის დროს ნაკაფს შევკრავდით, გვერდზე რომ ჩამოდიოდა წყალი, ჩავკეტავდით ქვითა და ბელტით და დარიჯში შევუშვებდით. მორწყვა რომ მოთავდებოდა, ახლა მეორე დარიჯის პირდაპირ შევკრავდით ნაკადს, პირველში კი გახსნილი

იყო“ (ჩიტაია, 1997: 37-38).

დარიჯების შესახებ საგულისხმოა ხიზაბავრელი მთხრობელის მიხეილ ვასილის ძე ზურაბაშვილის მონათხრობი, რომელიც ჩაწერილია ცნობილი ეთნოლოგის მიხეილ გეგეშიძის მიერ 1947 წლის ზაფხულში და დამონმებული აქვს გიორგი ჩიტაიას: „ძველათ ტერასები ჰქონდათ განსაკუთრებით ბევრი ხიზაბავრასა და საროში. ამ ტერასებს დარიჯები ჰქვიათ. დარიჯი დარიჯება მიმდგარი ქვის კედლებით. გვერდა დაყოფილია ბაქნებით, რო, ჯერ ერთი, წყალმა არ ჩამორეცხოს, მეორეც, რომ კარგად მოირწყოს ყველა ტერასი... ტერასებზე მინა ძალიან კარგად იყო დამუშავებული, განმენდილი. აქ საერთოდ ქვიანი ადგილია, მაგრამ ტერასები ისე იყო ხოლმე განმენდილი, რომ ერთ მეტრზეც რომ ჩასულიყავი, უბრალო ქვასაც ვერ ნახავდი. ეს ტერასები ირწყოდა ერთი წწყლით. წყალი ზემოდან იყო წამოყვანილი, ამას რუ ერქვა. სადინარი კარგად ჰქონდა მოწყობილი, დაღმართზე, ძირსაც და გვერდებზეც ქვები ჰქონდა მოწყობილი, წყალს მინა რომ არ დაენია“

საქართველოს ტერიტორიაზე მტკვრის ხეობის ზემო წელი ძალიან ვიწრო და მინის სიმცირის გამო ფერდობის დატერასება, ცხადია, ჩვენს დროშიც ერთადერთი გამოსავალია ნიადაგის რაციონალური გამოყენებისათვის. XX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული ასპინძის რაიონში თითქმის აღარ აშენებენ ტერასებს, ან - იშვიათად განაახლებენ ძველს. ძველი ტერასების დიდი ნაწილი მოუვლელობის გამო დანგრეულია. მცირე ნაწილი კი ისევ გამოიყენება. ამ ტერასათა ერთი ნაწილი დღესაც შედარებით უცვლელი სახითაა შემორჩენილი, მცირე ნაწილიც აღდგენილია და გაცოცხლებულია. მაგალითად, ასეთია ხიზაბავრის, ზემოთ აღწერილი, ცნობილი ტერასების ნაწილი. ეს ტერასები, ისტორიულად, ცხადია, სოფელ ხიზაბავრას ეკუთვნის. ტერასების აღდგენა-რეაბილიტაცია განახორციელა შპს „ვარძიის ტერასამ“, რომლის დამფუძნებელია ადგილობრივი ბისნესმენი გიორგი ნათენაძე. მან მ. ხაზარაძესა და ბ. ჯაფარიძესთან პარტნიორობით (2014 წლიდან) დაიწყო ტერასების აღდგენა და 12 ჰექტარზე 24 მესხური ჯიშის ვაზი გააშენა. გიორგი ნათენაძის თქმით, სახელმწიფომ ეს ტერასები პირდაპირი შესყიდვით მის კომპანიას გადასცა. 2018 წელს პირველი მოსავალიც მიიღეს. მოყვანილი ყურძნისგან წარმოებული ღვინო საქართველოში იყიდება. სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ბიზნესპარტნიორებს შორის დავა წარმოიქმნა, რაც, იმედია,

ხელს არ შეუშლის ჯავახური ტერასების შემდგომ სიცოცხლისუნარიანობას. საჯარო რეესტრის მონაცემებით შპს „ვარძიის ტერასების“ 7%-იანი წილის მფლობელი გიორგი ნათენაძეა, 93% თანაბრადაა გადანაწილებული - მამუკა ხაზარაძესა (46.5%) და ბადრი ჯაფარიძეს (46.5%) შორის, თუმცა რეესტრის მიხედვით, ამ ეტაპზე მამუკა ხაზარაძის წილის მმართველი ნიკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძის წილის მმართველი კი თამარ ჯაფარიძეა“ (<https://commersant.ge/news/busuness/vardziis-terasebze-gaugebrobebia-da-amaze-momavalshivisaubreb-giorgi-natenadze>).

დროთა განმავლობაში მოუვლელი გამო, შესაძლოა, ტერასები მთლიანად დაიშალოს და მათი ხელახლა აღდგენა ვეღარ მოხერხდეს, რადგან მოსახლეობაც არც შესაბამისი ტრადიციული ცოდნა ექნება და არც ინტერესი, მაგრამ ტერასათა აღდგენა და მესხური ვაზის მოშენება ამ მხარის სოფლის მეურნეობის აღორძინების საფუძველი შეიძლება გახდეს.

მდინარე მტკვრის ხეობის ჯავახურ სოფლებში განვითარებული იყო **მევენახეობა და მეღვინეობა**. ვენახები ძველად, ძირითადად, გაშენებული იყო ტერასებზე. სოფელ ქაჭკარის ეთნოგრაფიული მასალა: „გვერდა ადგილზე თუ ხის ჩაყრა უნდათ, გვერდა უნდა მოითხაროს და გაკეთდეს ბაქანი. ბაქნები ერთმანეთზე არის ხოლმე, ამას დუქნებს ვეტყვით. ... თუ ქვიანი ადგილია, მოთხრის დროს ლომი და წერაქვია საჭირო. დუქანში მანამდე ხე შეიზრდება, ბოსტნეულსაც თესავენ... გვერდზე გაკეთებული დუქნები ახლო-მახლოში სხვაგანაც ბევრია: კარატიკამი, ბავრა, ხანდო, თოკი, ხორხი, საბუხეები (გოგაშენი, ქვეშე). საბუხეებში ბევრი დუქანი იყო და ვენახებიც ბევრი. ზემოდან რომ გადმოიხედამდი, ისე ეყარა შავი ყურძენი, როგორც კამეჩები. ერთხელ ღვარები წამოსულა და შავი ყურძნით მტკვარი შეღებილა. აქ იყო სამგვარი შავი ყურძენი, აგრეთვე, ხარისთვალა, ცხენისძუძუ და სხვ“ (ჩიტაია 1997: 39-40). ტერასის კულტურის არსებობა-განვითარება დამოკიდებული იყო სარწყავ სისტემაზე. სარწყავად მდინარეებიდან გამოყვანილი იყო არხები. ჯავახეთის ტერასებზე გაშენებული იყო ვენახი და ხეხილი (განსაკუთრებით თუთა). ხალხურ მეტყველებაში ზოგჯერ „ვენახი“ ბალსაც ნიშნავდა: „ტერასებზე მარტო ვენახები იყო მოწყობილი, საერთოდ ვენახს აქ ხეხილის ბაღებს ვეტყვით, შეიძლება ვაზიც არ იყოს“. ტერასებზე ხორბალი და ქერი ნაკლებად ითესებოდა.

მოგვიანებით ვენახები გაშენდა სამოსახლოებთან ახლოშიც. დაფერდებულ ადგილებზე. 1930-იანი წლების ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით სოფელ საროში, „ვენახების გასაშენებლად ვირჩევთ უფრო გვერდობს ხეობებში, სადაც ზამთრობილ ნაკლებია ყინვა და ზაფხულობით მზე კარგად აცხუნებს და ჩქარა მწიფდება და ტკბება ყურძენი, რომლიდანაც ტკბილი ღვინო დგება და არა რჩება ყურძენი ჟური, რომლიდანაც მჟავა ან ნალკე ღვინო გამოდის. ჩვენი ვაზები არ იმყნობა და ვაკე ადგილას გაშენებული არ ივარგებს... ჩვენ ვენახებს, რადგანაც გვერდობი ადგილები ესაჭიროება. დარიჯებს ვუკეთებთ - კიბე-კიბე კედლებზე ვრგავთ ვაზებს. უწინაც ასე უშენებიათ ჩვენ ძველებს, რაც ნათლათ ეტყობა ხეობებში ძველ ნადარიჯე ადგილებს“ (მასალები, 1989: 112-113).

ყურძენს კრეფდნენ „ენკენისთვისნახევარში“ კალათებში, შემდეგ ყრიდნენ გოდრებში, მიაქვთ მარანში და ნურავდნენ საწნახელში (ძირითადად, ქვითკირისაა) და აყენებდნენ ქვევრებში. საწნახელს „ორ-ნახევარი არშინი სიგრძე და არშინი განი აქვს. საწნახლის ერთ კუთხეში გაკეთებულია ყურძნის წვენი სადენი ღარი. საწნახელში დაწნეხილი ყურძნის წვენი - ტკბილი გადის ღარში და იქიდან ცაჩხრიალებს ჭურში. რო აივსება ჭური, ანუ ქვევრი, იქიდან წვენი სუფთა დოქებით და ქიშებით გადააქვთ იქვე მიწაში ჩაფლულ სხვა ქვევრებში. თვითეულ ქვევრში ოცი-ოცდაათი ბათმანი ღვინო ეტევა. ბათმანი ექვს ოყას იწონის... ჭურებს ღვინის, ე. ე. ტკბილის დადუღებამდე ნაკლულს ვტოვებთ. დადუღების შემდეგ ქვის ყურბალიშს დავადებთ და თეთრი მიწით დავატალახებთ. როდესაც კარგად დაინმინდება ღვინო, სხვა ჭურში გადავიღებთ წმინდა ღვინოს, თხლეს არაყით გამოვხდით“ (მასალები, 1989:113).

ჯავახეთში ზოგადად მკაცრი კლიმატური პირობების გამო **მებაღეობა/მეხილეობა** მხოლოდ ზოგიერთ ხეობაშია განვითარებული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია ასპინძის მუნიციპალიტეტში შემავალი მდინარე მტკვრის ხეობის სოფლები, სადაც მეხილეობისათვის კარგი ბუნებრივი პირობებია. მტკვრის ხეობის ზემო წელი დანარჩენი საქართველოს მეხილეობის კერებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ აქ ხეხილის ბაღები უმეტესად ტერასებზე იყო გაშენებული.

ჯავახეთის მტკვრის ხეობის სოფლებში მებაღეობა განვითარებული დარგი იყო. ხეხილი გაშენებული იყო ტერასებზეც და ბაღებშიც.



ამჟამად ბალები უკვე თითქმის აღარ გვხვდება ტერასებზე. ჯავახეთის სხვა მხარეებში ბევრად უფრო ნაკლებად მისდევენ მეხილეობას, რადგანაც მკაცრი კლიმატური პირობები აფერხებს მეურნეობის ამ დარგის განვითარებას.

ჯავახები საბალედ არჩევდნენ ვაკე და წყლიან ადგილს. განმეზღნენ მიწას, მოხნავდნენ მას სამჯერ, გააფხვიერებდნენ, სასუქით გააპატივებდნენ, თოხით მოასწორებდნენ და პირველ წელიწადს სანბარე ნაკვეთში მხოლოდ ბოსტნეულს დათესავდნენ და დარგავდნენ (ხახვი, პამიდორი, კარტოფილი). მეორე წელიწადს კი უკვე აქ ნერგებსაც ჩარგავენ და ვიდრე მცნობას დაიწყებენ, ბოსტნეულს ყოველ წელს თესავენ. როცა ხილი მოისხმას, უკვე წყვეტენ ბოსტნეულის მოყვანას და იქაურობას სათიბად აქცევენ. ნერგის ჩაყრის წინ, შემოდგომით, ორმოებს თხრიან. მარტში ნერგების დარგვას იწყებენ. ორმოებში ცოტა მიწას ყრიან ძირის დასარბილებლად, ჩარგავენ ნერგს, წაყრიან ნეხვს და მიწას. ფეხებით მიწას დატკეპნიან. გობივით ამოღრმავებულს დატოვებენ მოსარწყავად. ნერგებს რგავენ ერთმანეთისაგან დაშორებით. როდესაც ნერგები კარგად იხარებენ, იწყება მცნობა. ვაშლის, მსხლის, თუთის და სხვა ხილის ნერგის კანს შუაში ცოტათი ჩაჭრიან დანით და სამი მუხლის კალამს, ერთი თითი სიმალლისას, ჩაასობენ კანჩახეთქილ ნერგში, გარს შემოაკრავენ თაფლის სანთელს, ჩვარს და ძაფით შეკრავენ დამყნილ კალამს. დამყნილს მოვლა უნდა: ნერგმა თუ გამოხეთქა და არ მოაშორეს ფოთლები, კალმის ზრდა შეფერხდება. ხეხილი ხშირად ირწყვება. ბალისათვის გამოყოფილ ნაკვეთში სხვადასხვა ხეხილის ჯიშები გარკვეული კანონზომიერების მიხედვით ირგვება. აქაურ ბალებში თუთისა და ვაშლის ხეების გვერდიგვერდ დარგვა მიუღებელია, ასევე ქანჭურის ხეები აუცილებლად ბალის გარშემო, მისი საზღვრის გასწვრივ უნდა დაირგოს, მათ ბალის შუაგულში იშვიათად შეხვდებით.

ხეხილის ბალები მდიდარია სხვადასხვა ჯიშის და სახეობის ხილით. მათ შორის არის ადგილობრივი ვაშლის, მსხლის და ქანჭურის ენდემური სახეობები. ადგილობრივი ხეხილი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ აქ ხეხილის შეწამვლა საერთოდ არ სჭირდება და შესაბამისად ნაყოფში შხამქიმიკატები არ გვხვდება. მოსახლეობა კვლავ ძველი ტრადიციის მიხედვით ხის ძირებს მხოლოდ ბუნებრივი სასუქის, ნაკელის მეშვეობით ამდიდრებს. მესხეთის ტერიტორიაზე დღემდე ათობით სხვადასხვა სახეობის ხეხილის ჯიშია შემორჩე-

ნილი.

ვაშლის ძველი ჯიშები ძირითადად გვხვდება სოფელ გოგაშნის (ჭაჭკრის ბაღები), ტოლოშის (მილახები), ძველის (ღობიეთის ბაღები), ქობარეთის (მაჭიხეთის ბაღები) და ასპინძის ტერიტორიაზე.

ვაშლის ჯიშები: მახარა - ზამთრის ხილია, გამძლე, მსხვილი ზომისა, მონითალო-მოყვითალო ფერისა, მომჟავო გემოსი. სამეფო ვაშლი (შახალმა) - დიდი ხანი ვერ ძლებს, მაგრამ კარგი გემო აქვს, ვარდისფერი და მოთეთროა, მსხვილია. მიხაკიანი ვაშლი - ზამთრისთვის ინახება, გამძლეა, მოყვითალო-მონითალო ფერისაა, გემრიელია და მიხაკის გემო და სურნელი დაჰკრავს. ერბოიანი ვაშლი - დიდხანს ვერ ძლებს, მომცრო ზომისაა, მონითალო ფერისა. აჭარულა - ზამთრისათვის ინახავენ, გამძლე ჯიშია, საშუალო ზომისაა, წითელი ფერისაა და მომჟავო გემო აქვს. საფაშო - საზამთროდ ინახავენ, გამძლეა, საშუალო ზომისაა, მოყვითალო-მონითალო ფერით. ჯორისცხვირა - ზამთრისათვის ინახავენ, გამძლეა, საშუალო ზომისაა, მოგრძო ფორმისაა, თეთრია, მონითალო ელფერი. რძიანა ვაშლი (სვიდალმა) - ზამთრისათვის ინახავენ, გამორჩეული სილამაზისაა და გამძლეა, ყვითელი და მონითალოა. ხანუმალმა (ქალბატონის ვაშლი) - საზამთროდ ინახავენ, გამძლეა, წვეტიანი, წითელია. ზოგჯერ გულიც კი უნითლდება. სობა - საშემოდგომოა, მოგრძო ფორმისა, წითელი ფერისა. შაქარვაშლა - ზაფხულის ვაშლია, საშუალო ზომისა, თეთრი, ვარდისფერი ზოლებით. მოპრუნულა - საშემოდგომო ვაშლია, მოპრუნული ფორმისა, მომცრო ზომისაა, თეთრი ფერის. უზუნალმა - საზაფხულო ვაშლია, საშუალო ზომის, მოყვითალო-მონითალო. შაქარნაბადა - საშემოდგომოა, სქელი კანი აქვს, მრგავლია, მონითალოა და ძალიან ტკბილია. მამლო (მამულო) და ალიალმა - საზამთროა, საშუალო ზომის, წითელი ფერის.

აღნიშნულ ჯიშებს შორის ნახევარზე მეტი ადგილობრივი, მესხური წარმოშობის ენდემური ჯიშებია, თუმცა ზოგიერთი მათგანის რაოდენობა ისეა შემცირებული, რომ თითოეული სოფლის ტერიტორიაზე სულ რამდენიმე ძირიღაა შემორჩენილი. ადგილობრივ ენდემურ ვაშლის ჯიშებსა და სხვა ქვეყნიდან შემოტანილ ჯიშებს შორის დიდი განსხვავებაა როგორც გემოვნური ასევე ფიზიკური თვისებებით. მესხური ჯიშის ვაშლები უმეტესად სიმაღლეში იზრდებიან, ხოლო თანამედროვე უცხოური ჯიშის ვაშლები უფრო მეტად სიგანეში ვითარდებიან. ადგილობრივი ვაშლის ჯიშები უფრო მეტად არომატულია,

სურნელი და გემო უფრო მძაფრი აქვთ და გემოვნური თვისებებით აშკარად აღემატებიან თანამედროვე უცხოურ ვაშლებს. ამის პარალელურად, ხანგრძლივ შენახვასა და ტრანსპორტირებას თანამედროვე ჯიშებზე ცუდად იტანენ. მაგალითად, ადგილობრივ ჯიშადაა მიჩნეული მამლო (მამულო). ის ფართოდაა გავრცელებული მესხეთში, განსაკუთრებით ასპინძის რაიონში. იზრდება მაღალი ტანის ხედ, ახასიათებს ხშირი დატოტვა, ძლიერ საძირეზე მსხმოიარობაში შედის მეშვიდე-მეცხრე წელს, სრულად მსხმოიარე ხე 400 კგ. მოსავალს იძლევა, ზოგჯერ 600 კილოგრამსაც აღწევს. მავნებელთა და დაავადებებათა მიმართ გამძლეა, იკრიფება სექტემბრის ბოლოს და ინახება აპრილამდე. ნაყოფი საშუალო ზომისაა, მომრგვალო კვერცხისებრი, სწორი ზედაპირით, მცირე ლაქებით, კანი თხელი და მკვრივია, სიმწიფეში თითქმის მთლიანად იფერება მუქნითლად, რბილობი თეთრია, საშუალო სიმკვრივისაა, ტკბილია, წვნიანი, არომატულია. ადგილობრივად მიიჩნევა სობაც. ეს სახეობა ადრე ფართოდ იყო გავრცელებული, ამჟამად კი მხოლოდ მცირე რაოდენობით გვხვდება ძველ ბაღებში. ხე საშუალო სიხშირის დატოტვითაა, ძლიერ საძირეზე მეშვიდე-მერვე წელს ისხამს ნაყოფს. საშუალო მოსავლიანობა სრულ მსხმოიარობის დროს 100-150 კილოგრამია. საშუალო პერიოდის მოყვავილე ჯიშია, ავადდება ქეცით, მოსაკრეფი სიმწიფე დგება სექტემბრის მეორე ნახევარში, მალევე მოიხმარება. ინახება თებერვლამდე, ტრანსპორტირებას ვერ იტანს. ნაყოფი საშუალო ზომისაა გვხვდება შედარებით მსხვილი ნაყოფებიც. ფორმა წაკვეთილ-კონუსისებრია, უსწორო ზედაპირით, ლაქებით, კანი თხელი, საშუალო სიმკვრივის, ცვილისებრი ფიფქის გადაცლისას, პრიალებს. ძირითადი ფერი ყვითელია, მომწიფებისას მთელი ზედაპირი იფერება წითლად, არახშირი კანქვეშა თეთრი წერტილები წითელი რკალითაა და კარგად მოჩანს. რბილობი თეთრია, ფხვიერი, ტკბილი, წვნიანი, არომატული.

ადგილობრივ ბაღებში გავრცელებულია სხვადასხვა ჯიშის მსხალი: ნანაძირი - საშემოდგომო მსხალია, მოგრძო, გემრიელი, წვნიანი, ტკბილი. თავრეჟული, ხეჭეჭური - ზამთრის ხილია, სქელი კანი აქვს, მოგრძოა, ყვითელი ფერისაა. გოგრა მსხალი - საშემოდგომოა, ყვითელი, მონითალო ელფერით. მას ძირითადად ჩირისათვის იყენებენ. კვირისთავა - საზაფხულოა, წვრილი, საჩირე. ნენემსახალი - მას მოხუცებს მთართმევდნენ, წინ უსწრებს ნანაძირის დამწიფებას.

ფორმით მრგვალია. კაცისთავა - საზაფხულოა, დიდი ზომისაა, ტკბილია, საჩირე. წითელგვერდა - საზაფხულოა, წითელი გვერდი აქვს, ტკბილია. ბატონმსხალა - საზამთროა, ყველა მსხალზე უკეთესია, საშუალო ზომისაა, გემრიელია, ტკბილია, წვნიანი. მიხრიკა - საზაფხულოა, წვრილი, სანთლისფერი, მონითალო ზოლებით, ჯავზის// მუსკატის გემო დაჰკრავს. სესელა - საზაფხულოა, ადრეულია, ტკბილია, წვნიანი. აჭარული სესელა - საზაფხულოა, საშუალო ზომისაა, მრგავლია, ნახევარდ წითელია, ტკბილი, წვნიანი.

ამათგან ადგილობრვად მიჩნეულია თავრიჯული მსხალი. ის მესხეთში ფართოდაა გავრცელებული. ვითარდება ძალიან დიდი ტანის ხედ, არახშირი დატოტვით, ნაყოფს მოისხამს მეცხრე წლიდან. სრული მსხმოიარობისას ერთი ხის საშუალო მოსავალი 250 კგ-ია. მავნებელ-დაავადებების მიმართ საკმაოდ გამძლეა. ჯიში ეკუთვნის ხეჭეჭურების ჯგუფს, იკრიფება ოქტომბრის მეორე ნახევარში; მოიხმარება როგორც ნედლი ხილი; ინახება აპრილამდე. ნაყოფი საშუალო ზომისაა, მსხლისებრი ფორმის, სწორი ზედაპირით, უდიდესი დიამეტრი ნაყოფის ზედა მხარეზეა, ყუნწი სწორია, საშუალო სიგრძის და სიმსხოსი; ნაყოფის კანი მკვრივია, მოკრეფისას მოყვითალო-მწვანეა, სიმწიფეში ყვითლდება, ამავე ფერის კანქვეშა წერტილები კარგად ემჩნევა. რბილობი თეთრია, მკვრივი, მსხვილმარცვლოვანი, ხეჭეჭურისებრ ხრაშუნა, ძალზე წვნიანი, ნაკლებად ტკბილი, თავისებური არომატით. მას ახასიათებს ხანგრძლივი შენახვის უნარი, მავნებელ-დაავადებებისადმი გამძლეობა, მაღალი მოსავლიანობა და კარგი ტრანსპორტაბელურობა. ასევე ნაყოფი შედარებით დაბალი გემური თვისებებისაა.

ჯავახეთის მტკვრის ხეობის სოფლებში გაშენებულია თუთა, ჭანჭური (თეთრი, საშემოდგომო, თამაზი), ქლიავი (ალიბუხარი, ოთური, ტყუპი, კალოობის).

თუთის ბაღები ყველაზე მეტად გვხვდება ხერთვისის, ტოლოშისა და ნიჯგორის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს სოფლები თითქმის ერთმანეთის გვერდიგვერდაა, მათ შორის მაინც გარკვეული განსხვავება შეინიშნება: ყველაზე ადრე თუთა მწიფდება ხერთვისში, ერთი კვირის შემდეგ ტოლოშში და ორი კვირის შემდეგ აწყვიტასა და ქუნცაში. თუთის მნიშვნელობაზე ადგილობრივთა ყოფაში მეტყველებს გამოთქმაც: „ერთი ძირი თუთა ერთ მენველ ძროხასა და ერთ ხბოს უდრისო“. თუთისგან ამზადებენ ბაქმავს, ტყლაპს,

თუთიხმელს, თუთის მურაბას და განსაკუთრებული არომატის მქონე სამკურნალო თუთის არაყს. ამ პროდუქტების მისაღემად თეთრი თუთაა საჭირო, ამიტომ შავი თუთა მეტად მცირე რაოდენობითაა დარგული. თუთის ხეების უმრავლესობა დღემდე ტერასებზეა გაშენებული და მას სოფლის საუკეთესო მიწას უთმობენ. თუთის ხე დაახლოებით 100-150 წელს ხარობს თუ კარგი პირობები შეხვდება და სიმაღლეში შეიძლება 20-25 მეტრსაც მიაღწიოს. როდესაც თუთის ხე დაბერდება მისი ტოტები შედარებით მყიფე ხდება და მალე ემტვრევა, ამიტომ მას შუა ადგილას გადაჭრიან, რათა და გვერდიდან ახალი ტოტებს ამოიყაროს. მსგავსი გადაბელვა თითოეულ თუთას დაახლოებით 30-40 წელიწადში ერთხელ სჭირდება. სოფლებში დღემდე შეხვდებით სამჯერ და ოთხჯერ გადაჭრილ თუთებს რომლებიც ჯერ კიდევ მსხმოიარეა. თუთა ბუნებაში თავისთავად მარტივად ამოდის, თუმცა მას აუცილებლად სჭირდება დამცნობა. თუთის დასამცნობად იყენებენ გარეული თუთის ძირს, რომელსაც „ფიჯ თუთას“ უწოდებენ. თუთა პირველ მოსავალს ხუთი-ექვსი წლის შემდეგ იძლევა, თუმცა სრული მოსავალი თხუთმეტი-ოცი წლის შემდეგ იცის. თუთის ნაყოფი ზაფხულში, ივლისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს დასაწყისამდე მწიფდება. მისი ხეზე დაკრეფა შეუძლებელია, ამიტომ ხის ძირში საფენებს გაფენენ, შემდეგ ხეზე ადიან და ტოტებს ძლიერად არხევენ, რათა მწიფე ნაყოფი ძირს ჩამოიყაროს. მომწიფებული თუთა ყოველ მესამე დღეს უნდა დაირხეს, რომ ნაყოფი თავისით არ ჩამოცვივდეს და არ გაფუჭდეს. თუთა ძალიან ფაქიზი მცენარეა, იგი ვერ ეგუება ტემპერატურის მკვეთრ ცვლებადობას, ხშირ წვიმებსა და გვალვებს, ასევე სხვა ბუნებრივ კატაკლიზმებს, აქედან გამომდინარე, მისი გაშენება და კულტივაცია დიდ რისკებთან არის დაკავშირებული. როგორც მთხრობელები ამბობენ, ბოლო წლებში თუთის მოსავალი სულ რამდენჯერმე მიიღეს და ისიც არასრულად. თუ თუთას კარგი წელიწადი შეხვდება, ერთ სეზონზე დაახლოებით 10-12-ჯერ დაარხევენ.

ჭანჭურის ბალებით განსაკუთრებით გამოირჩევა სოფლები აწყვიტა, ქუნცა (სიღებისა და ბნელის ბალები), ხიზაბავრა. საშემოდგომო ჭანჭურისაგან ამზადებენ ფალვარდას/ფელვერდას, ახმობენ ჩირად, აკეთებენ ტყლაპს, ხდიან არაყს. თამაზის სახეობის ჭანჭურს ახმობენ და იყენებენ ფლავისათვის, წვნიან საჭმელშიც (ყალიაში). ტყუპი ქლიავისაგან ხარშავენ მურაბას. ალიბუხარს სამკურნალო მიზნითაც კი იყენებენ: გამხმარ ქლიავს ალბობენ და სიცხისდამწვე საშუალებ-

ბად ასმევენ ავადმყოფს.

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე დღეს მეხილეობის განვითარების მხრივ ნაკლებად სახარბიელო ვითარებაა. ტერასების ნაწილი მოშლილია და აქ გაშენებული ხეხილის ბაღებიც გავერანებულია. გადასარჩენია ბაღების ის ნაწილი რომელიც დღემდეა შემორჩენილი. ამასთანავე, ჯავახეთში თითქმის აღარ არსებობს სანერგე მეურნეობები, სადაც ძველ ენდემურ ჯიშებს გამოიყვანენ და დაამყნობენ. მოსახლეობა მეხილეობას ისეთ ყურადღებას აღარ აქცევს როგორც გასულ საუკუნეებში, ან თუნდაც XX საუკუნის 90-იან წლებამდე. ადგილობრივ მინათმოქმედებას და განსაკუთრებით მეხილეობას დიდი ზიანი მიადგა, როდესაც 1944 წელს ადგილობრივი მუსლიმი ქართველები აყარეს და მასობრივად, იძულებით გადაასახლეს. ვიდრე მუსლიმი ქართველები აქ ცხოვრობდნენ, მათ საუკეთესო ადგილებიც ეკავათ, კარგად იყვნენ დახელოვნებულნი ხეხილის მოშენებაში და დიდ ემპირიულ ცოდნას ფლობდნენ. მათი გადასახლების შემდეგ ეს ცოდნა თითქმის გაქრა. მესხეთში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოსახლებულმა მოსახლეობამ ადგილზე დამკვიდრების შემდეგ, ისეთივე წარმატებას ვერ მიაღწია ამ დარგში, როგორც მათმა წინამორბედებმა. ადგილობრივ მეურნეობის ფორმები მკვეთრად შეიცვალა გასაბჭოების შემდეგ. ეს ერთგვარად დადებითი მოვლენაც იყო და უარყოფითიც. ამ დროს გავრცელდა საქართველოში სხვადასხვა ჯიშის ახალი ხეხილი. მათ მნიშვნელოვნად ჩაანაცვლეს ადგილობრივი ენდემური ჯიშის ხეხილი და ამავედროულად გაამდიდრეს ჯიშების რაოდენობა. ახლად შემოტანილ ხეხილის ჯიშებს ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნდა, ეს ჯიშები გაცილებით დაბალი იყო, რაც მათ დაკრეფას აადვილებდა. მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ეს საკმარისი მიზეზი იყო რომ ძველი ჯიშები ახლით ჩაენაცვლებინათ და ასეც მოხდა. 90-იან წლებში საბჭოთა მეურნეობები დაიშალა და სანერგე მეურნეობები ყველგან დაიხურა. ასეთ პირობებში კიდევ უფრო გართულდა ახალი ხეხილის ბაღების გაშენება და მოსახლეობა მხოლოდ არსებული ბაღების შენარჩუნებაზე ზრუნავდა. ასეთი რთული მდგომარეობის მიუხედავად, ძველი ჯიშების უმრავლესობა არ გამქრალა და დღემდე მოაღწია, პრობლემა ის არის, რომ მათი რაოდენობა საგრძნობლადაა შემცირებული.

ჯავახეთის თანამედროვე ყოფა ავლენს, რომ მდგრადი და სიცოცხლისუნარიანია **ტრადიციული კვებითი სისტემის** მრავალი ელემენტი.



მენტი. ვინაიდან ჯავახეთში განვითარებულია მემინდვრეობაც და მესაქონლეობაც, ხოლო მტკვრის ხეობის სოფლებში - მეხილეობაცა და მევენახეობაც - მდიდარია ადგილობრივთა კვებითი რაციონიც. საკვები შედგება პურეული და სხვა სახის მცენარეული პროდუქციისაგან, რძის ნაწარმის, ხორცეულისა და თევზეულისაგან. აქვთ მრავალფეროვანი დესერტებიც. ეს საკითხი შესანიშნავადაა შესწავლილი თინა იველაშვილის მიერ (იველაშვილი, 2020).

ქვემოთ მოგვყავს ჩვენს მიერ 2015 და 2022 წელს შეკრებილი მასალა იმ კერძებისა და ტკბილეულისა, რასაც დღესაც ფართოდ ამზადებენ ჯავახეთის სოფლებში.

ცნობილია, პურის ცხოების ტრადიციებით ჯავახეთი გამორჩეულად მდიდარი მხარე იყო. 1935 წელს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჩანერილი მასალის მიხედვით: „სახლში საშინაო პურს აცხობენ ქერის, ქერდიკის, ჭვავის და დოლის ფქვილიდან, რომელსაც თხელ საცერში სცრავენ, რომ ანაკვეფს ხარჭები ცოტა ჰქნდეთ. სასტუმროთ და სადღესასწაულოთ კი აცხობენ დიკიდან და წითელი დოლის ფქვილიდან. სასუფთაო პურს - ხორბალს ხშირად რეცხვენ, რო თეთრი გამოვიდეს პური... გამომცხვარი პურის სახელები: პირველ გახურებულ ფურნეში ვაცხობთ ლავაშსა და წინა პურს (წვრილია, თითიანი და უთითოც). უკანა პური მეორე ან მესამე ფურნეში ცხვება, უფრო დიდრონი პურებია და თუ ცომი დარჩებათ, ბოლოს ლოლოს გამოაცხობენ. ლოლო მოგრძო, ჩვეულებრივი ზომის პურია. ზაფხულობით ხშირად ახმობენ ლოლოს და დიდრონ სომინებს, რო არ აუობიანდეთ... სადღესასწაულო ან სასტუმრო ნამცხვრები: ქადა, ყათმარი, ნაზუქი, ხმიადი, ფუნთუში. ნამცხვარს ერბოთი ან ზეთით მოზელილს აცხობენ“ (მასალები, 1986: 161).

ჩამოთვლილთაგან თითქმის ყველა პური დღესაც ცხვება, ოღონდ ქერდიკასა და ჭვავს თითქმის აღრა იყენებენ ფქვილად და პურეულს მხოლოდ ხორბლის ფქვილისაგან აცხობენ.

მაგალითად, დღესაც თითქმის ყველა ოჯახში გვხვდება ადგილობრივი ხორბლისაგან გამომცხვარი პურეული, ქადეული, ხინკლის ნაირსახეობანი, შინნამზადი მაკარონის სახეობები; აგრეთვე, რძის ნაწარმი, თუთისაგან დამზადებული ტკბილეული, თუთის არაყი, საზამთროდ ახმობენ საქონლის, ფრინველისა და ღორის ხორცს, ანუ, აქვთ აპოხტის დამზადების ტრადიცია და სხვ. მესხური კერძების ერთი ნაწილი შესულია ადგილობრივ რესტორანთა და სასტუმროთა

მენიუშიც. საგულისხმვითა, რომ ზოგიერთ სოფელში კერძო ოჯახებიც ამზადებენ მესხურ კერძებს ტურისტთათვის. მაგალითად, აღსანიშნავია გიორგი მურადაშვილის წვლილი ამ კუთხით სოფელ ხიზაბავრაში.

სოფლად პურს, ძირითადად, ისევ ფურნეებში აცხობენ. აქ ტრადიციული პურის რამდენიმე სახეობაა: ლავაში, კოკორა, სომინის პური. აგრეთვე, აცხობენ ქადებს, ხაჭაპურს.

საქართველოს სხვა მხარეებისაგან განსხვავებით, ჯავახებს აქვთ ტრადიცია ლოკოკინის საკვებად გამოყენებისა. ლოკოკინებს აგროვებენ გარკვეულ დროს, რეცხავენ და ხარშავენ, ან ღუმელზე წვავენ.

საკვებად და საკმაზად გამოიყენება არა მხოლოდ მებოსტნეობის პროდუქტები, არამედ მინდვრის, მთისა და ალპური ზონის მცენარეულობაც. მაგალითად, ჯავახური სუფრის აუცილებელი ელემენტებია: ღოღო, სატაცური, ღანძილი, ჭინჭარი, სოკო. ქარაძენძით კმაზავენ მანვნის კერძს. ღოღოს ნედლს კრეფენ, გვირგვინისებურად/ნაწნავისებურად წნავენ და ახმობენ, რათა ზამთრობითაც გამოიყენონ და სხვ.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით 1935 წელს ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ჯავახეთში გავრცელებული იყო შემდეგი კერძები: ღვალოსა და ჭინჭრის შეჭამანდები, საქონლის მოხრაკული ხორცი, ხორცის იანი, ქუფთა, მოხრაკული ქათამი, შემწვარი ქათამი, მოხრაკული ბატი, რძიანი კორკოტი, სქელი კორკოტი, კორკოტის შეჭამანდი, ძიფუა, მანონი, ხინკალი, თათარბორაგი, ბიში, დათუთქული ერიშტა, ფაფა, ფუშრუკი, მოხარშული და მარილითა და რძით შეზავებული კვახი... ზამთრისათვის ამზადებდნენ დიდი რაოდენობით შაშხსა და აპოხტს: სქონლისას, ბატისას (მასალები 1986: 163-165).

განვიხილოთ დღესაც არსებული რამდენიმე ჯავახური კერძი.

ცნობილია, სამცხე-ჯავახეთი ოდითგანვე ინტენსიური მიწათმოქმედების მხარე იყო და აქ განვითარებული გახლდათ მესაქონლეობაც. ანუ, არსებობდა სრულყოფილი ბაზა ხინკლის კულტურის ჩამოყალიბებისათვის. საქონლის ან ცხვრის ხორცისაგან მომზადებული ხინკლის გვერდით სამცხე-ჯავახეთა შექმნა ხინკლის სხვა ნაირსახეობანიც: ბატის ხინკალი, წერო ხინკალი, პეპელა ხინკალი, სოკოს ხინკალი, ყველის ხინკალი, ჩვენს დროში შიგთავსად იყენებენ კარტოფილსაც.

ბატის ხინკალს დღესაც ამზადებენ ჯავახეთში, ნანილობრივ - სამცხეშიც. ბატის ხინკალი ცნობილ დელიკატესად მიიჩნევა და ამ კერძმა ჩვენს დროში სასტუმროებსა და რესტორნებშიც დაიმკვიდრა ადგილი. კერძი მზადდება ხორბლის ფქვილისაგან მოზეული ცომისა და დამარილებული ბატის ხორცისაგან. რეცეპტი: ცომი მოიზილება თეთრი ფქვილისგან. ფქვილში იყრება მარილი, მოიზილება წყლით. ცომი უნდა იყოს მაგარი, რომ ხინკალი არ ჩაიშალოს. შემდეგ ცომს ცოტა ხნით დავაყოვნებთ და დავჭრით შესაბამის ზომებად, მივცემთ გუნდების ფორმას. გუნდებს ცოტა ხნით ცალკე დავდებთ, რათა გუნდამ „თავი აიღოს“, ანუ, დარბილდეს და შემდეგ გავშლით „უხლავით“. გაშლილი „უხა“ იჭრება დიდ ოთხკუთხედად. ხინკლის შიგთავსი: ბატის ხინკალი სხვადასხვანაირად მზადდება მესხეთში. დაკლული ბატი უნდა გასუფთავების და შემდეგ დამარილდეს. ზოგი პირდაპირ ამარილებს, ზოგიც ჯერ ადუღებულ წყალში ამოავლებს და დაკიდებს აივანზე გამოსაშრობად. უკვე გამომშრალ ხორცს წვრილად ჭრიან და ათავსებენ ქვაბში, ამატებენ დაჭყლეტილ ნიორს, წვრილად დაჭრილ მწვანილსა და ხახვს. ეს ყველაფერი ერთად ითუშება და მისგან მზადდება ხინკლის გულსართი. ხინკლის გულსართი ჩაიდება ოთხკუთხედად გაბრტყელებულ ცომში და თავი მოეკვრება და მარილიან წყალში იხარშება. ხინკალს გემოვნების მიხედვით მანონს ან ნივრიან წყალს ამატებენ. ნივრიანი წყლისთვის მარილთან ერთად უნდა დაინაყოს ნიორი, ერთ ჭიქაში მეოთხედ ნიორს ესხმებოდა წყალი შევსებამდე.

მესხეთში ბატის ხინკლის ორი ვარიანტი გვხვდება: ერთია კონკრეტულად ხიზაბავრული, ხოლო ხოლო მეორე ზოგადად ყველა სოფელშია გავრცელებული. ხიზაბავრული ბატის ხინკალი ძვლებთან ერთად იჭრება და იხარშება, ეს არის მისი თავისებურება. ამ ვარიანტის მიხედვით, გამხმარ ბატს დაჭრიან ძვლებთან ერთად პატარა ნაჭრებად. მოთუშავენ ხახვთან და მწვანილთან ერთად, ცომში ჩადებენ, მოახვევენ და მოხარშავენ მარილიან წყალში.

ბატის ხინკალი ერთგვარად სადღესასწაულო კერძია და მასობრივად გავრცელებული არ არის, თუმცა გარკვეული რეკლამირების შედეგად ის აუცილებლად დაიკავებს სათანადო ადგილს რესტორნებსა და სასტუმროებში. ხოლო მათთვის ვინც უკვე იცნობს ამ ხინკალს, ის დღემდე საკმაოდ მოთხოვნადი კერძია. ბატის ხინკალი ხშირად მზადდება ხიზაბავრაში, ნაქალაქევი, ტოლოშში, სოფელი აწყვიტა-

ში და სხვ.

წერო ხინკალი (/ბალიშა ხინკალი) ხშირად სახელდახელოდაც მზადდება, რადგან მასში გულსართი არ იდება. წერო ხინკლისთვის ცომი მოიზილება თეთრი ფქვილისგან. სასურველად მიიჩნევა ადგილობრივი ხორბლის ფქვილი, რომელიც დიდი რაოდენობით მოჰყავთ ნიალას მინდვრებზე. ფქვილში ჩავეყრით მარილს და მოვხელთ, ცომი მაგარი უნდა იყოს. შემდეგ ცოტა ხანი დავაყოვნებთ და გუნდებს გადავხელთ რამდენიმე წუთის განმავლობაში. შემდეგ ცალკე დავდებთ გუნდას, რათა თავი „აილოს“, ანუ დარბილდეს და უკეთ დასამორჩილებელი გახდეს. შემდეგ გუნდებს გავშლით „უხლავით“. „უხას“ დავამრგვალებთ დაახლოებით თითის სისქეზე და დავჭრით ბალიშებად. შემდეგ მოვხარშავთ მარილიან წყალში, როცა მოიხარშება, ამოვწურავთ. გემოვნების მიხედვით შესაძლებელია, რომ მოვაყაროთ ყველი ან მოთუშული ხახვი. ხინკალი განსაკუთრებით უყვართ ბავშვებს თავისი ფორმისა და სახელის გამო.

პეპელა ხინკლისთვის ცომი მოიზილება თეთრი ფქვილისგან, იყენებენ ადგილობრივი წარმოების ფქვილსაც, რომელიც ნიალაში ითესება. ფქვილში ჩავეყრით მარილს და მოვხელთ, ცომი მაგარი უნდა იყოს. შემდეგ ცოტა ხანი დავაყოვნებთ და გუნდებს გადავხელთ რამდენიმე წუთით. შემდეგ ცალკე დავდებთ გუნდას, რათა თავი აილოს, ანუ დარბილდეს და უკეთ დასამორჩილებელი გახდეს. შემდეგ გუნდებს გავშლით „უხლავით“. გაშლილი „უხის“ სისქე დაახლოებით ორი მილიმეტრი უნდა იყოს. გაბრტყელებულ უხას დავჭრით ოთხკუთხედად, შემდეგ შუაგულში ხელით შევკრავთ და მივიღებთ ბანტის ფორმის ცომებს. ცომი მარილიან წყალში იხარშება. გადაწურვის შემდეგ აყრიან ან მოთუშულ ხახვს ან ყველს.

საგულისხმოა, რომ ბევრ ოჯახში, სადაც ტრადიციულ მესაქონლეობას მისდევენ, ყველის ამოსაყვანად ჯერ კიდევ იყენებენ „ყველის დედას“. XX საუკუნის 60-70-იან წლებამდე „ყველის დედა“ ფართოდ გამოიყენებოდა ყველის დასამზადებლად და გავრცელებული იყო ისტორიული და თანამედროვე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მოგვიანებით ტრადიციული „ყველის დედა“ ბევრგან ჩაანაცვლა მზა, ფაბრიკულმა ნაწარმმა. ჭავახეთის სოფლებში „ყველის დედის“ დამზადება თითქმის ყველა ოჯახში იციან, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, უკვე მაინც მზა პროდუქტის გამოყენებას ამჯობინებენ. მთხრობელები აღნიშნავენ, რომ შინ დამზადებული „ყველის დე-

დით“ ამოყვანილი ყველი ბევრად უფრო გემრიელი, უსაფრთხო და სასარგებლოა. „ყველის დედა“ ასე მზადდება: ქილაში ჩავასხამთ შრატს (რძის ადუღების ან დამჟავების შემდეგ დარჩენილ სითხეს), დავამატებთ ცოტაოდენ მარილს, ერთ ჭიქა ლობიოს, ერთ ჭიქა ტყე-მალს ჩავყრით (არასეზონურობის პერიოდში) და ღორის, ხბოს ან ცხვრის გამხმარ დვრიტას ჩავავდებთ. (დვრიტა მარილით მუშავდება, ცოტა ხანი უნდა დავაყოვნოთ, რომ მარილი გაუჭდეს და ჰაერზე დავკიდებთ, რათა გახმეს.) ამ სითხეს დავაყოვნებთ ორ კვირამდე და ყველის დედა მზად არის. ძველად იგი მზადდებოდა თიხის ქილაში, თუმცა დღეს მინის ჭურჭელი გამოიყენება. ყველის დედის მთავარი ღირსება ის არის, რომ მთლიანად ბუნებრივ პროდუქტებზეა დამზადებული და ყოველთვის ახალია.

ჯავახური ყოფის შემადგენელია ადგილობრივი კარაქის, ერბოსა და ყველის სახეობები და მათგან დამზადებული კერძები. ჭერ კიდევ ბევრ ოჯახში მზადდება კარაქი. კარაქი მიიღება „შეყოვნებული რძის“ ნაღებისაგან. ნაღებს ვარიაში ათავსებენ, რაშიც კარაქი იდღვობება. გადღვებით მიღებულ კარაქს გარეცხავენ და მარილი დააყრიან. თუკი კარაქს ტაფაში გადაადნებენ, მიიღება ერბო.

ჯავახეთში ძველთაგანვე იცოდნენ ყურუთის დაზადება. მაცივრების გავრცელებამდე საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მათ შორის ჯავახეთშიც, სახლებს ჰქონდა თავისი „საცივე/საცივო“ კუთხეები, სადაც მალფუჭებად პროდუქტებს ინახავდნენ. ცხადია, „საცივეებში“ რძის ნაწარმი უსასრულოდ ვერ შეინახებოდა, ამიტომ ჩამოყალიბდა ყურუთის დამზადების ტრადიცია. ყურუთი დიდხანს ინახება და ვარგისიანობას ინარჩუნებს ოთახის ტემპერატურაზეც კი. ყურუთი მზადდება ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი შრატისაგან. ცხვრისა და ძროხის შრატს ერთმანეთში აურევენ, აადუღებენ და განურავენ. საწურში დარჩენილ მასას „დოს“ მეორე დღესაც ემატება ზემოთაღწერილი ფორმით გამონურული „დო“ და ასე შეგროვდება საკმარისი ოდენობა. შემდეგ დააყრიან მარილს, შეურევენ მანონს (ათ კილო დოს ხუთი ლიტრი რძისგან დაყენებული მანონი სჭირდება) და დაამრგვალებენ. დამრგვალებული ყურუთისაგან საშუალო ზომის გუნდებს ამზადებენ (კაკლისხელა), წნელებისგან დამზადებულ „სალაზე“ დააწყობენ, გადააფარებენ სუფთა ტილოს ნაჭერს და ახმობენ. გამხმარ ყურუთს ზამთრისთვის ინახავენ და მისგან „დოს შეჭამანდს“ ამზადებენ. ყურუთი თავისი დანიშნულებითა და დამზად-

დების წესით წააგავს დამბალხაჭოს. ყურუთს ოჯახში ქალები ამზადებდნენ, თუმცა დასამრგვალებლად ბავშვებსაც დაიხმარენ.

ჯავახები ამზადებენ ჩეჩილ ყველსა და გადაზელილ ყველს. ჩეჩილი ყველი ნაწნავის ფორმისა მზადდება, ნაკლებციხიმიანია და დროში გამძლეა. მას ჩვენს დროში დიდი საბაზროღირებულებაც აქვს. გადაზელილი ყველის კერძი დამჟავებული ჩეჩილი ყველისა და ერბოსაგან მზადდება. დამჟავებული ყველი ამოყვანილი უნდა იყოს „ყველის დედის“ გარეშე, ბუნებრივად დამჟავებული რძისგან. გააცხელებულ ერბოში ჩაყრიან დაქუცმაცებულ ყველს, მარილს და შემოდგამენ ცეცხლზე. ყველი კარგად უნდა გადაიზილოს. ამიტომაც ქვია ამ კერძს გადაზელილი ყველი. გადაზელილი ყველი წელვადია.

თუთმაჯი მესხეთში ფართოდ გავრცელებული წვნიანია. ის მზადდება დოსა და ცომისაგან. დო რძისაგან კარაქად განკუთვნილი ნაღების მოხდის შემდეგ დარჩენილი სითხეა. მას ქვაბში ტოვებენ ორი დღით, რათა კარგად დამჟავდეს. შემდეგ წამოადულებენ და სპეციალური „თორბაში“ (ტილოსაგან შეკერილ ოთხკუთხა, მომცრო ტომარაში) განურავენ. „თორბას“ ჭერზე ჩამოკიდებენ, ის თანდათან დაიცლება შრატისაგან და ტომარაში მხოლოდ დო რჩება. დოს მარილს აყრიან. ადრე დოს მომცრო გორგლებად ახმოებდნენ მზეზე, ახლა კი გახმობის გარეშე ინახავენ მაცივარში. კერძისათვის საჭიროა ტაფაზე მომწვარი ხახვი, რომელსაც ორ-სამ კოვზ დოს ამატებენ, ასხამენ წყალსაც, თუშავენ და ამატებენ მარილს. თუთმაჯისთვის ცალკე უნდა მოიწვას მურკლები: ამასობაში თეთრი ფქვილისაგან მოზელენ ცომს, ამატებენ მარილს. დააგუნდავებენ, დაარბილებენ და გაშლიან „უხლავით“, დაჭრიან „ბალიშებად“ და ტაფაში შეწვავენ. ეს არის „მურკლები“. დოიან წყალში ჩაყრიან წვრილად დაჭრილი ცომის ნაჭრებს, რომლის მოხარშვის შემდეგ კერძს დავამატებთ შემწვარ მურკლებს, მოთუშულ ხახვს და ავადულებთ.

ერიშტა ერთ-ერთი გამორჩეული მესხური კერძია. ერიშტას ცომი მოიზილება თეთრი ფქვილისგან, რომელსაც ამატებენ მცირე მარილს. ცომი მაგარი უნდა იყოს. გარკვეული ხნით ცომს „დაასვენებენ“, შემდეგ მისგან მოამზადებენ გუნდებს, გადაზელავენ. ისევ „დაასვენებენ“, გუნდა რომ „თავს აიღებს“, ანუ, დარბილდება, მათ გაშლიან „უხლავით“ ორი მილიმეტრიანი სისქით, გააბრტყელებენ და შედგამენ ფურნეში, რომელშიც პური უკვე გამოცხვა და ახლა სიმხურვალე დაკარგული აქვს. უხა მთელი ღამით რჩება ფურნეში და



ნელ-ნელა „გამომხმება“. დილით უკვე გამომცხვარ თბილ „უხას“ დაამრგავლებენ და დაჭრიან რგოლებად, შემდეგ ისევ შედგამენ ფურნეში 10 წუთით. უკვე გამომცხვარს, ჩავყრიან ღრმა თასში, დაასხამენ ადუღებულ მარილიან წყალს, ხუთი წუთით დავაყოვნებენ, ამოვწურავებ და თავზე მოვასხამენ გამდნარ ერბოს. ზოგი აყრის ყველს ან ერბოში მოთუშულ ხახვს.

თათარბორეგიც ცომისაგან მზადდება. სასურველია, რომ ცომი მოიზილოს ნიალას მინდვრებში მოყვანილი ხორბლის თეთრი ფქვილით. მასში ამატებენ მარილს. ცომს გააბრტყელებენ და „მოასვენებენ“. უხლავზე გაბრტყელებული ცომი იჭრება ოთხკუთხედად. ცომს ხარშავენ მარილწყალში, შემდეგ ამოწურავენ ლანგარზე და მოასხამენ ერბოში მოთუშულ ხახვს. ზოგი ამატებს მანონს, ყველს ან ნივრიან წყალს.

მაკარლამა (ყველმოყრილა) საკმაოდ გავრცელებული და მიღებული კერძია სამცხე-ჯავახეთში. მას სახელდახელოდ ამზადებენ სტუმრის მოსვლისას ან საოჯახო სადილისათვის. მაკარლამისთვის (ყველმოყრილა) ჯერ მაგარ, მარილიან ცომს მოხელენ თეთრი ფქვილისაგან, სასურველია, ხორბალი ნილას მინდვრებზე იყოს მოყვანილი. ცომს შემდეგ ცოტა ხნით „დააყოვნებენ“ და შემდეგ გუნდებას გადაბეღენ. დარბილებულ, „თავალებულ“ გუნდებას გაშლიან „უხლავით“. გაშლილი უხის სისქე დაახლოებით ორი მილიმეტრი უნდა იყოს. გაბრტყელებულ უხას ძალიან წვრილ ნაჭრებად დაჭრიან და მოვხარშავენ მარილიან წყალში. შემდეგ ამოვწურავენ. თავზე მოასხამენ ერბოში მოთუშულ ხახვს ან მოაყრიან ყველს. შესაძლოა, უახლოეს მომავალში ქარხნული ნახევარფაბრიკატების სახით დაიწყოს მაკარლამას მომზადება.

ჯავახეთის ყოფაში დიდი ადგილი უჭირავს თუთას. თუთისაგან ხდიან არაყს, ამზადებენ ბექმეზს/ბაქმაზს, ტყლაპს, თუთმაჯს, თუთიხმელს და მურაბას. ამათგან მურაბა შედარებით ახალი მოვლენაა (მეოცე საუკუნის დასაწყისიდან), ხოლო თუთის არაყი, ბექმეზი/ბაქმაზი, ტყლაპი, თუთმაჯი და თუთიხმელი უძველესი ელემენტებია მესხური სამზარეულოსი.

თუთის არყის გამოხდის ტრადიცია დამახასიათებელია ასპინძის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სოფლისათვის (ხერთვისი, ტოლოში, ნიჯგორი, აწყვიტა, ნაქალაქევი, თმოგვი, გოგაშენი, სარო). ამ სოფლებში ფართოდ გავრცელებულია თუთა, როგორც კულტურული

მცენარე. თუთის არაყს, ცხადია, იყენებენ ყოფაში, მათ შორის, სამკურნალოდაც და გასაყიდად.

თუთისაგან არყის გამოხდა საკმაოდ შრომატევადი პროცესია. ცნობილია, რომ თუთის ხეს ყოველ სეზონზე რამდენჯერმე არხევენ. საარყე თუთას მესამე-მეოთხე დარხევის დროს ჩამოცვენილი ნაყოფისაგან შეკრებენ. პირველი-მეორე დარხევის დროს ჩამოცვენილ თუთას, ძირითადად, ბაზარში ყიდიან. შემდეგ დღეებში თუთა უფრო ტკბილდებაო და მისგან საბაქმაზე მასალას აგროვებენ. ბოლოს დარხეულ თუთას (აუცილებელია ერთ დღეს იყოს დარხეული თუთა) ჩაყრიან დიდ ქურჭელში და თბილად შეფუთავენ. თუთა მეორე დღესვე აქტიურ დუღილს იწყებს, დუღილი დაახლოებით ერთ კვირას გრძელდება და დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად თბილ გარემოშია. 5-6 დღის შემდეგ ის დღეში რამდენჯერმე უნდა შემომდეს, ამონებენ ანთებული ასანთის ღერით, ასანთის ღერი მიაქვთ დუღილის პროცესში მყოფი თუთის თავთან და თუ ასანთი ქრება, ესე იგი, დუღილი ისევ გრძელდება. ამონებენ მეორე დღესაც და ა. შ. როგორც კი დუღილი დამთავრდება, ცეცხლი ჩაქრა ეს ნიშნავს, რომ დუღილი გრძელდება და ჯერ არ არის თუთა მზად გამოსახდელად. არის მეორე მეთოდიც, ხელს ღრმად ჩაყოფენ ქურჭელში და თუ თუთა სიღრმეშიც ცივია, ესე იგი, დადუღებულია. ამის შემდეგ თუთას გამოხდიან ჩვეულებრივ არყის ქვაბში. სასურველია, არყის ქვაბი იყოს სპილენძისა და შიგნიდან მოკალული. ცნობილია, რომ საარყე ქვაბის მოკალვა ადგილობრივი ხელოსნების („კალაიჭები“-ს) საქმე იყო. სანავადად წივასა და შეშას ხმარობენ. ერთი ქვაბი (8 სათლი) თუთისაგან დაახლოებით 8-9 ლიტრი არაყი გამოიხდება რომელსაც საშუალოდ 65-70 გრადუსამდე შეაზავებენ. გამოხდის დაწყების დროს, გამოხდილ არაყს „თავი არაყი“ ჰქვია, ძირითად არაყს - „შუა არაყი“, ხოლო ბოლო ლიტრს - „საია“. „საია“ დაახლოებით 40 გრადუსამდეა. მას ცალკე ქურჭელში ინახავენ და შემდეგი გამოხდის დროს სხვა ქვაბში ამატებენ. „საია“ ჩვეულებრივი არყისგან განსხვავებით გაუმჭირვალეა და უსიამოვნო სუნი ახასიათებს. საუკეთესოდ მიჩნეულია 70-80 გრადუსზე დაყენებული არაყი. ერთი ლიტრი თუთის არყის საბაზრო ფასი ადგილზე ყიდვის შემთხვევაში დაახლოებით 15-18 ლარია. თუთის არაყი დღევანდელ სამცხე-ჯავახეთში პოპულარული სასმელია და მოთხოვნადია. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ხანგრძლივი წვიმების, ან გვალვების გამო შემცირდა თუთის ბაღების

ფართობები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აგრეთვე, მის საზღვრებს მიღმა მოქცეულ ტაო-კლარჯეთში, ქართველთა ყოფითი კულტურის ტრადიციული ელემენტია თუთის ბაქმაზი/ბექმეზი. ძველად ბაქმაზის დამზადების ამგვარი წესი იყო: „თუთას მოხარშავთ, გოდორში გადახურავთ და მერე - საცერშიც, რო არ ჩაჰყვეს კურკა, წვენს ქვაბში დააბრუნებთ და ადულებთ; თან ქვაბს უნდა ურიოთ, რო არ მიინვას ქვაბში. რო ნახავთ, ერთ მეხუთედზე დავა ქვაბში დადულებული წვენი, ეყოფა, გადმოიღებთ და ის ბაქმაზია. შეიძლება ვაშლისა და სხლისაც მოდუღდეს ასე“ (მასალები 1939: 115).

ამჟამინდელი წესი: ბაქმაზი მზადდება კარგად დამწიფებული თუთისაგან, რომელიც თუთის ხის მეხუთე-მეექვსე დარხევის დროს გროვდება. დილით დარხეულ თუთას ჩაყრიან სპილენძის განიერძირიან ქვაბში და ერთი საათის განმავლობაში ადულებენ, რის შემდეგაც თუთა წვენს გამოიდენს და მას გადმოიღებენ ქვის საწურავში (თუთის საწნახელში) და გასწურავენ. თუთის ასეთ სუფთა წვენს „შირა“ ჰქვია. „შირას“ ჩაასხამენ დაბალ, განერ სპილენძის ქვაბში, ე. წ. „თეშთში“ და კვლავ შემოდგამენ ცეცხლზე. „შირა“ აგრძელებს „თეშთში“ დუღილს, მას ურევენ „ქაბგირით“/„ქაფქირით“, წვენი „მოიგდება“ ქაფს, რომელსაც პერიოდულად მოხდიან და ნელ-ნელა წვენის რაოდენობა იკლებს. დაახლოებით ორი საათის დუღილის შემდეგ შირა შესქელდება და ფერსაც შეიცვლის. ფერისა და ნებოვნების მიხედვით ხვდებიან, თუ როდის არის ბექმაზი მზად: „შირა“ უნდა განახევრდეს და სრულად გაშავდეს და თაფლივით იწელებოდეს. მზა ბექმეზს ძველად თიხის ქოთნებში ინახავდნენ, ამჟამად შუშის ქილებს იყენებენ. ბექმეზი რამდენიმე წლის განმავლობაშია ვარგისი. ბექმეზზე მზარდი მოთხოვნაა ტურისტების მხრიდან.

ჯავახეთში არაყს ხდიან ჭანჭურისგანაც, ქლიავისგანაც, ვაშლისგანაც. მაგალითად, ჭანჭურისაგან არყის გამოხდის ასეთი წესია დაფიქსირებული 30-იან წლებში: „ქვევრში ჩაჰყრიან ჭანჭურს და დაალპობენ, როცა ადუღდება, როდესაც უნდათ, სახდელ ქვაში ჩაჰყრიან და გამოხდიან ცეცხლზე არაყს. ასევე იხდება თუთის, ქლიავის, ვაშლის და სხვა ხილის არაყი“ (მასალები 1989: 115).

ძველად ფართოდ იყო გავრცელებული „ჭირნახულიდან“ გამოხდილი არაყიც. აქ იგულისხმება ქერისა და ხორბლისაგან არყის გამოხდის ტრადიცია.

თუთის ტკბილი კვერი, ანუ, ტყლაპი საქართველოში ფართოდ გა-

ვრცელებული ტკბილეულია. ჯავახური ტკბილი კვერი, ანუ, თუთის ტყლაპი ასე მზადდებოდა: „თუთას მოხარშავენ დიდ ქვაბში და თან ურევენ გაშლილი ციცხვით, ქვაბმა არ მიიწვას. როცა კარგად მოიხარშება, გოდორში გადაწურავენ და მეორედ - საცერში, რო კურკები არ შეჰყვებს. ამას ხელახლა გადუქცევენ ქვაბში და რა დაცული იქნება სიტკბო შესაფერისად, გამტკიცულ დიკის ფქვილ (ქერისაც შეიძლება) ჩააყრიან და ფაფას გააკეთებენ თხლათ, ფაფას გაასხამენ ჯეჯიმზე გადაფარებულ სუფთა ტილოზე - ამერიკაზე, თხლათ უნდა შეასწორონ, თხელ-სქელი არ დარჩეს და ასე უნდა გააშრონ. როცა გახმება, ააძრობენ ამერიკას; ამერიკას წყლით დაასველებენ და თავისთავად აძვრება ტყლაპი. გადააბრუნებენ, მეორე გვერდსაც გაუხმობენ და მერე მშრალ ადგილას შეინახავენ სახლში“ (მასალები, 1989: 115).

ჩვენს დროში თუთის ტყლაპის დამზადების ტექნოლოგია უმეტესად ასპინძის მუნიციპალიტეტის მტკვრის ხეობის სოფლებშია შემორჩენილი. თუთის ტყლაპის დასამზადებლად ტკბილი თუთაა საჭირო, ამიტომ მას, როგორც წესი, შუა დარხევის დროს შეკრებილი თუთისგან ამზადებენ. თუთას ჩაყრიან სპილენძის განიერძირიან სპეციალურ ქვაბში და დაახლოებით ერთი საათი ადუღებენ, რა დროსაც თუთას მთელი წვენი გამოუვა და ქვაბში ქვევით ჩაიწვეს. ამ დროს თუთას გადმოიღებენ და სპეციალურ ქვის საწურავში (თუთის საწნახელი) გასწურავენ. ამ წვენს, ანუ, „შირას“ კვლავ ცეცხლზე შედგამენ და ადუღებენ. როგორც კი წვენი ოდნავ ფერს იცვლის, მას შეურევენ წყალში ან თუთის წვენში გასხსნილ ფქვილს ნებოვანებისათვის. 35-40 ლიტრ „შირას“ აყრიან რვა მუჭა ფქვილს. გარკვეული დროით კვლავ აგრძელებენ მოდუღებას და შემდეგ ტკბილის „ფაფას“ წინასწარ მომზადებულ სწორ ზედაპირზე გაფენილ თხელი ტილოს ნაჭრებზე დაასხამენ. სასურველია ტყლაპი თხელი და თითქმის გამჭვირვალე იყოს. ნაჭერზე კარგად გაშლილ ტყლაპს სამი დღის ხელუხლებლად ტოვებენ და მზეზე აშრობენ. მესამე დღეს აცალკევებენ ტყლაპსა და ნაჭერს. ტყლაპის აძრობის დროს ნაჭერს უკანა მხრიდან კარგად დაასველებენ წყლიანი ჩვრით და კუთხეებიდან ფრთხილად იწყებენ ტყლაპის აძრობას. საბოლოოდ როდესაც დამთავრდება ტყლაპის და ნაჭრის განცალკევება, სუფთა ტყლაპს მზეზე გაფენენ რამდენიმე ხნით და ტყლაპი უკვე მზად არის.

ძველად ქანჭურისაგან დიდი ოდენობით ამზადებდენ ქანჭურის ფარვარდას. „კარგად დამწიფებულს და დამტკბარს ქანჭურს გადა-

არჩევნ და მოხარშავნ ქვაბში, მოხარშულს სუბგში კარგად გასრესენ. წვენს ისევ ქვაბში მოუქცევნ და ადუღებენ ძალიან დიდხან და თან მორგებული ნიჩბით ურევნ უწყვეტლივ ხან ერთი, ხან მეორე (მიმართულებით), რო არ მიინვას ქვაბმა. თუ მიინვავს, გამწარდება და ვერ სქამთ. როცა გასქელდება, გადმოდგამთ, გაანელებთ და კასრში ან ქოთანში ჩაასხამთ და თავს მაგრათ წაუკრამთ გაზეთებით, რო ჰაერი არ ჩავიდეს და არ აობდეს. თუ კარგი ტკბილი არაა ქანჭური, შეიძლება სხალი აურიოთ ქანჭურში ოთხ ფუთში ერთ ფუთი“ (მასალები, 1989: 114). ჩვენს დროში „ფარვარდას“ უკვე ნაკლებად ამზადებენ.

ჯავახეთი განთქმულია ნაირგვარი ჩირითაც, მაგალითად, თუთიხმელით. თუთიხმელი მზადდება თუთის ხის ბოლო დარხევის შედეგად შეგროვილი თუთისაგან. ამ დროს თუთა ძალიან ტკბილია, ხეზევე შავდება და წყლისგან იცლება, როდესაც მინაზე ვარდება იგი უკვე ნახევრად გამომშრალია და დიდი დრო არ ქირდება მის გამომშრობას, ანუ, ჩირად ქცევას. გაფენენ სუფთა ტილოზე და ახმობენ. ბუნებრივად გამომშრალი/გამომხმარი თუთიხმელი არომატსაც ინარჩუნებს და მას ზოგჯერ ზმთრობით ტყლაპის მოსადუღებლადაც იყენებენ. ასევე ამზადებენ ქლიავის, ლოღნაშოს, შინდის, ვაშლის, მსხლის ჩირს.

ჯავახეთს ახასიათებდა ქუმის ამოვლების ტრადიციაც: „ადუღებენ, გასწურავნ და ქვაბში ჩაუბრუნებენ წვენს. ქუმასთვის შეიძლება სიმინდის ფქვილის ამოკიდება. ასე გაკეთებულ ფაფაში ძაფზე დარცეულ და ასხმულ კაკალს, თხილს ან ვაშლი ჩირს ამოავლებთ რავდენმეჯერ და ჩამოჰკიდებთ გარეთ მზეზე გასაშრობათ და კიდევ გახმება ერთ კვირეში“. ძველად ქუმას/ჩურჩხელას ამზადებდნენ ქანჭურის ფალვარდისგანაც. ძაფზე ასხმულ ნიგოზს ქანჭურისაგან მოდუღებულ ფქვილჩამატებულ ფალვარდაში ამოავლებდნენ (მასალები 1989: 115).

ჯავახეთის ყოფაში დიდი ადგილი ეჭირა **მონადირეობასა და მეთევზეობას**. მონადირენი ძველად ნადირობდნენ აბულის მთებში, ზამთრობით. 1935 წელს 66 წლის დაშიშ ბეგ აბაშიძის მონათხრობი: „ვნადირობდი კაჟიანი თოფით და ვხოცდი ირემს, შველს, გარეულ თხას და ცხვარს, დათვსა. ნანადირევ ხორცს ხოგს ვჭამდით სახლში, მეზობლებში ვარიგებდი და ტყავებს ზოგ ჩემ ნაცნობ ჩინოვნიკებ ვთავაზობდი, ზოგსაც ვყიდდი. ახლა თვალ აღარ მიხედავს და შორს

ველარ დავდივარ სანადიროთ. ზოგჯერ ჩვენს ბაღების კლდეებში, როცა წავანყდები, კაკბებს ვხოცავ“ (მასალები, 1992: 114).

თევზაობდნენ მდინარე მტკვარში, პატარა მდინარეებსა და ტბებში. ძველად მტკვარში თევზაობდნენ სათხევლეებით (სასროლი ბადეებით), ამას ნადირობა ერქვა, აგრეთვე, ოჩხეებით, ტოპით/ტოპვით, ნავტიკით და სხვ. (მასალები 1992: 5). თევზაობენ ჩვენს დროშიც, როგორც ადგილობრივნი, ასევე და ხშირად მტკვარსა და აქაურ ტბებს სტუმრობენ სხვა მხარის მეთევზეებიც.

ჯავახეთში არსებობს თევზაობის ბევრი ხალხური წესი და საშუალება. მაგალითად, ოჩხეს ჩადგმის ტრადიცია. თევზაობის ეს მეთოდი საკმაოდ ძველია და გულისხმობს თევზჭერისთვის ბუნებრივი და ხელოვნური ღრმულების გამოყენებას. თევზაობის ამ სახეს აღწერს ვახუშტი ბაგრატიონი და მას „ღრუდოს“ უწოდებს. „არს ქვა-ციხეს მდინარის კიდურზედ წყარო გამომდინარე, რომელსა გაზაფხულს მიუდგამენ გოდორს და აღივსების წურილის თევზითა, ... სამ თთუე ოდენ ესრეთ, მერმე არლარა, და უწოდებენ ამას ღრუდოს“ (ვახუშტი ბაგრატიონი 1973: 756). ზამთრისათვის „ღრუდოს“ ქემით შემოზღუდავდნენ, შესასვლელად პატარა ღიობს დაუტოვებდნენ, წყლის გაცივებისთანავე თევზი თბილ ადგილს ეტანებოდა და ქვების ქვეშ იმალებოდა. კარებს მაშინვე დახურავდნენ, დამფრთხალი თევზი გოდორში ცვიოდა. ასეთ გუბურას სამცხესა და ჯავახეთში „ოჩხეს“ უწოდებენ. თევზჭერის მსგავსი წესი საქართველოს ყველა მდინარეზე დასტურდება. ოჩხეში თევზი ბუდობს ნოემბრიდან მარტამდე. ოჩხეები ძირითადად დიდი მდინარეების მდორე ადგილებზე ეწყობა. ეს იყო ზამთრობით ცოცხალი თევზის მარაგი და ცხადია, მეტად ფასობდა. „ოჩხეს“ მოწყობას ხანგრძლივი ისტორია აქვს და ის დღეისათვის თითქმის დაკარგულია, მაგრამ, ცხადია, შესაძლებელია ტრადიციის აღდგენა. ხანგრძლივი ისტორიიდან გამომდინარე მტკვრის იმ მონაკვეთზე, სადაც განსაკუთრებით განვითარებული იყო მეთევზეობა, შეიქმნა ტოპონიმები „ხიზაბავრის ოჩხები“, „თმოგვის საბადურები“. წარსულში „ოჩხები“ ზოგადად სოფლისა იყო, შემდეგ იყოფოდა საგვარეულო „ოჩხებად“ ხოლო დღეს ერთეული ადამიანებიღა თუ აკეთებენ. ოჩხეს დიდი მნიშვნელობაზე მეტყველებს საოჯახო სამართლის ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ოჯახის გაყრის დროს, თუკი ერთ ძმას უღელი ხარი შეხვდებოდა, მეორე ძმას ოჩხე უნდა რგებოდა. აღსანიშნავია, ხალხური ეკოლოგიური ცოდნაც: ოჩხეში



მოხვედრილ თევზს, თუკი ის პატარა იყო, მეთევზე კუდის ნაწილს მოაჭრიდა და კვლავ მდინარეში უშვებდა, დიდი თევზს კი გოდორში ჩააგდებდა. ოჩხე ყველგან არ კეთდება. მის გაკეთებას შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება უნდა.

ოჩხე კეთდება იქ, სადაც არც ძალიან ნელი და არც ძალიან ჩქარი დინებაა. ამგვარი ადგილი მდინარე მტკვარზე იყო ხაშურიდან მოყოლებული ვარძიამადე. ამ მონაკვეთზე იყო ყველაზე საუკეთესო გეოგრაფიული და კლიმატური პირობები: გაშლილი ქვიანი ნაპირი, ჩქერის ძირი და მდორის დასაწყისი, ასევე, ზამთრისა და ზაფხულის ისეთი მონაცვლეობა, რომ სითბოს გამო ზუსტად დროის გარკვეულ მონაკვეთში მოხვდეს ოჩხეში თევზი. იმისათვის რომ ოჩხეში თევზი დამატებით მიეტყუებინათ, ზოგიერთ კუთხეში (ასპინძის რაიონი) იცოდნენ ოჩხის ფსკერზე ძროხის, ცხვრის ან თხის ტყავის დაგება. ზამთარში თევზი როდესაც საკვებს ვერ პოულობს, ოჩხის ძირზე დაგებულ მარილიან ტყავს ქამს და ეს დამატებითი საშუალებაა თევზის მისაზიდად. ოჩხეს დამზადება საკმაოდ შრომატევადი საქმეა, ამიტომ მას ძირითადად მამაკაცები აკეთებენ და როგორც წესი მის გაკეთებაში მინიმუმ 4-5 ადამიანი მონაწილეობს. ოჩხეს გაკეთებას პატარები უფროსების ყურებით სწავლობენ და მის სასწავლად რაიმე დაწესებულება არ არსებობს. ოჩხეს ყველაზე ხშირად შემოდგომით აკეთებენ და ზამთარში, ახალი წლის წინა პერიოდში ხსნიან. გასულ საუკუნეებში თუ ოჩხეს მთელი სოფელი ჩადგამდა და საერთო საკუთრება იყო, ბოლო ათწლეულებში მხოლოდ მეთევზეები აკეთებენ და ისიც საკმაოდ იშვიათად. როგორც თავად ამბობენ, ამის მიზეზი ის არს, რომ ოჩხეს ჩადგმა საკმაოდ შრომატევადია, თევზის რაოდენობა ნაკლებია. თევზის სიმცირეს განაპირობებდა ბრაკონიერობაც. ბოლო ხანებში მდინარეში ბრაკონიერობამ იკლო და თევზის რაოდენობამაც იმატა. მეთევზეებს იმედი მიეცათ, რომ ტრადიციული ხერხების გამოყენებით თევზჭერას ისევ შეძლებენ და სტიმული კვლავ გაუჩნდათ. ბოლო პერიოდში ოჩხეს გაკეთებამ ერთგვარად სახეც იცვალა. მოსახლეობის ნაწილი ოჩხეს პრინციპს კვლავ იყენებს მაგრამ სხვა ტექნოლოგიის გამოყენებით. ისინი ოჩხეს მსგავსი პრინციპით რკინისგან სარჩილავი აპარატით კრავენ ათობით ოთახის ტიპის კონსტრუქციას და შემდეგ ამწეების საშუალებითდგამენ მდინარის სხვადასხვა მონაკვეთებში. მართალია, ეს კლასიკური გაგებით ოჩხე არ არის და არც ქვებისგან არის გაკეთებული თავშე-

საფარია, მაგრამ პრინციპი ოჩხეს მსგავსია და მასაც შეიძლება ვუნდოთ სახეცვლილი ოჩხე. ასეთი ოჩხეს გამოყენება მრავალჯერ შეიძლება და თან მისი სხვადასხვა ადგილას გადატანა სავსებით შესაძლებელია.

შემონახულია გოდრით თევზაობის წესიც. მას ბუნებისათვის ზიანი არ მოაქვს. ტრადიციულად გოდორი იქსოვება წნელისაგან, წონოლა ფორმისაა და „თავჩაბრუნებულია“. გოდორი დაახლოებით, ერთნახევარი-ორი მეტრი სიგრძისაა და 0,80 მეტრი სიგანისაა, დაბრისებრი ფორმისაა. გოდრით თევზაობენ ფარავნის, სალამოსა და ტაბანყურის ტბების მდორე და ღრმა ადგილებში, აგრეთვე, მდინარეებშიც. დროის ცვლასა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მეტნაკლებად შეიცვალა გოდრის მოქსოვის წესიც. ძველ დროში თუ გოდორს ხის წნელებისგან ქსოვდნენ, ამჟამად მას ალუმინის მართულისგან ან რკინის წვრილი ბადისგან კრავენ. გოდრის პროპორციები და მისი პირდაპირი გამოყენების წესი არ შეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ მისი დასამზადებელი მასალა. გოდრის წყალში ჩადგმას თავისი წესები აქვს. გოდორი კარგად უნდა გასუფთავდეს, შიგნით სხვადასხვა სატყუარა და მძიმე ქვები ჩაიდოს, და სალამო ხანს ტბის ან მდინარის მდორე ნაწილში ჩაიდგას. ქვებ გოდორში დებენ სიმძიმისათვის, რომ არ გადაადგილდეს. გოდრის ჩადგმა გულისხმობს წყალში გოდრის დაწოლილ მდგომარეობაში ჩადგმას. გოდორში შესული თევზი უკან ველარ გადის, რადგან გოდრის ყელი დაბრისებრი ფორმისაა. თუკი გოდორს მთის მდინარეში ჩადგამენ, რომელთაც ხშირად უეცარი ადიდება იციან, წყალმა გოდორი რომ არ გაიტაცოს, მას ბოლოზე თოკს მოაბამენ და მდინარის ნაპირზე მჭიდროდ დაამაგრებენ. გოდორში რომ თევზი შევიდეს, ამას გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომ სალამოს ჩადგმულ გოდორს მხოლოდ მეორე დილით ამოიღებენ. როდესაც გოდორს წყლიდან ამოიღებენ, თევზებს ამოიყვანენ, სატყუარას დაუმატებენ, თუ მთლიანად შეჭმულია და უკანვე ჩადგამენ. გოდრით თევზაობა მეთევზეობის პასიური ფორმაა, ამ მეთოდით ადამიანს მცირე დრო ეხარჯება თევზის დასაჭერად და უამრავი სხვა უპირატესობაც აქვს: სეზონურობა თითქმის არ ახასიათებს და შესაძლებელია მისი გამოყენება ადრე გაზაფხულიდან ზამთრის დადგომის ჩათვლით (ვიდრე მდინარის ზედაპირი არ გაიყინება). ასევე გოდრისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს მდინარე ამღვრეულია თუ არა, ცხელა თუ წვიმიანი ამინდია და

ასე შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ გოდორი მეტად უნივერსალური და წარმატებული საშუალებაა თევზაობისათვის, მას დღეს თითქმის აღარ იყენებენ, ადრე თუ იგი თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა ვინც მდინარის პირას ცხოვრობდა, დღეს მას მხოლოდ მეთევზეები იყენებენ და ისიც საკმაოდ იშვიათად.

აღწერილია ტოპით/ტოპვით თევზაობის წესიც: „ორი-სამი კაცი კლავი-კლავგადადებული საცვლების ამარა, ტოპავენ მდინარეში ფეხზე და, რა წაანყდებიან ფეხით, თევზს დაადგამენ ფეხს. ერთი დაიდრეკება, ჩაჰყოფს კლავს, დაიჭერს, ამოიყვანს თევზს და ისვრის ნაპირისკენ“ (მასალები 1992: 50). სჩვეოდათ მდინარისაგან პატარა ტოტის მოწყვეტა, „მდინარის პატარა ტოტს კორდბალახით დააყრუებენ და შეჰკრენ ტოტის წყალს და იჭერენ. ტოტის გადაგდებით სწურავენ (მასალები, 1992: 50).

**ქვისმთელობა** ჯავახეთში ხელოსნობის განვითარებული დარგი იყო. აქ თლიდნენ სამშენებლო ქვას ეკლესიების, საცხოვრებლების, სახლებისათვის, ჭრიდნენ ქვას ტერასებისათვის. ამზადებდნენ საფლავის ქვებს, წისქვილის ქვებს, ზეთსახდელ ქვებს, ხელსაფქვაკვებს და საწნახელებს, როგორც ყურძნის, ასევე სხვა ხილის, მათ შორის, თუთის საწურად. მტკვრის ნაპირებზე შემონახულია ქვისაგან თლილი აბაზანებიც, რომელთაც სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა. საწნახელები განკუთვნილი იყო ყურძნის საწურად და თუთის საწურად. თუთის საწური საწნახელები ბევრად მომცრო ზომისაა.

ჯავახეთში შემონახულია დიდი ზომის ქვისაგან თლილი მრგვალი საწნახელები, საქართველოს სხვა მხარეებში კი უმეტესად ხის საწნახელები გვხვდება. მიზეზი გეოგრაფიული პირობებია. ცნობილია, ჯავახეთი ტყით ღარიბია კუთხეა, ამიტომ აქ სამშენებლოდ და სხვა სახის სამუშაოებისთვის ძირითადად ქვა გამოიყენებოდა. ჯავახეთის მდინარე მტკვრის ხეობის სოფლებში, სხვა ჯავახური სოფლებისაგან განსხვავებით კარგი პირობებია მევენახეობის განვითარებისათვის. ხერთვისი-ვარძია-ოლოდის მიმდებარე სოფლებში დღემდე შემორჩენილია რამდენიმე ადგილობრივი ჯიშის ვაზი რომელსაც წარსულში დიდი რაოდენობით აშენებდნენ. ცხადია, ძველად ეს ადგილები მევენახეობისთვის გამოიყენებოდა, ამაზე მეტყველებს ისტორიული ფაქტები და ადგილზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა. სოფელ გოგაშენის კუთვნილი ხეხილის ბაღები ვარძიის კომპლექსის გვერდით მდებარეობს და მას ჭაჭკარს ეძახიან. ყველაზე მიღებული

და აღიარებული ეტიმოლოგიის მიხედვით, ჭაჭკარის თავდაპირველი სახელი უნდა ყოფილიყო ჭაჭის კარი და შემდგომ აქედან არის მიღებული ჭაჭკარი. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ჭაჭკარის ტერიტორიაზე თავდაპირველად უმეტესად ვაზი იყო გაშენებული, ხოლო როდესაც ეს ტერიტორია ოსმალებმა დაიპყრეს, ვაზის კულტურამ ნელ-ნელა უკან დაიხია და შემცირდა. ჭაჭკარის მიმდებარე კლდეების დათვალიერების შედეგად მართლაც აღმოჩნდა მევენახეობის ძლიერი კვალი. აქ შემორჩენილია 400 წლოვანი ვაზი - თეთრი ცხენისძუძუ. ვაზი მსხმოიარეა, ვერხვის ხეზეა ასული და ვაზის დიამეტრი 40 სმ-ს აღწევს. სხვა ვაზებზე ხეებზეა ასული, ზოგი პანტაზე, ზოგიც კაკალზე. ჭაჭკარის ჩრდილო ნაწილი კლდეებითაა შემოსაზღვრული და ამ კლდეებში დაახლოებით 28-30 დიდი ზომის ქვის საწნახელია შემორჩენილი. ისინი პირდაპირ კლდეებში ამოჭრილი და თითოეულში დაახლოებით 3-4 ტონა ყურძენი იწურებოდა. ჭაჭკარის მსგავსად ქვის საწნახელები აღმოჩნდა სოფელ თმოგვისა და ნაქალაქევის შემოგარენშიც. ჩვენს დროში ქვის საწნახელებს, ძირითადად, მხოლოდ თუთის დასაწურად იყენებენ.

ქვისმთლელობის სპეციალისტები ახლაც არიან სხვადასხვა სოფელში. მათგან აღსანიშნავია ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარდან სუქიასიანი, რომელსაც ოჯახური ტრადიციით მიღებული აქვს შესაბამისი ცდნა, რაც გაიღრმავა სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. ვარდანი ქვას თლის ეკლესიებისათვის, ჯვრებს (ხაჩკარები), საფლავის ქვებს, ქმნის ეკლესიის მოდელებს და სხვ. მისი ოჯახის სახელოსნო მდებარეობს სოფელ დიდ გონდურაში (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი).

ჯავახეთს გააჩნდა მდიდარი ტრადიციები **მეთუნეობაშიც**. ადგილობრივნი თითქმის ყველა სოფელში ამზადებდნენ თიხის ქურჭელს: თონეებს, ქოთნებს, ჯამებს, წყლის სასმისებს, კეცებს. განსაკუთრებით განთქმული ყოფილს ვარგავის სათიხე ადგილი (მასალები, 1979: 143-144).

ძველად ოსტატები **ხისაგან თლიდნენ** მომცრო ზომის წყლის სასმისებს, საკოვზებს, სამარილეებს, გობებს, კოვზებს, ციცხვებს. ამ კუთხით წარსულის ამსახველი დეტალური ინფორმაცია მოცემულია გურამ გასიტაშვილის ნაშრომში (გასიტაშვილი, 1972).

სოფელი სარო განთქმული ყოფილა **წული ქურჭლის** დამზადების ტრადიციითაც. აქ იქსოვებოდა კალათები, გოდრები, გიდელები,

ძარა, ხელძარა და სხვ. (მასალები, 1979:144).

ჯავახეთში ჯერ კიდევ არიან **ტრადიციული მკურნალობის** მცოდნენი, რომლებიც ხალხური მეთოდებით მკურნალობენ სხვადასხვა დაავადებას. აქაც, მსგავსად საქართველოს სხვა მხარეებისა, მკურნალობის ხალხური ფორმები სამკურნალო ტრაქტატებიდან არის შემეცნებული, თუმცა, ცხადია, სხვადასხვა დროს ადგილობრივი გამოცდილებაც აისახებოდა წიგნებში და ცოდნა მუდმივად გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

ჯავახეთის ხალხური სამედიცინო კულტურის შესწავლას ეძღვნება ნ. მინდაძის, ნ. ჩირგაძისა და სხვათა ნაშრომები (მინდაძე, ჩირგაძე, 2000; ჩირგაძე, 2005).

ქვემოთ წარმოგიდგენთ საველე კვლევით მოპოვებულ მასლას:

ჯავახეთის თითქმის ყველა სოფელში არიან ხალხური მედიცინის მცოდნენი, რომელთაც მიმართავს მოსახლეობის ნაწილი დახმარებისათვის. მკურნალობენ ეპილეფსიას, ორგანულ დაავადებებს, ნაღრძობებს, მოტეხილობებს. ყურადღებას აქცევენ ჯანმრთელობის დაცვის პრევენციას. ჯანმრთელობის შენარჩუნების მთავარ პირობად შრომისა და დასვენების მონაცვლეობას, მშვიდ ძილს, სწორ კვებასა და გაცივებისაგან თავდაცვას ანიჭებენ. ხაზგასმით აღნიშნავენ ხანდაზმულთა რიცხოვნობას ამა თუ იმ სოფელში. შემონახულია ხალხური ცოდნა კოსმეტიკური საშუალებების დამზადებისა და სხვ.

მოგვყავს რამდენიმე კონკრეტული მაგალითი: ეპილეფსიით დაავადებულს ცხოვრების გარკვეულ რეჟიმს უქმნიდნენ: მას უნდა ეცხოვრა მშვიდ გარემოში, არ უნდა მიეღო ალკოჰოლი, ზედმეტად ცხიმიანი და ცხარე საკვებიურევდნენ ტკბილეულის ჭარბად მიღებას, მაგალითად ხშირად ასმევდნენ თაფლიან წყალს. ასმევდნენ კატაპარიის ფესვების ნახარშს. კრუნჩხვის დროს ავადმყოფს შავ ნაჭერს გადააფარებდნენ, თითიდან სისხლს გამოდენდნენ. კეფაზე ცივ ტილოს დაადებდნენ, ენას დაუჭერდნენ, მასთან მოჰყავდათ შემლოცველი, რომელიც შეშინებულის გამოლოცვის რიტუალს აატარებდა და სხვ. (ჩირგაძე 2005, 308-309).

ყელის ტკივილის მოსარჩენად ტყემლის ტყლაპსა და ღოლოს ფოთოლს იყენებენ. ანგინის დროს ავადმყოფს ყელზე შემოახვევენ ტყემლის ტყლაპს ან ღოლოს ფოთოლს. ღოლოს ფოთლის საფენი ამგვარად მზადება: ჩრდილში გამხმარ ღოლოს ფოთლებს

ჩაალებობენ ცხელ ძმრიან წყალში, ცხელსავე შემოახვევენ ავადმყოფს ყელზე და უხვევენ. პროცედურას რამდენჯერმე იმეორებენ (ინვენტარიზაციის მასალები). ფილტვების ანთების ან მაღალი სიცხეების დროს ტყემლის ტყლაპს ასველებენ შემთბარ ძმარში, დააფენენ ავადმყოფს ფილტვებზე და შეუხვევენ შალის თავსაფრით. როცა ტყლაპი თვისით მოძვრება, ავადმყოფი, განკურნებული იქნება. ფილტვების ანთების დროს იციან შემდეგი სახის მკურნალობაც: ერთ ჭიქა ადუღებული რძეს, ერთ სადილის კოვზ თაფლს, ერთ ჩაის კოვზი სოდას, 10 წვეთ სპირტ ან არაყს კარგად აურევენ ერთმანეთში და იღებენ 10 დღის განმავლობაში დილით უზმოზე. ანგინის დროს მოხუცები ე.წ გლანდების ანევის პროცესსაც იყენებენ. დასვამენ ბავშვს, ვისაც გართულებული აქვს ანგინა და ნიკაპის ქვეშ ამოსდებენ წინსაფარს და რამდენიმეჯერ მაღლა აწევენ. ამით გლანდები ვიწროვდება და ავადმყოფს დროებითი შვება ეძლევაო. იმეორებენ ხალხურ დაკვირვებას: გაზაფხულზე მიწაზე არ დავკდები, შემოდგომით - ქვაზე და არც ავად გავხდებიო, ასე მასწავლა პაპამაო (ინვენტარიზაციის მასალები).

სამკურნალო დანიშნულებით იყენებენ არყის კვეს. არყის კევი ასე მზადდება: არყის ხეს გააცლიან ქერქს. შემდეგ ქერქს დანით აძრობენ გარეთა უხეშ შრეს. რჩება სუფთა პრიალა არყის ფურცელი, რომელსაც აქუცმაცებენ წვრილად და ყრიან ქოთანში. ქოთანს ცეცხლზე დგამენ, ამატებენ ცოტა ერბოს და შუშავენ, თან ურევენ. შემდეგ ამ ქოთანში აგდებენ ნაკვერჩხლებს. ცეცხლი ეკიდება მოშუშულ, მობრანულ არყის ქერქებს, სწრაფად ურევენ ხის ჯობით მანამ, სანამ არ მიიღებენ წებოვან შავ მასას, ანუ არყის კვეს, რომელსაც ამოიღებენ და წყალში ზეღენ. მიღებული მასა არის არყის კევი. არყის კვეს იყენებდნენ ცხვირიდან სისხლდენის შესაჩერებლად: კევი უნდა გადავაკრათ ცხვირის კეხს მთლიანად, რამდენიმე წუთის შემდეგ სისხლდენა ჩერდება. არყის კვეს ღეჭავენ კუჭის ტკივილის ან კუჭის წყლულის დროს, სიგარეტის მოწვევისათვის თავის დანებების დროს.

სამკურნალოდ გამოიყენება ორნახადი არაყიც, ე.წ. არყის საია. ამ არაყში აბანავებენ კანის დაავადებით - „ხმელი ელქუმით“ დაავადებულთ: „ხმელი ელქუმის დროს ტანზე გამონაყარია, გამონაყარი მშრალია, წვრილი და წითელი, რომელიც საშინელ ქავილს იწვევს. ამ დაავადებით დაავადებულებს აბანავებენ საიით რამდენიმეჯერ,



გამონაყარი ქრება“.

ჩვილებში დაჭიმული ყიფლიბანდის სამკურნაოდ იყენებენ კვრცხს, ე. წ. ბანალკვერცხს. ბანალკვერცხი იხმარება ჩვილებში. ბანალკვერცხი ასე მზადდება: თხას გაკრეჭენ, განაკრეჭ ბანალს (ბალანი) ურევენ უმ კვერცხში და დააკრავენ ჩვილს. ბანალკვერცხი და ათი-თორმეტი დღის შემდეგ თვისით შორდება.

სამკურნალოდ იყენებენ ბაბაჭუას ანუ აბლაბუდის ქსელს. ობობის მიერ მოქსოვილი აბლაბუდა საუკეთესო საშუალებაა სისხლდენის შესაჩერებლად. ქრილობაზე ახვევენ აბლაბუდას და სისხლდენა უმალ ჩერდება.

სამკურნალო დანიშნულება აქვს ბაქმაზსაც. ბაქმაზიანი წყალი (ერთი კოვზი ბაქმაზი, გახსნილი ერთ ჩაის ჭიქა თბილ წყალში) საუკეთესო საშუალებად მიიჩნევა ხველების სანინაალმდეგოდ. შესიებულ ადგილზე აკრავენ თუთის ტყლაპზე წასმულ ბაქმაზს.

სამკურნალო მიზნით იყენებენ დვრიტას. დვრიტა საქონლის და ღორის კუჭია, რომელსაც საგულდაგულოდ გარეცხილს, ახმობენ და შემდეგ ყველის შესაყენებლად ხმარობენ. მისგან მზადდება ყველის დედა, ამისათვის დვრიტას ჩააგდებენ ქოთანში ან ქილაში და დაასხამენ შრატს. მიიღება „ყველის დედა“. ახლად მოწველილ თბილ რძეს ცოტა დედას გაურევენ და ყველიც „მოყველდება“. ასე შრატში ნადები დვრიტა კარგად კურნავდა დაჟეჟილ ადგილებს. დაჟეჟილობისათვის, აგრეთვე, საუკეთესო საშუალებად ასახელებენ შემდეგ მეთოდს: ავადმყოფის სასწრაფოდ შეხვევას ახლად დაკლული ცხვრის ტყავში. საჭიროების შემთხვევაში სპეციალურად დაკლავდნენ ცხვარს და მის თბილ ტყავში შეახვევენ ავადმყოფს 24 საათით. ზეთში მოშუშულ ცხვრის ქუჭყიან მატყლს იყენებენ ასევე თიაქრის სამკურნალოდ. ნალრძობის სამკურნალოდ გამოიყენება ტყემლის ტყლაპიც. ტყლაპზე უსვამენ ბაქმაზს და ნალრძობზე ადებენ. „ნაბად-თულთქი მატყლისგან“ მოთელილი ნაბდის ნაჭერს ან შალის ნაჭერს დაალბობდნენ „ყველის წვენში“ ანუ ყველის შესანახ მარილწყალში და დააფენდნენ ავადმყოფს ნალრძობზე. ხის ნაცარს მოშუშავდნენ არაყში, მიიღებდნენ ფაფისებურ მასას და დააფენდნენ ავადმყოფს ნალრძობზე. ამას ერქვა „ნაცართუთქი“. დაჟეჟილობის სამკურნალოდ გამოიყენებოდა „შაბყველი“. ყველს ტაფაზე გაადნობდნენ, გამდნარ ყველში ჩაყრიდნენ შაბს და კარგად მოურევდნენ. კარგად რომ აირეოდა ერთმანეთში, წაუსვამდნენ სახვევზე და დააფენდნენ დაჟეჟილ

ადგილზე.

ჯავახეთში იცნობდნენ უშვილობის მკურნალობის ტრადიციებს. ამ მიზნით ამზადებდნენ „იახს“. „იახი“, ანუ „თაბაშირი იახი“ მზადდება შემდეგნაირად: ნაჭერზე ერთ მხრიდან დაასხამდნენ გამდნარ ფისს, რომლის გაცივების შემდეგ, ნაჭერი ერთგვარად „გაკეშდებოდა“ და მას ფისიანი მხრიდან დააკრავდნენ ეგრეთ წოდებულ „ზელის ფიცარზე“. „ზელის ფიცარი“ იყო ქალებისათვის „ზელის შეკვრის“ საშუალება. წელს უკრავდნენ უშვილო ქალებს, რომლებსაც, მოხუცების თქმით, „წელი დაშინებული ჰქონდათ“ და მუცელი ადვილად ეშლებოდათ. „იახი“-ს მეორე სახეობა მზადებოდა სარეცხის საპნისა და კვერცხის ცილისაგან. მათ აურევდნენ ერთმანეთში. საპონი აუცილებლად ძალიან გამომშრალი უნდა ყოფილიყო. მას ჩაფხეკდნენ კვერცხის ცილაში და კარგად ათქვეფდნენ. მიღებული მასა უნდა წაესვას ნაჭერზე. ცოტახნის შემდეგ ნაჭერი „გაშეშდებოდა“ და ჩვეულებრივად ასრულებდა ახლანდელი თაბაშირის როლს მოტეხილობისათვის. ასეთივე მიზნით იყენებდნენ „კუპრიელსაც“. „კუპრიელი“ არის კუპრში ამოვლებული „ცვილის ტყავის ნაჭერი“, რომელსაც აკრავდნენ ავადმყოფს ნეკნების ჩაგრებისა და წელის ტკივილის დროს. ასევე აკრავდნენ ახალგათხოვილ ქალებს, რომლებიც ფეხმძიმედ არ რჩებოდნენ ან მუცელი ეშლებოდათ. ამ პროცესს „ზელის შეკვრას“ უწოდებდნენ. რას ნიშნავს „ცვილის ტყავის ნაჭერი“ - ძველად, სკვებზე ზემოდან აფენდნენ ტყავის ნაჭრებს (ამჟამად ფაბრიკული ნაწარმის ნაჭერს), რომლებიც შიგნიდან იპოხებოდა ცვილით.

სამკურნალო მიზნით გამოიყენება კვერცხის ცილა. კარგად ათქვეფილი კვერცხის ცილა გამოიყენებოდა ჩანითლებული (ჩასისხლიანებული) თვალის სამკურნალოდ: ცილაში დაალბობდნენ ბამბას და დააფენდნენ მტკივან თვალზე. ზეთში შემწვარ ერბოკვერცხს ადებდნენ პატარა ბიჭებს სათესლე ჭირკვლების გადიდებისას.

ჯავახურ ტრადიციულ კულინარიასა და მედიცინაში გამოიყენება ადგილობრივი ლოკოკინა. კარგად გარეცხილი ლოკოკინას ნარეცხს იყენებდნენ უნებლიე შარდვის საწინააღმდეგოდ ბავშვებში. ლოკოკინა უნდა „მოიკრიფოს“ ზამთარში თავის ნიჟარებიანად. ლოკოკინას იყენებენ გულის დაავადების სამკურნალოდაც და ხველების საწინააღმდეგოდაც.

ჩვილების სამკურნალოდ იყენებდნენ „პურის გულს“. გამომცხვარი პურის გულს კარგად გამოზელდნენ, მისგან გააკეთებდნენ პა-

ტარა ბურთს და დაადებდნენ ჩვილს ბავშვს ჭიპზე, როცა სისველე ამოსდიოდა. „პურის ცომი“ (ძველად ცომის გასაღვებლად საფუარს არ იყენებდნენ. ამისთვის ინახავდნენ ძველ ცომს, რომელიც იყო საკმაოდ დამჟავებელი) საუკეთესო საშუალება იყო ჩირქოვანი ძირმაგარის ან დაზიანებული ფრჩხილის მოსაშუშებლად: პურის ცომს წაუსვამდნენ სახვევზე და დადებდნენ საჭირო ადგილას. ჩირქოვანი ძირმაგარის სამკურნალოდ კარგი საშუალება იყო ცხვრის დუმაც, დაჩეჩქვილი. ძირმაგარას სხვა მალამოთიც მკურნალობდნენ: ერთი კვერცხის გული, ერთი სადილის კოვზი თაფლი, ერთი სადილის კოვზი ღორის ქონი და ერთი სადილის კოვზი ფქვილი კარგად უნდა აითქვიფოს ერთმანეთში. ძირმაგარაზე დაადებენ თუთის ტყლაპს და შეახვევენ. უფრო მარტივია შემდეგი მალამო: ავზილოთ ბაქმაზი და პურის ფქვილი და დავაკრათ ძირმაგარაზე და შევიხვიოთ. „პურის ცომი“ კარგია, აგრეთვე, ნასვამი ადამიანის გამოსაფხიზლებლად: პურის ცომს დააკრავდნენ პატარა ჩითის ნაჭერზე, ზედ ასხამდნენ სპირტს ან მაგარ არაყს და დაადებდნენ ჭიპზე მთვრალს. ნახევარი საათის შემდეგ ადამიანი ფხიზლდებოდა.

ჯავახეთში მზადდება „სინვილის მალამო“: მას ქეცის სანინაა-ღმდეგოდ იყენებენ. კრეფენ რამდენიმე ცალ „ბორიალა“ ეკალს, წვავენ, ნაცარს გაცრიან. სუფთა ნაცარს აურევენ ღორის ქონსა და გოგირდში. ორივე უნდა იყოს თანაბარი რაოდენობისა. ამ მალამოს უსვამენ ქეციან კანზე. წასმამდე კანს დაამუშავებენ, გაასუფთავებენ და მერე მალამოს წაუსვამენ.

ჯავახეთში სამკურნალო მიზნით იყენებენ ქარვის მძივსაც. ქარვა გამოიყენება საყვითლის დროს (ბოტკინი). ქარვის მძივს ჩაფხეკდნენ პატარა თეფშზე, აურევდნენ თაფლში და აჭმევდნენ ავადმყოფს.

მეძუძური ქალის რძე (განსაკუთრებით გოგოს დედის) კარგი საშუალება იყო მტკივანი თვალებისათვის. მას თვალეებში აწვეთებდნენ.

„ხის ფუტურო“. ძველი ფუტურო ხისგან დანის წვერით გამოფხეკდნენ ფქვილისმაგვარ ყვითელ "ფუტუროს", რომელსაც აყრიდნენ ჩვილებს გამომწვარ ადგილებში - იღლიებში და ყელის ნაკეცებში. ახალ დაბადებულ ბავშვს იღლიებსა და სასქესო ორგანოების ირგვლივ აყრიდნენ მარილს, რის შედეგადაც ბავშვებს აღარასოდეს არ „გამოეკვლებოდათ“ ანუ ნაკეცებში თეთრი ნალექი და წვა აღარ ექნებოდათ.

ნაქალაქევისა და თმოგვის შუაში არის ადგილი, სახელად „თირი“.

ეს არის ფერდობი, რომელსაც გადაჰკრავს თიხის ფერი, ოდნავ კი - მომწვანო ელფერი. ამ ფერდობზე არის დიდი რაოდენობით თიხამინა, რომელსაც, ასევე, „თირს“ უწოდებენ. ფერდობის მიწა, გარედან ფხვიერია, ცოტა სიღრმეში კი საპონივით იჭრება. ძველად, მოხუცების თქმით, საპონი როცა არ იშოვებოდა, მოჭრიდნენ საკმაოდ ბევრ თირს - სამ-ოთხ ვედროს, გაახმოებდნენ და მთელი ზამთარ-ზაფხულის სარეცხის დასარეცხად იყენებდნენ. თირს იყენებდნენ და თავ-ტანის დასაბანადაც. განსაკუთრებულად კარგად ბანდა გამომწვარი თირი. თირის 100 გრამამდე ნაჭერს ნალვერდალში ოდნავ გამოწვავდნენ, მერე დასაბან ან დასარეცხ წყალში ჩააგდებდნენ, მასში დამწვარი თირი დაიშლებოდა და მიღებული ხსნარით დაიბანდნენ ან დარეცხავდნენ სარეცხს. შედეგ კი სუფთა წყალს გადაავლებდნენ. თირი თმის მოვლის საუკეთესო საშუალება იყო, არც მკბენარს გააჩენდა და არც ქერტლს. თმაც სასიამოვნოდ რბილი და მბზინავიც იყო.

სამკურნალოდ გამოიყენება გოგირდიანი წყლები და სხვა წყლებიც: ალაგურში, თმოგვისციხის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის სანაპიროზე არის მიწისქვეშა წყალი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს ქარების აბანოს, ანუ იგი კურნავდა ქარებისაგან. წყალს ამოზიდავენ კლდეზე, სადაც არის ქვისგან ამოჭრილი ამოჭრილი აბაზანა. ამ წყალს ასხამენ აბაზანაში და შიგ ჩაჯდებიან. ადრე ამ „აბანოზე“ მეზობელი სოფლებიდანაც მოდიოდნენ სამკურნალოდ. ნაქალაქევსა და თმოგვს შორის ჩამოდის პატარა მდინარე რომელსაც წისქვილის წყალს უწოდებენ. ამ ტერიტორიაზეც ამოდის გოგირდიანი ცხელი წყლები: მოსახლეობა იღებდა და დღესაც იღებენ გოგირდის აბაზანებს. ეს წყლები შველის წელის, სახსრების და მუხლების ტკივილს.

სამკურნალოდ იყენებენ ტალახსაც: მაგალითად, ნაქალაქევის მახლობლად ამოდის მინერალური წყალი, რომელსაც „დამპალოს მჟავე წყალს“ უწოდებენ. სამკურნალოდ გამოიყენებენ წყალსაც და ტალახსაც, ძირითადად, კანის სამკურნალოდ (გამონაყარი, ჩირქიანი მუწუკები). მკურნალობის ფორმა: ავადმყოფს დაავადებულ კანზე უსვამენ ტალახს, ცოტა ხნით გააჩერებენ მზეზე, რომ ტალახი შეახმეს და შემდეგ იგივე მინერალური წყლით მობანენ. პროცედურა რამდენჯერმე იმეორებენ და, როგორც წესი, მკურნალობა დადებითი შედეგით მთავრდება.

ხერთვისის ციხის ჩრდილოეთით გამოდის პატარა წყარო, რომელსაც იყენებენ თირკმლებში კენჭების დასაშლელად და კუჭნაწლავის პრობლემების მოსაწესრიგებლად.

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ჯავახეთში სოციო-კულტურული და სამეურნეო ტრადიციები ნაწილობრივ შემონახულია ჩვენს დრომდე. კულტურის რიგი ელემენტები ფრაგმენტული სახითაა, ნაწილი კვლავ ინარჩუნებს ფუნქციას და ყოველდღიური პრაქტიკის შემადგენელია.

## ეთნიკური და რელიგიური ვითარება ჯავახეთში

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ბუნებრივია, იცვლებოდა ჯავახეთის პოლიტიკური მდგომარეობა, ეთნიკური, სოციო-კულტურული და რელიგიური ვითარება. ტრანსფორმაციული პროცესი ამ მხარეში განსაკუთრებით ნიშნეული იყო ტაო-კლარჯეთში, აჭარასა და მესხეთში ოსმალთა გაბატონების დროიდან. თანდათანობით მკვიდრ ქართველთა ნაწილი ისლამის მიმდევარი, ნაწილიც – კათოლიკური ეკლესიის მრევლი გახდა, ნაწილმა კი ბოლომდე შენარჩუნა მართლმადიდებლობა.

რუსეთის იმპერიამ ისტორიული მესხეთის („ახალციხის საფაშოს“) ოსმალთაგან გათავისუფლების შემდეგ სრულად შეცვალა ჯავახეთის ეთნიკური სურათი: აქ ჩაასახლეს ერევნის სახანოდან გადმოყვანილ ეთნიკურ სომეხთა ჯგუფები. 1820-იანი წლების მიწურულს, ჯავახეთიდან, ისევე როგორც სამცხიდან, ოსმალეთისაკენ დაიძრა მკვიდრ მუსლიმ ქართველთა დიდი ტალღა. დაცარიელდა ბევრი ქართული სოფელი. ეს იყო ქართველთა ე.წ. მუჰაჯირობის“ პირველი ტალღა ოსმალეთისაკენ. ამ დროიდან ოსმალეთში გადასახლებულთა დღევანდელ შთამომავლობაში ეთნიკურ ტერმინად უკვე ფორმირებულია „ახალციხელი თურქი“, თუმცა, ცხადია, რომ წარმომავლობით მათი უმრავლესობა ქართველი, კერძოდ კი მესხია.

მესხეთისა და აჭარის სამშობლოსთან შეეერთების შემდეგ ამ მხარეებში რუსეთის იმპერიის მესვეურნი ახორიციელებდნენ რუსი-ფიკატორულ პოლიტიკას, რამაც განაპირობა „მუჰაჯირობის“ მეორე და ყველზე ფართომასშტაბიანი ტალღაც 1880-იან წლებში: სამშობლოდან ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა მრავალი მუსლიმი ქართველი, რაც რეგიონების დემოგრაფიულ ვითარებაზე მძიმედ აისახა. ეს პროცესი შეეხო სამცხე-ჯავახეთსაც.

ეთნიკურ ქართველთა სამშობლოდან იძულებით აყრის სავალალო პროცესი გაგრძელდა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდშიც, კერძოდ, 1944 წლის ნოემბრიდან მესხეთის მუსლიმ ქართველთა დიდი ნაწილი გადასახლებულ იქნა ცენტრალურ აზიაში. მუსლიმ მესხთა წარსული და თანამედროვე ვითარება დეტალურადაა შესწავლილი მერაბ ბერიძის მიერ (ბერიძე, 2013-ბ). საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ სცადა დაცარიელებული პუნქტების შევსება მოსახლეობით სა-



ქართველოს სხვა მხარეებიდან.

ისტორიული მესხეთიდან გადასახლებულთა შთამომავლები დღეს თურქეთის რესპუბლიკაში სახლობენ, როგორც ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, კერძოდ კი არტაანისა (ფოცხოვის რაიონი, ქალაქი არტაანი, მისი სოფლები) და ართვინის (შავშათის რაიონი, ქალაქი ართვინი) რეგიონებში, აგრეთვე, მარმარილოს ზღვის რეგიონების სხვადასხვა რაიონში, ბურსის რეგიონის გემლიკის რაიონის სოფლებში, ინეგოლის რაიონის სოფლებში და სხვ., შემონახული აქვთ ტრადიციული ქართული მესხური კვებითი კულტურაც. ამ სოფლების „ახისკა თურქები“ საკმაოდ ახლოს ცხოვრობენ ქართველთა სოფლებთან.

როგორია მათი ეთნიკური იდენტობა? თურქეთში მცხოვრებ წარმოშობით ქართველთა (/მესხთა) შთამომავლების იდენტობა გამოიხატება ტერმინით „ახალციხელი თურქი“. ამ ე. წ. „ახალციხელ თურქთა“ კულტურულმა მესხიერებამ შემოინახა მრავალი ტრაგიკული ისტორია მათი წინაპრების მშობლიური მხარიდან აყრისა და გადმოსახლების შესახებ. ბევრს ახსოვს ისტორიული სოფლის სახელიც, ზოგიერთს - წინაპართა ქართული გვარიც. მათი ფიზიკური მონაცემებიც, რასაკვირველია, ქართულ ფიზიკურ ანთროპოლოგიურ ტიპს მიეკუთვნება. ბევრ ოჯახს, მაგალითად, გემლიკში, ინეგოლში აქვს სწრაფვა სამშობლოსაკენ და ისინი იქაურ ქართველებთან მეგობრულ ურთიერთობაში არიან.

ჩვენი ერთ-ერთი ექსპედიციის დროს ფოცხოვსა და ერუშეთში დიდი დახმარება სწორედ „ახალციხელმა თურქმა“ აღმოგვიჩინა და მაღლობიდან სევდიანადაც გვაჩვენა მისი წინაპრების სოფელი წყალთბილა.

სამცხისა და ჭავჭავეთის რუსეთის შემადგენლობაში მოქცეული საზღვრებიდან განსახლებული ქართველების შთამომავლების წინილი სახლობს ფოცხოვის ხეობის სასაზღვრო ზოლის სოფლებშიც. მათი ყოფითი მახასიათებლები არ განსხვავდება სამცხის ქართველი მოსახლეობის ტრადიციული ყოფითი კულტურისაგან. რასაკვირველია, ისინი არიან მუსლიმები (სუნიტები), უმრავლესობა თავის ეთნიკურობას უკვე თურქ ეთნოსთან აიგივებს, მაგრამ ბევრს ახსოვს ქართული წარმომავლობაც, განსაკუთრებით ფოცხოვისწყლის ხეობის საზღვრისპირა სოფლებში.

რა ვითარებაა ჩვენს დროში რელიგიური კუთხით? რელიგიური ვი-

თარება სხვადასხვა ეპოქაში, ცხადია, იცვლებოდა და დღევანდელი სიტუაციით სახეზე გვაქვს გარკვეული ნიშნები რელიგიის (ქრისტიანობაც, ისლამიც) მზარდი როლის შესახებ ყოფაში.

რელიგიურობის ამსახველი ოფიციალური სტატისტიკა ამგვარია: 2002 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობს 34727 კათოლიკე. მათგან 27871 კათოლიკე ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთში. დიდი ნაწილი სომხები არიან. ქართველი კათოლიკეების საერთო რაოდენობად ფიქსირებულია 10988 ადამიანი (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2004: 80). ქართველ მუსლიმთა რაოდენობა 139124-ს შეადგენს (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2004).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 83,4 პროცენტს მართლმადიდებლები შეადგენენ, მუსლიმური სარწმუნოების მატარებელია მოსახლეობის 10,7 პროცენტი, ხოლო სომხური – სამოციქულო აღმსარებლობის მიმდევარია 2,9 პროცენტი ([http://census.ge/files/results/Census%20Release\\_GEO.pdf](http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf)).

რელიგიის გავლენა ყოფით ცხოვრებაზე თვალსაჩინოა, რაც აისახება საოჯახო ყოფის, ქორწინების, განათლების, კონფესიათაშორის ურთიერთობების საკითხებზე.

ჯავახეთში ქართველთა გვერდით ცხოვრობენ ეთნიკურად სომხებიც. ქართველი მოსახლეობის ერთი ნაწილი მართლმადიდებელი, მეორე - კათოლიკე, არიან მუსლიმი ქართველებიც, რომლებიც ჯავახეთში ჩასახლდნენ აჭარიდან. ისლამის აღმსარებლები არიან თურქეთის მხარეს მოქცეული ჯავახეთისა და სამცხის ავტოქტონი მოსახლეობაც, წარმოშობით ქართველები. სომეხთა დიდი ნაწილი სომხური სამოციქულო ეკლესიის წევრია და მიჰყვებიან მონოფიზიტურ საეკლესიო კალენდარს, ნაწილიც - კათოლიკეა. სხვადასხვა სოფელში არიან ამა თუ იმ პროტესტანტული კონფესიის წევრებიც, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობით.

ჯავახეთშიც, მსგავსად საქართველოს სხვა მხარეებისა, შეინიშნება როგორც ქრისტიანული (მართლმადიდებლური, კათოლიკური), ასევე ისლამური რელიგიური ნაგებობებისა და სასწავლო სასულიერო დაწესებულებების რაოდენობის ზრდა. იმატა ახალ აგებულ ეკლესიათა და საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ სასწავლო

დანესებულებათა რიცხვმაც. აღდგა მრავალი მონასტერი.

ეპარქიულად ჯავახეთის მართლმადიდებელი მოსახლეობა ორ ნაწილადაა გაყოფილი, მტკვრის ხეობის სოფლები (ასპინძის მუნიციპალიტეტი) შედის ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიაში, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების მრევლი კი - ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიაში.

დიდი სოციო-კულტურული მნიშვნელობის კერაა მონასტრები, მაგალითად, სოფელ ფოკაში არსებული წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი, საროს მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერი და სხვ.

სამცხეში სახლობენ 1944 წელს აქედან დეპორტირებულთა შთამომავლებიც, რომლებიც სამშობლოში დაბრუნდნენ. მათი უმრავლესობა მუსლიმია.

სამცხესა და ჯავახეთში არის აჭარიდან გადმოსახლებულ ეკომიგრანტ ქართველთა კომპაქტური დასახლებებიც (ფუტკარაძე 2000). მოსახლეობის ეს ჯგუფიც, ძირითადად, მუსლიმურია, თუმცა მათ შორის არიან ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი ოჯახებიც. ზოგიერთ ოჯახში არის რელიგიური მრავალფეროვნებაც: რამდენიმე წევრი მუსლიმია, რამდენიმე – ქრისტიანი. ასეა, მაგალითად, აფნიასა და აზმანაში. არის ფაქტები მუსლიმი და ქრისტიანი ქართველების ქორწინებისა. ბუნებრივია, დამხვედურ და ჩამოსულ ქართველთა შორის დამყარებულია კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

ქართველთა და სომეხთა შერეულ სოფლებში ან ერთმანეთის გვრდით მდებარე სოფლებში ხშირია შერეული ქორწინების ფაქტები. ორივე ჯგუფი ერთმანეთს მხარში უდგას ლხინშიც და ჭირშიც.

ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობის ნაწილი იცავს მარხვის ტრადიციას და ეს აისახება ყოფით ცხოვრებაზეც: მარხვის დღეებში (თვეებში) ქრისტიანები ამზადებენ სამარხვო საკვებს, მუსლიმები კი მზის ჩასვლამდე იცავენ მარხვას როგორც საკვებით, ასევე, წყლით.

რელიგიური ვითარება, ბუნებრივია, დიდ გავლენას ახდენს ეთნო-კულტურულ და სოციო-კულტურულ პროცესებზე. საქართველოს გათავისუფლების დღიდან ჩვენი დროის ჩათვლით, პეროდულად, რომელიმე მხარეში, ქალაქში, დაბასა და სოფელში თავს იჩენს გარე ძალების მიერ ინსპირირებული ლოკალური კონფლიქტები, ასეთი იყო, მაგალითად, მოხეს ჯამეს მინარეთის ისტორია. ყოველი კონფლიქტის დეტალური შესწავლა და ანალიზი აუცილებელია ზოგადი

დასკვნების გამოსატანად. მართებულადაა შენიშნული რომ „რელიგია დღეს ეთნოკულტურული ინტეგრაციისა და იდენტიფიკაციის ფაქტორად გვევლინება და თუ ვერ მოხერხდა საქართველოში რელიგიურ დაპირისპირებათა გაღრმავების შეჩერება, კონფესიათშორისი თუ რელიგიური ფაქტორებით პროვოცირებული ეთნოსებს შორის ან ეთნოსის შიგნით წარმოშობილი კონფლიქტები უთუოდ ხელს შეუშლის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ქართული საზოგადოების დემოკრატიულ პრინციპებზე კონსოლიდაციას“ (ხუციშვილი, 2004: 8-9).

მუსლიმ ქართველთა ახალგაზრდა ნაწილს სასულიერო განათლება ან საერო უმაღლესი განათლება მიღებული აქვს თურქეთში, ნაწილს – არაბეთშიც. მათ მიერ საქართველოში ჩამოტანილი სასულიერო ცოდნა, ხშირად, ნაწილობრივ, გაუგებარია საშუალო და ხანდაზმული ასაკის ქართველი მუსლიმებისათვის. აჭარელთა ის ნაწილი, რომელიც ტრადიციულ ქართულ საზოგადოებაშია აღზრდილი და ისლამს იცნობს ადგილობრივ სასულიერო პირთა მიერ მოწოდებული ცოდნით, დღესასწაულებს აღნიშნავს ტრადიციული ქართული ფორმით.

სამცხე-ჯავახეთის მართლმადიდებელთათვის უდიდესი მნიშვნელობისაა აღდგომისა და შობის დღესასწაულები, ამ დღეებში სწირავენ საღვთოს. აგრეთვე ტრადიციულია ვარძიაში არსებული ხანგრძლივი ტრადიციის მქონე „ღვთისმშობლობა“ (21 სექტემბერი). დღეობის ხალხური ფორმები უკვე იკარგება. ამჟამად დღესასწაულის მსვლელობას სრულად წარმართავს ეკლესია და ამიტომ ტრადიციული ფორმები სანესო-სპორტული შეჯიბრებებისა, ნადიმი და სხვ, ბოლო წლებში აღარ იმართება. ამიტომ ძველი ფორმიდან შემოგვრჩა მხოლოდ ოჯახებში ბატკნის დაკვლისა და დედაღვთისმშობლისადმი მადლიერების აღვლენის ხალხური რიტუალები. წმიდა გიორგის ეკლესიებთან აღინიშნება ორივე გიორგობა. მასშტაბურია ნიჭგორის გიორგობა და სხვ. ამ დღეებშიც სწირავენ საღვთოს. ამაღლებას ზეიმობენ ამაღლების ეკლესიებთან და ა.შ.

შემონახულია ისეთი ხალხური დღეობებიც, რომლებშიც მონაწილეობს ორივე აღმსარებლობის მოსახლეობა, ეს არის შუამთობის დღესასწაული, რომელიც იმართება როგორც აჭარაში, ასევე სამცხე-სა და ჯავახეთშიც. ხალხური დღეობა „შუამთობა“. „შუამთობა“ - ძველი ქართული ტრადიციული დღესასწაულია, მისი ფესვები არქაული

ხანიდან მოდის, უკავშირდება წლიურ სამეურნეო წელიწადს, კერძოდ, მესაქონლეობას. დღეობა იმართება ყოველი წლის ივლისის თვის ბოლო შაბათ-კვირას, ე.წ. ფერსათის მთაზე საზაფხულო იალაღებზე მყოფი მოსახლეობის მონაწილეობით. „შუამთობისას“ იმართება შეჯიბრებები დოღში და სპორტის სხვადასხვა სახეობებში, სრულდება ცეკვები, სიმღერები და სხვა სახის გასართობი ღონისძიებები. შუამთაობა კვლავ იმართება უდისა და არალის მთებში, გოდერძის უღელტეხილთან მიმდებარე საზაფხულო იალაღებზე, მყოფი მოსახლეობის მიერ ყოველი წლის აგვისტოს თვის პირველ შაბათს. აღნიშნულ დღესასწაულში მონაწილეობენ როგორც ადიგენის, ასევე მეზობელი რაიონების (ხულო, შუახევი) მოსახლეობაც. აფენიაში აჭარიდან წამოსულ ქართველთა 30-მდე კომლია. აჭარლები სახლობენ აზმანაშიც. ისინი, ძირითადად, მესაქონლეობას მისდევენ და ბუნებრივია, მთაში აღნიშნავენ შუათობას, მეზობელ მკვიდრ გოგაშნელ და აფნიელ მართლმადიდებლებთან ერთად.

„შუამთობა“ და „მარიობა“ ცოცხალი კულტურის ნაწილია თურქეთის რესპუბლიკას მცხოვრებ ქართველთათვისაც. ეს დღეობა ისტორიული ტაო-კლარჯეთის ყველა მხარისათვის იყო დამახასიათებელი და ის ყველაზე მთავრი ელემენტია ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ დღეობათა წლიური კალენდრისა.

ჩვენი დროისათვის დღეობა შედარებით ავთენტური სახით სრულდება იმ სოფლების იალაღებზე, სადაც ჯერ კიდევ მისდევენ მესაქონლეობას. სამწუხაროდ, მესაქონლეობისა და ინტენსიური მიწათმოქმედების ტრადიციული ფორმები სოფელთა ერთ ნაწილში მოშლილია, შიდა მიგრაციული პროცესებიდან გამომდინარე, რაც განსაკუთრებით მძაფრად იწყება XX საუკუნის 80-იანი წლებიდან. მარიობას დღესაც ასრულებენ ფოცხოვის „იალიებზე“, როგორც ადგილობრივნი, ასევე, ახალციხის სოფლებიდან სხვადასხვა დროს გადმოსახლებულნიც, ვინაიდან კულტურის ეს ელემენტი ერთი და იგივე ეთნიკური - ქართული - ტრადიციიდან მოდის.

შედარებით ახლად გაცოცხლებულია „თავკვეთილობა“. ეს დღე ქრისტიანთათვის დიდი მნიშვნელობის მქონე თარიღითაა განპირობებული - იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღე, 11 სექტემბერი. დღეობა ბოლო 30 წელია, რაც აღდგა. ამ წმიდა ადგილს მიაკვლია ან მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (<http://>

karibche.ambebi.ge/eklesia/tadzrebi-da-monastrebi/7888-thavkvethulas-monastershi-erthi-beris-aghvlenili-locva.html) და აქ აღდგა მონასტერი. განახლდა თავკვეთილობის დღეობა, რომელიც აღინიშნება თავკვეთულას მონასტერში. ადრე ამ დღეს მდინარეში წყალი თავისით იკლებდა და მლოცველნი წყალზე ფეხით გადადიოდნენ, დღეს უკვე ხიდია აგებული.

ყველა სოფელშია არაერთი ეკლესია, რომელთა სატაძრო დღეობები მთელი სოფლის გამაერთიანებელია.

შემონახულია მრავალი ნაეკლესიარიც, ბევრ მიტოვებულ სოფელს მისი მკვიდრნი მხოლოდ ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის დღეობის დროს მიაკითხავენ და დროები გამოაცოცხლებენ სოფელს.

ისლამის მიმდევარი ქართველები განსაკუთრებით გრანდიოზულად აღნიშნავენ „ყურბან ბაირამისა“ და „რამაზან ბაირამის“ დღესასწაულებს, რომლებსაც ახლავს ხალხური რიტუალებიც.

შემონახულია ძველით ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციაც. ახალწელს მთელ საქართველოში დიდი სიხარულით ეგებებოდნენ, ასრულებდნენ გარკვეულ რიტუალებსა და წესებს. ასეა ჭავახეთშიც.

სამცხე-ჯავახეთში არსებობდა ადრესაკარნავალო ციკლის დღეობების მდიდარი ტრადიციები (რუხაძე, 1999, რუხაძე 2000), რომელთაგან „ბერობანა“ ახლაც სრულდება მესხეთის ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, „ბერობანა“ იმართება სოფელ არალსა და სოფელ უდეში. იგი იმართება ადრე გაზაფხულზე, აღდგომის დიდმარხვის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე და მთელი კვირის განმავლობაში გრძელდება. სოფლებში ტარდება შეჯიბრებები ჭიდაობაში, მკლავჭიდაობაში, ცეკვებში და სხვა. უშუალოდ კვირა დღეს იმართება განსაკუთრებული სარიტუალო ღონისძიება „ბერობანა“, რომელშიც 90-100 კაცი მონაწილეობს. ბოლო დრომდე „ბერობანას“ ასრულებდნენ ხიზაბავრელებიც.

სულ ახლო წარსულში ჭავახეთის მტკვრის ხეობის სოფლებში შემონახული იყო სინკრეტული რელიგიური რიტუალი „ზიარეთობა“. ეს ტრადიცია ზოგადად ახასიათებდა სამცხე-ჯავახეთსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ მხარეებს (ბერიძე, გუჯაჯიანი, 2010). ტრადიცია თითქმის დაკარგულია სამცხე-ჯავახეთში, ტაო-კლარჯეთში კი ჯერ კიდევ სრულდება. რა რიტუალი არის ზიარეთობა? „ზიარეთობა“ აღწერილი აქვთ ნიკო მარსა და ექვთიმე



თაყაიშვილს (Mapp 1904, თაყაიშვილი 1991). ცნობილია, რომ „ზიარეთი“ რამდენიმე ადგილის სახელად შემორჩა სამხრეთ დასავლეთ საქართველოს. მაგალითად, ზიარეთი არის მთა ერუშეთში. მას, აგრეთვე, ჰქვია დადუშ-ერკოტი (ბერიძე, 1992: 13). უფრო მეტი ტოპონიმი ამ სახელწოდებით, არსებობს თურქეთს ფარგლებში მოქცეულ ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ზიარეთობა ნიშნავდა მლოცველთა სტუმრობას რომელიმე ეკლესიის ნანგრევში, იქ დარჩენას ღამითაც, ანთებული სანთლებით ღოცვა-ვედრებას. მაგალითად, ნიკო მარის მონათხრობით ამგვარია თეთარქედელთა ზიარეთობა: „თეთრაქედელები, ცხადია, მუსლიმები, მიყვებოდნენ, თუ როგორ დადიოდნენ სალოცავად (ზიარეთი) ქრისტიანულ ეკლესიაში, რომელიც ახლა ნანგრევებადაა ქცეული; ზიარეთში წავალთ, მუმს გავაკეთებთ, გავადნობთ, ძაფს ჩავყოფთ და ამევიღებთ, წავიღებთ, ზიარეთათ პორტას წავალთ და მერის, აჭარას. პორტის ზემოთ არის ჩვენი ზიარეთი, ერთ საათ გოუნევს. ზიარეთზე მარტოდ მოშენებული სახლი არი ქვიდან, ყულაი მოშენებული, ყულანდელი, მაშინდელი. ზიარეთში დანვებიან. სიზმარში ნახვენ. ეტყვის სიზმარში, ეს დაკალიო ია ფული აჩუქეო, შინ დაკალიო, ია აქ დაკალიო. რაცხასაც რომ ეტყვის, დაკლავს. ყოჩ (მამალი ცხვარი), ცხვარ ეტყვის, კარ, ზროხას ეტყვის. ქათამი გაგვიგონია, სხვა ჩიტი არ გაგვიგონია“ (Mapp 1904: 79). ადგილობრივმა ქართველებმა ნ. მარს საზიარეთოდ სიარულის მიზეზიც აუხსნეს: „ზიარეთში მიდიან პორტის, ქკუა რომენ დაკარგული ექნება, შვილი არ ეყოლის. კარი არა აქ, შუვა შიგ კაცი ია ქალი, პერანგს ჩაიცვამს მარტო, ოქრო, ვეცხლი არ იქნება. მარტო პერანგი და ნიფხავი (თ. ფიშტონი), მომ აანთებს, სამ, შვიდ, ხუთ, ცხრას. ჩემი დერდი რაცხა არიო, ვნახო სიზმარიო. და დანვება. თუ არ ნახა სიზმარი, არ მოუხდა. თუ ნახა, თვალს დააბანიებს სიზმარში (მოუტანს რაცხას, ისე ეჩვენება) ასვამს და ეტყვის ყურბანიო (ქართ. ყურბანდო)“. სანთლებს ქვაზე აკრავენ. მლოცველები იქ რჩებიან 1-3 დღე, შორიდან მოსულები კი უფრო ხანგრძლივი დროითაც. საზიარეთოდ მიემართებიან მაისსა და ივნისში, მიდიან ფეხით (Mapp 1904: 80).

ტოპონიმები „ზიარეთი“ და „ზიარეთობა“ ახსოვთ დღევანდელ იმერხეველებს, მაჭახლელებს, მურღულელებს, დევსქელის ხეობელებს, ქლასკურელებს, ხებელებს, აგრეთვე, ტაოელებსაც (ხევაი, ბაღხი, ქობაი). აღსანიშნავია, რომ ტოპონიმი დაფიქსირდა ფოცხოვშიც. ტოპონიმი ზიარეთი და საზიარეთოდ წასვლის ტრადიცია ხშირ

შემთხვევაში უკავშირდება თამარ მეფის ხსოვნასაც.

შარშან ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა ფატიმას ღვთისმშობლის ქამდაკების ჩამობრძანებასა და საზეიმო მსვლელობას კათოლიკურ ეკლესიებში.

სამცხე-ჯავახეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო დღესასწაულს „შოთაობას“. შოთაობა ყოველწლიურად აღინიშნება. ამ დღეს იმართება ადგილობრივი წარმოების პროდუქტების და ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა გაყიდვა; სპორტული ღონისძიებები: ჭიდაობა, მკლავჭიდი, ქვის აზიდვა; ტარდება ლიტურატურული კონკურსი და საზეიმო კონცერტი რეგიონში მოქმედი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით.

ჯავახეთში მცხოვრები სომხების ნაწილი დღესასწაულებს აღნიშნავს სომხური სამოციქულო ეკლესიის კალენდრის შესაბამისად. აღდგომასა და შობასთან ერთად, გამორჩეული დღესასწაულებია სურბ საქრისობა და ვარდავარი. ორივე მაგანი სახალხო დღესასწაულებადაა ქცეული. სურბ სარქისი მონამე წმინდანია, რომელიც შეყვარებულების მფარველად მიჩნევა. დღესასწაულის წინ იცავენ მარხვას, იმართება პროცესიაც. დღესასწაულის საღამოს კი ახალგაზრდები სპეციალურად გამომცხვარ მარილიან კვერებს ჭამენ, იმ რწმენით, რომ სიზმრად მომავალ მეუღლეებს ნახავენ. ეს ტრადიცია გასცდა სომხური სამოციქულო ეკლესიის ფარგლებს და მარილიან კვერებს სხვა აღმასრებლობის ახალგაზრდებიც მიირთმევენ.

ვარდავარი იგივე ფერისცვალების დღესასწაულია. ამ დღეს ეკლესიები ყვავილებით ირთვება და იმართება საზეიმო წირვა. ეს სინკრეტული დღესასწაულია და უკავშირდება წინარექრისტიანულ წყლის, სიყვარულისა და ნაყოფირების ღვთაება ასთლიკს. ვარდავარის დღესასწაული დიდი ხალხური ზეიმით აღინიშნება. ამ დღეს ბავშვები ყველას წუნავენ. ტრადიციის თანახმად, წელიწადი იღბლიანი იქნება მათთვის, ვისაც ამ დღეს წყალს შეასხამენ.

კათოლიკე სომხები მიჰყვებიან კათოლიკური კალენდრის რიგს.

სახალხო დღესასწაულთაგან აღსანიშნავია ჭივანობა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის სახალხო აშუღის ჭივანის (სერობე ბინ კოიანის) ხსოვნას ეძღვნება და სოფ. კარნახში იმართება, სადაც მოწყობილია ჭივანის სახლ-მუზეუმი.

ჯავახეთში წინოწმინდის მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ დუხობორები, რუსი „სულიერი ქრისტიანები“. მათი ტრადიციული ყოფა

და თანამედროვე მდგომარეობა კარგად არის შესწავლილი (მელიქიშვილი, 1998, მელიქიშვილი, 2019, პაპუაშვილი, 2002). „დუხობორები“ მეთვრამეტე საუკუნეში გამოეყვნენ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას და ჩამოაყალიბეს ეთნო-რელიგიური სამეურნეო თემი. 1841 წლიდან ისინი დასახლდნენ ჭავახეთში და დააარსეს „დუხობორია“ - სულიერი ცენტრი. მათი ნაწილი კანადაში გადასახლდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომმა პროცესებმა გავლენა იქონია ამ თემზე და მათი დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციაში გადასახლდა. დუხობორთა ნაწილი კვლავ სახლობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში და ისინი შეძლებისდაგვარად ინარჩუნებენ ტრადიციულ ყოფასა და კულტურას.

ჭავახეთის მოსახლეობაში ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობების გარდა გავრცელებულია რიგი პროტესტანტული მსოფლმხედველობებიც.

რელიგიური ვითარება ჭავახეთში იგივე პროცესებს ექვემდებარება რაც მთლიანად საქართველოშია. ბოლო წლებში რელიგიის ნორმატული ფორმების დომინირებაა თვალშისაცემი. ტრადიციული, სინკრეტული რეალიები ეტაპობრივად გადის ყოფიდან. ამასთან, მიმდინარე პროცესები ცხადყოფს ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად რელიგიურობის სხვადასხვანაირი აღქმის არსებობას. რელიგიურობის ფორმები თანამედროვე საქართველოში კონტექსტურია და განპირობებულია კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფის განვითარების პროცესზე მოქმედი ფაქტორებით. რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს რელიგიურობის ხარისხსა და გამოვლინებებს.

პოსტ-საბჭოთა საქართველოში მიმდინარე პროცესები ორი მიმართულებით განვითარდა, ერთი მხრივ, სახეზე იყო რელიგიურობის მკვეთრი და პერმანენტული ზრდა, მეორე მხრივ, კი სეკულარიზმის ფორმალური აღიარება-დადასტურება სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოების ნაწილის მხრიდან. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე საქართველოს განვითარების ვექტორი არ არის უნიკალური და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ნაწილია. ამასთან, რელიგიურობის გამოვლინებათა ცვლა ავტომატურად არ გულისხმობს, არც რელიგიურობის თვისებრივ ცვლილებას და არც პროფანაციას. მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან ერთად, კონკრეტული რეგიონალური ან უფრო მცირე მასშტაბის პროცესები და რეალიები ასევე განსაზღვრავენ რელიგიურობის ფორმებს.

## საზღვრისპირა ურთიერთობები ისტორიულ სამცხე-ჯავახეთში

სამცხე-ჯავახეთს თურქეთთან აკავშირებს ორი საბაჟო-გამშვები პუნქტი: კარნახი და ვალე. ორივე გადადის არდაჰანის (ქართულად არტაანი) რეგიონში. თურქეთთან დამაკავშირებელი სამცხე-ჯავახეთის ეს ორი გამშვები პუნქტი - „კარნახი“ და „ვალე“ ქმნის ძალიან მნიშვნელოვან კავშირს ორ სახელმწიფოს (საქართველოსა და თურქეთს) შორის, მაგრამ პოლიტიკურად ის ერთმანეთისაგან ჰყოფს ისტორიულ ქართულ მხარეებს - ფოცხოვს ვალეში და ჯავახეთს კარნახში. ფრიად საყურადღებოა ახალი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც შეკრებილია ორივე ადგილას, როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის მოსახლეობაში.

არდაჰანი (ქართულად არტაანი) შემდეგ რაიონებს მოიცავს: პოსოფს (ფოცხოვს), დამალს, ჰანაკს, ჩილდირს (ჩრდილს), არდაჰან მერკებს (არტაანს) და გოლეს (კოლა). რასაკვირველია, მთელი ეს ტერიტორია ისტორიულად ქართული მიწა-წყალი და ქართველთა განსახლების არეალი იყო. ამჟამინდელი პოლიტიკური საზღვრით კი ის ორადაა გაყოფილი. ბუნებრივია, რომ საქართველოს საზღვრებში დარჩენილი სამცხისა და ჯავახეთის რაიონები უშუალოდ ესაზღვრება თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული არტაანის რეგიონის სამ რაიონს: პოსოფს, დამალსა და ჩილდირს.

თურქეთის მხარეს მოქცეული ჯავახეთის ნაწილს თანამედროვე საქართველოსთან აკავშირებს საბაჟო გამშვები პუნქტი „კარნახი“, რომლის თურქული სახელია „აქთაშ-ჩილდირი“. „კარნახი“ მდებარეობს ახლაქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კარნახთან. იქვე მდებარეობს კარნახის ტბა, რომელიც, ასევე გაყოფილია საქართველოსა და თურქეთს შორის. ტბის ქართული სახელია „კარნახი“, თურქული „აქთაშ“.

ეს საბაჟო გამშვები პუნქტი გაიხსნა 2015 წლის 18 ოქტომბერს. ახალი საბაჟო გამშვები პუნქტის გახსნის აღსანიშნავად საქართველო-თურქეთის საზღვრის ამ კონკრეტულ მონაკვეთზე ერთობლივი საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ ორივე ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლები: საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, თურქეთის რესპუბლიკის საბაჟო საკითხთა და ვაჭრობის მინისტრი ჯენაფ აშჯი და სხვა მაღალი რანგის სტუმრე-

ბი საქართველოდან და თურქეთიდან.

ახალი საბაჟო გამშვები პუნქტის გახსნას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოს, ასევე თურქეთისათვის. იმთავითვე ითქვა, რომ ახალი საბაჟო-გამშვები პუნქტის ამოქმედება ხელს შეუწყობდა საქართველოსა და თურქეთის მეგობრობისა და პოლიტიკური თუ ეკონომიკური პარტნიორობისა და ამ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. რასაკვირველია, განაპირობებდა ორივე ქვეყნის სატრანზიტო პოტენციის ზრდასაც. საყურადღებოა, რომ იმთავითვე ერთ-ერთ მთავარ შედეგად მოაიზრებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაც, როგორც საქართველოს, ასევე, თურქეთის ახლომდებარე სოფლების მოსახლეობისა. ცხადია, რომ ახალი საბაჟო გამშვები ოპუნქტის გახსნით გაიზარდა საქართველოს ჩართულობა საერთაშორისო მიმოსვლაში.

საზღვრის ამ მონაკვეთის როლი ორივე ქვეყნის ეკონომიკურ ცირკულაციაში განსაკუთრებით გამოიკვეთა პანდემიის დროს და გრძელდება დღესაც.

საბაჟო გამშვები პუნქტი მუშაობს 24 საათიანი რეჟიმით. აღსანიშნავია, რომ სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტისაგან განსხვავებით, კარნახში ნაკლები რიგია ქვეითი და მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილების მოსურნე მგზავრებისათვის, რაც განსაკუთრებით მიმიზნველს ხდის კარნახს ტურისტებისათვის. აღსანიშნავია, აქ რომ მგზავრი იღებს სწრაფ და კომფორტულ მომსახურებას საბაჟოს ორივე ნაწილში, როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის მხარეს.

როგორც „კარნახის“ გახსნის საზეიმო ღონისძიებაზე აღინიშნა, „საბაჟო-გამშვებ პუნქტში პირველ ეტაპზე, სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლის საფუძველზე, დაახლოებით 70 პირი (მებაჟე-ოფიცრები, ფოტოსანიტარიული და ვეტერინარული სამსახური, დამხმარე პერსონალი, მოიჯარეები) დასაქმდა, მათგან 80-85% ადგილობრივი მცხოვრებია. საბაჟო გამშვები პუნქტის „კარნახის“ მშენებლობისა და აღჭურვის საერთო ღირებულებამ 11 532 940 ლარი შეადგინა. პროექტის დაწყებიდან დღემდე, სამშენებლო სამუშაოებში 200-მდე მოქალაქე დასაქმდა, აქედან 40-50 მოქალაქე ადგილობრივი მცხოვრებია“, - ნათქვამია შემოსავლების სამსახურის ინფორმაციაში (<https://www.interpressnews.ge/ka/article/350163-sakartvelo-turketis-sazgvarze-axali-sabazho-gamshvebi-punkti-karcaxigaixsna/>).

პირველი დასახლებული პუნქტები არტაანის რეგიონში, რომლებიც გვხვდება კარნახის სბაჟო-გამშვები პუნქტის გავლის შემდეგ არის ქენარბელი, ონჯული, ქაიაბეი და სხვ. აქედან საკმაოდ ახლოსაა გრანდიოზული ქაჯთაციხე. მოსახლეობა ამ სოფლებში, სავარაუდოდ, ქართული წარმომავლობისა არ არის, მაგრამ სამივე პუნქტის მცხოვრებნი პოზიტიურად არიან განწყობილნი საქართველოსადმი და საზღვრის გახსნა ამ მონაკვეთში დადებითად აისახა მათ სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საქართველოსა და თურქეთს შორის მოქმედებს უფრო ძველი საბაჟო-გამშვები პუნქტიც, სახელად „ვალე“ - დაბა ვალეს მიმდებარედ ახალციხის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ სამცხეში, მდინარე ფოცხოვისწყლის მარჯვენა ნაპირზე.

ჯავახეთში მოქმედებს სომხეთთან დამაკავშირებელი საბაჟო გამშვები პუნქტიც „ნინონმინდა“, რომელიც მდებარეობს ნინონმინდის მუნიციპალიტეტის, სოფელ სამების ტერიტორიაზე. ეს გამშვები პუნქტიც სართაშორისო სტატუსის მქონეა და სადღეღამისოა

ეთნიკურად განსხვავებული ვითარებაა კარნახისა და ვალეს საბაჟო გამშვები პუნქტების მიმდებარე დასახლებებში საქართველოს მხარესაც. ქართულ მხარეს საზღვართან მდებარე სოფელი კარნახი ეთნიკურად სომხური მოსახლეობისაგან შედგება, ვალე კი - ქართულია, თუმცა იქვე რამდენიმე სოფელში სომხური მოსახლეობაა.

ზოგადად არტაანის რეგიონში ბევრ სოფელში ჯერ კიდევ დარჩენილია მოსახლეობა, რომელიც თავის თავს ქართული წარმომავლობისად მიიჩნევს, თუმცა, კი მათი ამჟამინდელი ეთნიკური იდენტობა თურქულია. ამ მხრივ, განსაკუთრებით ბევრი სოფელი შემორჩენილია ფოცხოვის რაიონში, ასევე, არტაანის რაიონის (არდაჰან მერკეზი) სოფლებში, მცირე რაოდენობით, მაგრამ თავიანთი ქართული წარმოშობა ახსოვთ ჩრდილისა და ერუშეთის ზოგიერთ სოფელშიც.

არტაანის რეგიონის მოსახლეობას დადებითად აღიქვამს საბაჟო გამშვები პუნქტების არსებობას. ბევრმა მთხრობელმა აღნიშნა, რომ თურქეთის ყველაზე ახლო მეგობრები ქართველები არიან. ბევრიც, ვისაც ახსოვს, რომ წარმოშობით ქართველია, აღნიშნავს, რომ ახლა უფრო ადვილად იმოგზაურებენ ისტორიულ სამშობლოში.

კარნახის გამშვები პუნქტის მიმდებარედ, თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ჯავახეთისა და ერუშეთის სოფლებში, ისტორიული ქართული მოსახლეობა აღარაა. თითქმის გამქრალია ადგილობრივ



სოფელთა ისტორიული სახელების ცოდნაც ამჟამინდელ მოსახლეობაში. თუმცა, აღსანიშნავია მათი ფრიად დადებითი განწყობა მეზობელი საქართველოსა და ქართველებისადმი.

საბაჟო გამშვები პუნქტის ამოქმედების შემდეგ ეს გზაც დაიკვირთა და გაიზარდა ქართველ ტურსიტთა თუ მომლოცველთა ინტერესიც თურქეთის მხარეს მოქცეული ისტორიული ძეგლებისადმი. ყოველივე ეს დადებითად აისახა მიმდებარე სოფლების მოსახლეობის ეკონომიკურ ყოფაზე. ადგილობრივთა და ქართველ ტურ-ოპერატორთა და ტურისტთა შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობაც.

დაბა ვალეს 1948 წელს მიენიჭა დაბის სტატუსი, ხოლო 1962 წელს ქალაქი გახდა. ქალაქ ვალეს საბჭოთა პერიოდში საკმაოდ განვითარებული ეკონომიკური მაჩვენებლები ჰქონდა. აქ მოიპოვებოდა მურა ნახშირი, მოქმედებდა ელექტროძრავების ქარხანა და საშენ მასალათა საწარმოები. 1940-იანი წლებიდან გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა მიმდებარე სოფლებიდან საწარმოებში დასაქმებულთა ხარჯზე. მურა ნახშირის მოპოვება 1970-იანი წლებიდან შემცირდა და ახლა აქ უკვე აღააა საამქროები და საწარმოები. ამჟამად მოსახლეობა ჩაბმულია სასოფლო-სამეურნეო შრომაში. 2014 წლის აღწერის მონაცემებით ქალაქში ცხოვრობს 3646 ადამიანი. ვალეს ისტორია, ტოპონიმიკა და კულტურული მახასიათებლები შესწავლილია მერაბ ბერიძის მიერ (ბერიძე, 2013-ა).

ისტორიული ფოცხოვის ხეობის თურქეთში მოქცეული ნაწილი თურქულად იხსენიება ტოპონიმით „პოსოფ“ (Posof). ადმინისტრაციულად ის წარმოადგენს რაიონსა და რაიონულ ცენტრს, რომელიც მოქცეულია არტაანის (თურქულად „არდაჰან“ – Ardahan) რეგიონში. გეოგრაფიულად ფოცხოვი განთავსებულია ერუშეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, მდინარე ფოცხოვისწყლის მარცხენა ნაპირზე. რაიონული ცენტრი პოსოფი მჭიდროდაა დასახლებული. ქალაქს აქვს ტერასული დაგეგმარება.

ფოცხოვისწყლის თურქეთის ნაწილის არაერთ სოფელს ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვს ისტორიული სახელი, ზოგისა ოფიციალურად შეცვლილია, მაგრამ მოსახლეობამ იცის ძველი სახელებიც და საუბრის დროს სწორედ ძველი სახელით იხსენიებენ ამა თუ იმ სოფელს.

პოსოფის რაიონის შემადგენლობაში შედის 49 სოფელი, მათგან ბევრს მოსახლეობა ჯერ კიდევ იხსენიებს ძველი ქართული სახელებით, თუმცა სოფლების ოფიციალური დასახლებება დიდი ხანია

შეცვლილია. მაგალითად, ასეთია სოფელი ობოლი/ობოლთა, მისი თანამედროვე სახელია Akballı, პაპოლა (Armutveren), ხევათი/ხეოთი (Aşık Üzeyir), ჭილდირეთი (Balğöze), ვახლა (Baykent), ჭილვანა (Binbaşı Eminbey), მერე (Çakırkoç), საღრე (Çambeli), ოხთელი (Çamyazı), ლამიანი (Çayırçimen), შუვანყალი (Gönülaçan), ზენდარი (Gümüşkavak), ბანარხევი (Günbatan), ყოლისწყალი/კოლისწყალი (Gürarmut), გუვანთელი/ჭუვანთელი (İncedere), აგარა (Kaleözü), პეტობანი (Kalkankaya), შურღავლი (Kayınlı), კერდამალა (Kırköy), ჭორჭოვანი (Kopuzlu), ხერთვისი (Sarıçiçek), ჭანჭახი (Savaşır), არილი (Süngülü), საყნაბილი (Sütölük), გერგისუბანი (Taşkıran), ბადელი (Türkgözü), ვარყანა (Ulucam), სათლელი (Yolağzı), საკაბოლი (Yurtbaşı) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ამ სახელებს ადგილობრივნი ქართული ბგერებით გამოთქვამენ, არ უჭირთ ბგერა ქ-ს, ყ-ს, ჯ-ს ღ-ს და სხვ., წარმოთქმა, რაც მათ მეტყველებას განასხვავებს თურქული წარმომავლობის მოსახლეობის მეტყველებისაგან. სრულიად თავისუფლად ასახელებენ ამ ბგერების შემცველ ტოპონიმებს: ჭანჭახი, ჭალა, ჭინჭრობი, ყველი, ჯაყი და სხვ.

პოსოფის რაიონის საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი საზღვრისგადმოღმა სოფლებიდან - ქალაქ ახალციხისდან და მისი სოფლებიდანაა სხვადასხვა დროს მიგრირებული, მათგან უმრავლესობა 1820-იანი წლების ბოლოდანაა ადგილიდან იძულებით აყრილი, ზოგიც საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ. ანუ, დღევანდელ ფოცხოველთა დიდ ნაწილს შეუძლია დაასახელოს თავისი ისტორიული სოფელი. არაერთმა მთხრობელმა მაღლობზეც აგვიყვანა და გვაჩვენა აქეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სოფლები, სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ, მაგალითად, ნაოხრები, წყალთბილა. ზოგს უმოგზაურია კიდევ წინაპართა სოფლებში, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ადგილზე დამხვედრი მოსახლეობა ეთნიკურად სომეხია და გარკვეულ დაძაბულობასაც ჰქონია ადგილი.

პოსოფის მოსახლეობის მეორე ნაწილი მკვიდრია, ადგილობრივნი არიან მათი წინაპრები, რასაკვირველია, წარმოშობით ქართველნი. მაგალითად ყველის ციხის მიმდებარე სოფლებში მოსახლენი, ჯაყის ციხის ხეობელები და სხვ.

პოსოფის რაიონის მოსახლეობის ერთი ნაწილი მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობს მშობლიურ მხარეს, რადგან საცხოვრებლად გა-

დასულნი არიან თურქეთის მარმარილოს ზღვის რეგიონების ქალაქებში, მაგალითად, ბურსაში, მის რაიონში - ინეგოლში, გემლიკში და სხვ.

ორივე მხარეში, განსაკუთრებით კი ფოცხოვში არსებული ტრადიციული დასახლების ფორმები სრულიად იდენტურია სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული დასახლების ფორმისა. მსგავსია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებიც, მეურნეობის ფორმებიც, კვებითი სისტემაც. ძველ ფორმას აქაც წარმოადგენს მიწურბანიანი ნაგებობანი, შედარებით უფრო მცირე რაოდენობით გვხვდება ერდოგვირგვინიანი კომპლექსები, რომლებიც ბევრგან ჯერ კიდევ გამოყენებულია. ცხადია, არის ახალი ტიპის ნაგებობებიც. ძველ სახლებს აქვს კერა, ფურნე, ზოგან კი თონეებიცაა გამართული. ჰორიზონტალურადაა განლაგებული ადამიანთა და საქონლის სამყოფი. კარმიდამოები ზოგან ყორებითაა შემოსაზღვრული. სოფლებს ბევრგან ტერასული დაგეგმარება აქვს. მთის ფერდობზეა გამოჭრილი მიწა და მასში აგებულია მიწურბანიანი სახლები. დაბლობის სოფლებში კი ჰორიზონტალურადაა სახლები დაგეგმარებული და სხლებს ერთმანეთისაგან შუკები გამოყოფს. ძირითადად მისდევენ მესაქონლეობას და მემინდვრეობს. ბევრ სოფელში მკვიდრი მოსახლეობა ააღარაა და იქ სხვადასხვა თურქული ტომები ან ქურთები სახლობენ (არტაანის ძეგლები, 2018). ასეთ სოფლებში, ცხადია, განსხვავებული საყოფაცხოვრებო ტრადიციები თვალსაჩინოა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ფოცხოვისწყლის ხეობის სოფლებში მოსახლეობა ორ ნაწილად იყოფა, მკვიდრებად და საქართველოს საზღვრებში დარჩენილი სამცხის სოფლებიდან გადმოსახლებულთა შთამომავლებად. ორივე მოსახლეობის სოფლები და სამოსახლოები, ცხადია, ტიპური ქართული დასახლების ფორმის მქონეა და ასეთივეა მათი სამეურნეო კულტურაც. საზაფხულო იალაღებიდან საზღვარს აქეთა და იქითა მხარის მწყემსები ხედავენ ერთმანეთის საქმიანობას. კარნახის გადაღმა, თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ჯავახეთის ნაწილში მკვიდრი მოსახლეობა თითქმის ააღარაა. საზღვართან ყველაზე ახლოს არსებული დასახლებული პუნქტის - ქენარბელის“ მოსახლეობა წარმოშობით ქართველი არაა, არც ონჯულისა და ქაიაბეის მოსახლეობა არაა ქრთული წარმომავლობისა, მაგრამ, ყველგან არის უაღრესად პოზიტიური დამოკიდებულება საქართველოსადმი. თითქმის ყველა მთხრობელმა დაადასტურა სიხარული,

რაც საზღვრის გახსნამ გამოიწვია. მოქმედი საზღვარი, დატვირთული ტრასა, გარკვეული დადებითი შედეგის მომტანია ადგილობრივთა ეკონომიკისთვისაც. საზღვრიდან საკმაოდ დაშორებულ სოფელ ქალაში კი მოსახლეობის ნაწილი წარმოშობით ქართველია. ეს თვალსაჩინოა მათი კულტურულ-სამეურნეო ყოფითაც. ქალები პატივისცემით ეკიდებიან სოფელში შემონახულ ქართულ ეკლესიას.

ფოცხოვის ყველა სოფელში არის ნაეკლესიარები და საკმაოდ კარგად შემონახული ან დანგრეული ციხეები.

პოსოპშიც და კარნახის საბაჟო-გამშვები პუნქტის გადაღმა სახლობენ სხვადასხვა დროს ჩასახლებული თურქებიც, რომელთა სამეურნეო ყოფა, ძირითადად, მესაქონლეობით შემოიფარგლება.

## ბოლოსიტყვაობა

საზღვრისპირა რეგიონებს ყოველთვის სპეციფიკური სოციო-კულტურული მახასიათებლები გააჩნიათ, რაც მრავალი ფაქტორით განისაზღვრება. პირველყოვლისა, თავად საზღვარი, როგორც ფიზიკური ბარიერი განსაკუთრებულ განწყობებს აყალიბებს და ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ აღქმებზე, არამედ ქცევის მოდელების ფორმირებაზე. სასაზღვრო ზონებში იდენტობისა და კულტურის ყოველდღიურობაში არტიკულაცია განსხვავებულ ფორმებს იღებს იმის მიხედვით, თუ რა ტიპის საზღვართან გვაქვს საქმე, ვინ ცხოვრობს საზღვრების გადაღმა, როგორია მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები. გლობალიზებული ეკონომიკის პირობებში იზრდება მოთხოვნილება რეგიონალური ინტეგრაციის პროექტებზე, ჩნდება თავისუფალი ვაჭრობის ზონები. მაღალია ადამიანთა, საქონლის, კაპიტალისა და ინფორმაციის მიმოქცევის მაჩვენებელი, რამაც გავლენა იქონია საზღვრებზე, სასაზღვრო პოლიტიკასა და მმართველობაზე. მიუხედავად 90-იან წლებში გლობალიზაციის დისკურსში წამოყენებული უსაზღვრო მსოფლიოს იდეისა, რაც დეტერიტორიალიზაციას და საზღვრებზე სახელმწიფო კონტროლის შემცირებას გულისხმობდა, საზღვრები ინარჩუნებენ მნიშვნელობას. ისინი არეგულირებენ ინტერაქციებს და ქმნიან ან აფერხებენ კომუნიკაციის სხვადასხვა სახის შესაძლებლობებს.

სასაზღვრო რეგიონია ჭავახეთი, რომელიც სამცხე-ჯავახეთის მხარის ნაწილია და მოიცავს ახლანდელი ასპინძის (ნაწილს), ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს. საქართველოს ეს მხარე ესაზღვრება თურქეთის რესპუბლიკასა და სომხეთს. საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო საზღვარი თურქეთის რესპუბლიკასთან სსრკ-ს არსებობის პერიოდში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენდა. სომხეთ-საქართველოს საზღვარი კი ერთი სახელმწიფოს შიდა საზღვარი იყო, რომელიც უფრო მეტად ადმინისტრაციული დანიშნულებისა იყო. შესაბამისი იყო ურთიერთობების ინტენსივობაც სასაზღვრო ზონებში. ბუნებრივია, თურქეთი, როგორც ნატოს წევრი სახელმწიფო საბჭოთა რკინის ფარდის მიღმა იყო და მიუხედავად იმისა, ან სწორედ იმის გამო რომ საზღვრის მეორე მხარეს ისტორიულად ქართული ტერიტორიები იყო დარჩენილი, კომუნიკაცია იყო მინიმალისებული. ჭავახეთის ტე-

რტორიის ნაწილი მკაცრად კონტროლირდებოდა და საქართველოს დანარჩენი მხარეების წარმომადგენელთათვისაც არ იყო სრულიად ღია. ასეთმა ვითარებამ გავლენა იქონია საზღვრისპირას მცხოვრებთა დამოკიდებულებებზე და შემდგომი ქცევს სტრატეგიებზეც. დამოუკიდებელ საქართველოს კეთილმეზობლური და პარტნიორული დამოკიდებულება აქვს როგორც თურქეთის რესპუბლიკასთან ასვე სომხეთთან. დღეს ამ სახელმწიფოებთან არსებულ საზღვრებზე მოქმედებს საერთაშორისო სასაზღვრო გამტარი პუნქტები: ვალეს (საავტომობილო), კარნახის (საავტომობილო და სარკინიგზო) და ნინოწმინდის (საავტომობილო). მათგან ვალე ყველაზე ძველი პუნქტია, თურქეთის მხარეს „პოსოფი-ტურქგოზუ“-ს პუნქტია, სადაც დღეისათვის მასშტაბური მშენებლობა მიმდინარეობს. კარნახი 2015 წელს გაიხსნა, თურქული მხრიდან გახსნა „აქთაშ-ჩილდრის“ საბაჟო გამშვები პუნქტი. თურქეთ-საქართველოს საბაჟო-გამშვები პუნქტები დიდი დატვირთვით მუშაობენ და სტატუსიდან (საერთაშორისო) გამომდინარე მათზე მოთხოვნილება მზარდია. ჯერ კიდევ 2010 წელს მოენერა ხელი საქართველო-თურქეთის რესპუბლიკას შორის შეთანხმებას სახმელეთო საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი გამოყენების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს კონტროლის ეფექტურობასა და ამცირებს საზღვრის კვეთისას აუცილებელი პროცედურების ხანგრძლივობას.

სომხეთ-საქართველოს საზღვრის ჯავახეთის მონაკვეთზე სოფელ სამებაში გახსნილია „ნინოწმინდის“ სადღელამისო გამშვები პუნქტი. მისი გახსნა ურთიერთსასარგებლო, პარტნიორულ თანამშრომლობაზე დამყარებული ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია

სამივე გამშვებ პუნქტზე ინფრასტრუქტურა თანამდროვე სტანდარტებითაა მოწყობილი და საერთაშორისო გადაზიდვებზე ორიენტირებული. ეკონომიკური ურთიერთობები სასაზღვრო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სახელმწიფოთა მიერ შეთანხმებული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული სტრატეგიები აწესრიგებს ფართომასშტაბიან სახელმწიფოთაშორის და საერთაშორისო ურთიერთობებს. ამ პროცესების პარალელურად ადგილობრივ მოსახლეობაც ჩართულია შედარებით მცირემასშტაბიან ეკონომიკურ ურთიერთობებში. ყველაზე თვალსაჩინო ეს ინტერაქცია ვალე-თურქგოზუს საზღვარზეა. პირველყოვლისა ამას განაპირობებს დასახლებული პუნქტების სიახლოვე საზღვართან, ასევე



ინტენსიური მოძრაობა და არანაკლებ, ისტორიული მახსოვრობაც, რომელიც საზღვრის ორივე მხარეს მოსახლეთ გააჩნიათ. ქართველ და თურქ ადგილობრივთა შორის კომუნიკაციას ენობრივი ბარიერის გარდა მნიშვნელოვანი წინაღობა არ აქვს. განსხვავებულია სომეხთა და თურქთა ურთიერთდამოკიდებულება. მათ შორის შედარებით მაღალია უნდობლობა და ამიტომ მინიმალიზებულია პირდაპირი კონტაქტები.

სასაზღვრო ზონის ეთნიკური არაერთგვაროვნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სასაზღვრო ურთიერთობებში. სასაზღვრო ურთიერთობებში მრავალი აქტორია ჩართული - სამთავრობო, არა-სამთავრობო, მიგრანტები, ადგილობრივი მოსახლეობა და სხვ. რაც განაპირობებს ქვეყნის სხვადასხვა მოდელის განვითარებას. ძირითადი მიმართულებები უსაფრთხოების და ეკონომიკური საკითხებია. მათ შორის მიმართებები საერთაშორისო და ლოკალურ დონეებზე ურთიერთობების მუდმივად კონსტრუქცია-რეკონსტრუქციას მოითხოვს. ამიტომ სასაზღვრო ურთიერთობები მუდმივი ქმნადობის პროცესია, რაც გავლენას სასაზღვრო ურთიერთობების გარდა ყოველდღიურ ყოფაზეც ახდენს და გამორჩეულ მიკროგარემოს აყალიბებს. ჯავახეთის სასაზღვრო ზოლის სპეციფიკა გეოგრაფიულ მახასიათებლებთან, ისტორიულ კონტექსტთან და მოსახლეობის ეთნიკურ არაერთგვაროვნებასთან ერთად სასაზღვრო ინტერაქციის ინტენსიურობითაც განისაზღვრება.

კვლევამ ცხადყო ქართული კულტურის ელემენტების სიმყარე ჯავახეთში. ტრადიციული კულტურის ელემენტთა ნაწილი შეცვლილია, თუმცა დღემდე შემორჩენილი. ცხადია, ყველაზე თვალსაჩინოდ ცვლილებები მატერიალურმა კულტურამ განიცადა, მაგალითად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დღეს ახალი ტიპის სახლებში ცხოვრობს, თუმცა შემორჩენილია მესხური სახლები, რომელთა ნაწილიც ისევ გამოიყენება საცხოვრებლად, ნაწილს ახალ ფუნქცია აქვს და ისევ არის ყოფაში, ახლა უკვე როგორც ძველი, ტრადიციული კულტურის რეპრეზენტირების საშუალება დამთავალიერებლისთვის. შენარჩუნებულია მეურნეობის ძირითადი ტრადიციული დარგები, შეინიშნება ტრადიციულ ტერასათა აღდგენის მაგალითებიც. სრულადაა შენარჩუნებული ტრადიციული სამზარეულო. სახეცვლილია სამეურნეო იარაღები და ძირითადად ახალი ტექნოლოგიებითაა ჩანაცვლებული. შიდა ინტერეთნიკური ურთიერთობები ემყარება განსა-

ხლების მახასიათებლებს (სიმჭიდროვე, მანძილი, დისპერსიულობა) და ძირითადად კეთილმეზობლურ დამოკიდებულებებზეა აგებული. განსაკუთრებულ როლს ასრულებს რელიგიური შემწყნარებლობა და რეგიონში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციათა ურთიერთდამოკიდებულება. დიდია სახელმწიფოს როლი, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ენის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების შედეგად სახელმწიფო ენის პოზიციების გაძლიერებაში.

ზემოთქმულის შეჯამების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასაზღვრო ზონებში ურთიერთობების ფორმასა და ხარისხს საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების მიერ საზღვრის აღქმა, საკუთარი და მეზობლების იდენტობის განსაზღვრა, ისტორიული მეხსიერება და ტერიტორიული სიახლოვე განაპირობებენ.

## **ბიბლიოგრაფია:**

**ალავერდაშვილი, 2013** – ქეთევან ალავერდაშვილი, საწესო ფერხულების შესწავლისათვის, კრ., ვერა ბარდაველიძე – 110, თბ., 2013.

**არტაანის ძეგლები, 2018** - არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საფორტიფიკაციო, საკულტო, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბ., 2018.

**ბერიაშვილი, 1973** - ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973.

**ბერიაშვილი, 1985** - ლ. ბერიაშვილი, ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში, წიგნიდან - საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, მემინდვრობა, „მეცნიერება“, თბ., 1985.

**ბერიძე, 2013-ა** – მერაბ ბერიძე, ვალე, – კრ. გულანი, 13, „ახალციხის უნივერსიტეტი“, ახალციხე, 2013.

**ბერიძე, 2013-ბ** - მ. ბერიძე, მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელი მდგომარეობა, ახალციხე, 2013.

**ბერიძე, 1992** - მ. ბერიძე, ჭავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თსუ, თბ., 1992.

**ბერიძე, გუჯეჯიანი 2010** – მ. ბერიძე, რ. გუჯეჯიანი, „ზიარეთობის“ ტრადიცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაქარობის“ (მაისი, 2010) მასალები. ხულო-დიდაქარა, 2010. გვ., 175-179.

**ბერძენიშვილი, 1985** - დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ზემო ქართლი - თორი, ჭავახეთი), თბ., 1985.

**ბერძენიშვილი, 1964** - ნ. ბერძენიშვილი, ჭავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება), - საქართველოს სიტორიის საკითხები, ნ. 1. თბ., 1964.

**ბოჭორიძე, 1992** – გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები, საძიებლები და სესავალი დაურთეს: დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა, ლ. ხუციშვილმა, თბ., „მეცნიერება“, 1992.

**გასიტაშვილი, 1972** - გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები მესხეთ-ჯავახეთში., - წიგნიდან „მესხეთ-ჯავახეთი, მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1972.

**გედევანიშვილი, 1933** - რ. გედევანიშვილი, მსხვილფეხა რქიანი საქონელი, თბ., 1933.

**გონგაძე, 2016** - მ. გონგაძე, რელიეფის ანთროპოგენური ცვლილებები სამცხეში, - კრ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის გამოყენებითი ეკოლოგიის ინსტიტუტის (გეკო) შრომათა კრებულში სამეცნიერო კონფერენციის მასალები „რეგიონული განვითარების პერსპექტივები: სამცხე – ჯავახეთი“, თბ., 2016.

**გორგაძე, 1958** - ალ. გორგაძე, საქართველოს სელი (ფილოგენეტიკური მიმოხილვა), თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის შრომები, XIX, თბ., 1958

**ვახუშტი ბაგრატიონი, 1973** - ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, - ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

**თაყაიშვილი, 1991** – ექვთიმე თაყაიშვილი, 1991 \_ ე. თაყაიშვილი, თაყაიშვილი ე. სამუსულმანო საქართველო, დაბრუნება, მრავალტომეული, ტ. I, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991.

**თევზაძე, 2016** - რ. თევზაძე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პარადიგმა, - კრ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის გამოყენებითი ეკოლოგიის ინსტიტუტის (გეკო) შრომათა კრებულში სამეცნიერო კონფერენციის მასალები „რეგიონული განვითარების პერსპექტივები: სამცხე-ჯავახეთი“, თბ., 2016.

**თოლორდავა, მაღლაკელიძე 2016** - რ. თოლორდავა, რ. მაღლაკელიძე, სამცხე-ჯავახეთის სამრეწველო პოტენციალის ტერიტორიული განაწილების გეოგრაფიული ანალიზი, - კრ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის გამოყენებითი ეკოლოგიის ინსტიტუტის (გეკო) შრომათა კრებული, სამეცნიერო კონფერენციის მასალები „რეგიონული განვითარების პერსპექტივები: სამცხე – ჯავახეთი“, თბ., 2016.

**თუმანიშვილი, 2000** - დ. თუმანიშვილი (რედ.) საქართველოს მეგზური 1. ჯავახეთი, თბ. 2000

**იველაშვილი, 2009** – თ. იველაშვილი, კათოლიკობა საქართველოში, „უნივერსალი“, თბ., 2009.

**იველაშვილი, 1987-ა** - თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1987.

**იველაშვილი, 2020** - თ. იველაშვილი, ტრადიციული ხალხური სამზარეულო სამცხე-ჯავახეთში, თბ. 2020.

**იველაშვილი, 2009** - თ. იველაშვილი, ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა და „სყიდვითი ქორწინების“ საკითხი სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში, - წიგნიდან „ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა სამხრეთ საქართველოში“, „უნივერსალი“, თბ., 2009. გვ., 121-166.

**იველაშვილი, 1987-ბ** - თ. იველაშვილი, ხალხური სანახაობითი წარმოდგენების ელემენტები საქორწინლო რიტუალში, - მსე თბ., 1987.

~

**კეცხოველი, რამიშვილი, ტაბიძე 1960** - ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, საქართველოს ამპელოგრაფია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1960.

**მაისურაძე 1981** - ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1981.

**მაკალათია 1972** - მ. მაკალათია, მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი),- წიგნიდან „მესხეთ-ჯავახეთი, მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1972.

**მაკალათია, 1938** - ს. მაკალათია, მესხეთ-ჭავჭავეთი, თბ., 1938.

**მაკალათია, 1972** - მ. მაკალათია, ნესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი), - წიგნი „მესხეთ-ჭავჭავეთი, (მასალები მესხეთ-ჭავჭავეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის), აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1972.

**მასალები, 1976** - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად, ტ., პირველი, აღმშენებლობა და ავეჯი, თბ., „მეცნიერება“, 1976.

**მასალები, 1979** - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად, ტ., II, ნაწილი I, მეჭურჭლეობა, თბ., „მეცნიერება“, 1979.

**მასალები, 1982** - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად, ტ., II, ნაწილი II, ქსოვა, ღებვა, ქარგვა, თბ., „მეცნიერება“, 1982.

**მასალები, 1983** - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად, ტ., III, ნაწილი I, ტანისამოსი, თბ., „მეცნიერება“, 1983.

**მასალები, 1986** - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად, ტ., III, ნაწილი II, საჭმელ-სასმელი, თბ., „მეცნიერება“, 1986.

**მასალები, 1987** - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად, ტ., IV, ნაწილი II, სოფლის მეურნეობის დარგები, თბ., „მეცნიერება“, 1987.

**მასალები, 1989** - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტომი IV, ნაწილი III, სოფლის მე-



ურნეობის დარგები, თბ., 1989.

**მასალები, 1992** - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტომი V, მეურნეობის სხვადასხვა დარგი და ზოგიერთი ყოფითი რეალია, თბ., „მეცნიერება“, 1992.

**მელიქიშვილი, 2000** - ლ. მელიქიშვილი, ეთნოკონფლიქტი და საზღვრისპირა ეთნოუმცირესობები, - მესხეთი ისტორია და თანამედროვეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, ახალციხე, 2000.

**მელიქიშვილი, 2019** - ლ. მელიქიშვილი, ტრადიციული კულტურა და საზოგადოება, თბ., 2019.

**მელიქიშვილი, 1998** - ლ. მელიქიშვილი (რედ.) კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998.

**მინდაძე, ჩირგაძე, 2000** - ნინო მინდაძე, ნინო ჩირგაძე, სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული სამედიცინო კულტურის ისტორიიდან, - მესხეთი ისტორია და თანამედროვეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, ახალციხე, 2000.

**მოლოდინი, 1972** - მღებრობა მესხეთ-ჯავახეთში, - წიგნიდან „მესხეთ-ჯავახეთი, მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1972.

**მოლოდინი, 1985** - ლ. მოლოდინი, სელი, - საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, მემინდვრეობა, თბ., 1985.

**მოლოდინი, 1963** - ლ. მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები), თბ., 1963.

**ნარიმანიშვილი, 2019** - დ. ნარიმანიშვილი, საქართველოს ციკლოპური სიმაგრეები, თბ., 2019.

**ოთხმეზური, 1981** - გ. ოთხმეზური, სამეფო და საუფლისწულო მი-

ნათმფლობელობა, წიგნში XII XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წყაროები როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.

**ორბელიანი, 1949** - სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ქართული, რომელი არს ლექსიკონი, ს. ორდანიშვილის რედაქციით, სახელგამი თბ., 1949.

**პაპუაშვილი, 2002** - ნ. პაპუაშვილი, მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ., 2002.

**რუხაძე, 1999** - ჯ. რუხაძე, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში (ბერიკაობა-ყეენობა), თბ., 1999.

**რუხაძე, 1985** - ჯ. რუხაძე, საცხველი, - საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, თბ., 1985.

**რუხაძე, 2000** - ჯულიეტა რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაულის (ბერიკაობა -ყეენობა) დამახასიათებელი რიტუალი სამცხე-ჯავახეთში, - მესხეთი ისტორია და თანამედროვეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, ახალციხე, 2000.

**რუხაძე, - ჯ. რუხაძე, ცოცხალი ისტორიები, სამცხე-ჯავახეთი, „სემდ“ ფონდი.**

**საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2004** - საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2004.

**სილოგავა, 1994** - ვ. სილოგავა, კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994.

**სილოგავა, 2000** - ვ. სილოგავა, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. კატალოგი-გზამკვლევი, ახალციხე, 2000.

**სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, - <http://>**

[census.ge/files/results/Census%20Release\\_GEO.pdf](https://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf)

**სიხარულიძე, 1958**, – იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმისა, წ., I, ბათუმი, 1. 1958.

**სოსელია, 1972** - ლ. სოსელია, ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში, - წიგნიდან „მესხეთ-ჭავჭავეთი, მასალები მესხეთ-ჭავჭავეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1972.

**ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები, 2020** - ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები, I ტომი, (მტკვრის აუზის ფორტიფიკაციები), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, თბ., 2020.

**ფრონელი, 1991** - ალ., ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბ., 1991.

**ფუტკარაძე, 2000** – თამაზ ფუტკარაძე, სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებულ მიგრანტთა სამეურნეო ეკონომიკური ადაპტაციის საკითხები, – მესხეთი ისტორია და თანამედროვეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, ახალციხე, 2000.

**ქართველიშვილი, მეგრელიძე, ქურდაშვილი 2016** - ლ. ქართველიშვილი, ლ. მეგრელიძე, ლ. ქურდაშვილი სამშენებლო-კლიმატური ნორმები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, კრ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის გამოყენებითი ეკოლოგიის ინსტიტუტის (გეკო) შრომათა კრებული, სამეცნიერო კონფერენციის მასალები „რეგიონული განვითარების პერსპექტივები: სამცხე-ჯავახეთი“, თბ., 2016.

**ქუქჩიშვილი, 2007** - ზ. ქუქჩიშვილი, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი სოფელ ხიზაბავრაში, - ჟ. ამირანი, 2007.

**ქუქჩიშვილი, 1998** - ზ. ქუქჩიშვილი, სოფელი ხიზაბავრა, თბ., 1998.

**ყარაულაშვილი, 1972** - ც. ყარაულაშვილი, ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში, - წიგნიდან „მესხეთ-ჯავახეთი, მასალები მესხე-

თ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1972.

**შილაკაძე, 1985** - მ. შილაკაძე, ხელსაფქვავი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, მემინდვრეობა, თბ., 1985.

**ჩირგაძე, 2005**- ნ. ჩირგაძე, ეპილეფსიის მკურნალობის ხალხური ტრადიციები სამცხე-ჯავახეთში, - მსე, XXV, თბ., 2005.

**ჩიტაია, 1997-ა** - გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მასალები ტერასული მინათმოქმედებისათვის ჯავახეთში, - შრომები ხუთ ტომად, ტ. პირველი, თბ., 1997.

**ჩიტაია, 1926** - გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, - კრ. მიმო-მხილველი, ტ. პირველი, თბ., 1926.

**ჩიტაია, 2001** - გ. ჩიტაია, შრომები, ტ., მესამე, თბ., 2001.

**ჩიტაია, 1997-ბ** - გ. ჩიტაია, საქართველოსა და კავკასიის სამეურ-ნეო იარაღების ისტორიისათვის, - შრომები ხუთ ტომად, ტ. პირველი, თბ., 1997.

**ჩიტაია, ხაზარაძე, 1985** - გ. ჩიტაია, მ. ხაზარაძე, მარცვლეულის გა-სანიავებელი იარაღები, - საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიუ-ლი ატლასი, მასალები, მემინდვრეობა, თბ., 1985.

**ჩიტაია, ჯალაბაძე 1985** - გ. ჩიტაია, გ. ჯალაბაძე, უღლები და აპე-ურები, - საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასა-ლები, მემინდვრეობა, თბ., 1985.

**ჩიქოვანი, 1967** - თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრე-ბელ ნაგებობათა ისტორიიდან (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკ-ვლევა), თბ., 1967.

**ჩიქოვანი, 1960** - თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებე-ლი, თბ., 1960.

**ჩიჭავაძე, 1976** - ნ. ჩიჭავაძე, საქართველოს ტერასული მინა-თმოქმედება, ბათუმი, 1976.

**ჩუბინაშვილი, 1924** - გ. ჩუბინაშვილი, ქართლის დარბაზი, თბ., 1924.

**ჩუბინაშვილი, 1963** - ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა. მასალები მესხეთ-ჭავჭავეთის უძველესი ისტორიისათვის, თბ., 1963.

**ჩუბინაშვილი, 1970** - ტ. ჩუბინაშვილი, ენეოლითური და ადრებრინჯაოს კულტურა. საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I, გვ. 129-200. თბ., 1970.

**ჩხიკვაძე, 1960** - გრ., ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა. ტომი I, თბ., 1960.

**ხოსიტაშვილი, 1972** - ს. ხოსიტაშვილი, ქორწინების წესები მესხეთ-ჭავჭავეთში, (მასალები), - მესხეთ-ჭავჭავეთი, მასალები მესხეთ-ჭავჭავეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, „მეცნიერება“, თბ., 1972.

**ჭიჭინაძე, 2004** - ზაქარია ჭიჭინაძე, ქართველთა გამუსლიმება, „არტანუჯი“, თბ., 2004.

**ხუციშვილი, 2004** - ქეთევან ხუციშვილი, რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, თბ., „მემატიანე“, 2004.

**ჭავჭავეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, 2012** - ჭავჭავეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, გამოსაცემად მოამზადეს: ვ. სილოგავამ, ლ. ახალაძემ, მ. ბერიძემ და ა. შ.; რედაქტორი: ზ. ალექსიძე; ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – კოლეჯი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, „ნეკერი“, 2012.

**ჭავახიშვილი, 2016** - ჭავახიშვილი ივ., საქართველოს საზღვრები, თბ., 2016.

**ჭალაბაძე, 1972** - გ. ჭალაბაძე, მემინდვრეობა მესხეთ-ჭავჭავეთში, - წიგნი „მესხეთ-ჭავჭავეთი, მასალები მესხეთ-ჭავჭავეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1972.

**ჭაფარიძე, 1998** - მიტროპოლიტი ანანია (ჭაფარიძე), მესხეთი (ქართველთა გამაჰმადიანება), თბ., 1998.

**Лич, 2001** - Лич Э., Логика взаимосвязи символов, К использованию структурного анализа в социальной антропологии, М. 2001.

**Март, 1904** - Март Н. Дневник поездки в Шавшию и Кларджию, ბოგბბი: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. - Тексты и разыскания по армяно- грузинской филологии, кн. VII, С.- Петербург, 1904.

**Теория культуры, 2008** - Теория культуры ред. Иконникова С.Н. и Большаков В. П. Питер, М-СПб, 2008 .

**Agnew, 2001** - Agnew J., "Bordering Europe and Bounding States: The 'Civilizational' Roots of European National Boundaries", in Kaplan D. and Hakli J. (eds.), Borderlands and Place, New York, Rowman & Littlefield. 2001.

**Balibar, 1998** - Balibar E., "The Borders of Europe", in Cheah P. and Ronbins B. (eds.) Cosmopolitics: Thinking and Feeling Beyond the Nation, Minneapolis, MN, University of Minnesota Press. 1998.

**Bechev, Nicoladis, 2010** - Bechev D., Nicoladis K., "Introduction: Frontiers, Memory, and Conflict in the Mediterranean", in Mediterranean Frontiers: Borders, Conflict and Memory in a Transnational World. London, Tauris Academic Studies. 2010.

**Castells, 1994** - Castells M., The Rise of the Network Society, London, Blackwell. 1994.

**Cooper, Anthony; Perkins, Chris (2012):** Cooper, Anthony; Perkins, Chris Borders and status-functions: An institutional approach to the study of borders. In: European Journal of Social Theory 15 (1), S. 55–71.)

**Dalby, O'Tutathail, 1998** - Dalby S. O'Tutathail G Rethinking Geopolitics, London, Routledge. 1998.

**Djikink, 1996** - Djikink G. National Identity and Geopolitical Visions: Maps of Pride and Pain, London, Routledge. 1996.

**Eriksen, 1993** -Eriksen T. H., Ethnicity and Nationalism. Anthropological perspectives, Pluto Press, London-Baulder, Colorado, 1993.



**Gallardo, 2009** - Gallardo, M. E., Johnson, J., Parham, T. A., & Carter, J. A. Ethics and multiculturalism: Advancing cultural and clinical responsiveness. *Professional Psychology: Research and Practice*, 40(5), 425–435. <https://doi.org/10.1037/a0016871>, 2009.

**Haller, 2005** - Haller D. dtv-Atlas Ethnologie, Deutscher Taschen Verlag, Munchen 2005.

**Hartshorne, 1933** - Hartshorne R. “Geographic and Political Boundaries in Silesia”, *Annals of the Association of American Geographers*, 23, 4, pp. 195-228. 1933.

**Houtum van, Naerssen van, 2002** - Houtum H. van, Naerssen T. van “Bordering, Ordering, and Othering”, *Journal of Economic and Social Geography*, 93, 2, pp. 125-136, 2002

**Houtum van, 2005** - Houtum H. van, “The Geopolitics of Borders and Boundaries”, *Geopolitics*, 10, 4, pp. 672-79, 2005

**Kramsch, 2010** - Kramsch O. “Regulating European borders: a cultural perspective”, in *Innovative regulatory approaches: coping with Scandinavian and European policies*, New York, Nova Science Publishers.

**Kristof, 1959** - Kristof Ladis D. The nature oft frontiers and boundaries, *Annals Assoc Amer Geog.*, 1959.

**Lefebvre, 1972** - Lefebvre, H. *Das Alltagsleben in der modernen Welt*. Frankfurt: Suhrkamp. 1972.

**Longo, 2018** - Longo Matthew, *The politics of borders. Sovereignty, Security and the citizen after 9/11*. Cambridge University Press),

**Lubkemann, 2010** - Lubkemann S. C. *Culture in Chaos: An Anthropology of the Social Condition in War* University of Chicago Press, 2010.

**Macionis, 1995** - Macionis J.J., *Sociology*, Prentice Hall, Englewood Cliffs, New Jersey 07632, 1995.

**Mainhof, 2002** – Mainhof U., *Living (with) Borders: Identity Discourses on*

East-West Borders in Europe (Routledge Revivals) 2002.

**Minghi, 1963** – Minghi J. Boundary studies in political geography, *Annals of the Association of American Geographers*: Vol. 53,1963.

**McCall, 2013** - McCall C. Conflict Amelioration and European Union Cross-Border Co-operation (forthcoming).

**Newman, 2011** - Newman D. “Contemporary Research Agendas in Border Studies: An Overview”, in Wastl-Water D. (ed.), *Ashgate Research Companion to Border Studies*, Ashgate Publishers, pp. 33-47.

**Paasi, 1996** - Paasi A. *Territories, Boundaries and Consciousness: The Changing Geographies of the Finnish-Russian Border*, New York, John Wiley, 1996.

**Popescu, 2011** - Popescu G *Bordering and Ordering the Twenty-First Century: Understanding Borders*. Lanham, MD: Rowman & Littlefield. 2011.

**Ratzel, 1897** – Razel F., *Politische Geographie*, Verlag von R. Oldenburg 1897

**Scott, 2011** - Scott J.W. “Borders, Border Studies and EU Enlargement”, in *Ashgate Research Companion of Border Studies*, Aldershot, Ashgate Publishing, pp. 123-142, 2011.

**Urry, 1999** - Urry, J. Globalization and Citizenship. *Journal of World-Systems Research*, 5(2), 310–324. <https://doi.org/10.5195/jwsr.1999.137>.

**Yiftachel, 1999** - Yiftachel O. “Between Nation and State: “Fractured” Regionalism among Palestinian-Arabs in Israel”, *Political Geography*, 18, 3, pp. 285-307.

**Wellman, 2001** - Wellman, B. Computer Networks as Social Networks. *Science*, 293, 2031-2034. 2011.

**იხილეთ შემდეგი მასალები:**

<https://apa.gov.ge/ge/biomravalferovneba/djavaxetis-daculi-teritoriebis-biomravalferovneba>

<https://mepa.gov.ge/Ge/Page/RegisterofAgriculturalCooperatives>.

<https://mepa.gov.ge/Ge/Page/ServicesGuide>.

<https://commerciant.ge/news/busuness/vardziis-terasebze-gaugebrobebia-da-amaze-momavalshi-visaubreb-giorgi-natenadze>.

<https://www.interpressnews.ge/ka/article/350163-sakartvelo-turketis-sazgvarze-axali-sabazho-gamshvebi-punkti-karcaxi-gaixsna/>).

**THE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA**

**ROZETA GUJEJANI, KETEVAN KHUTSISHVILI,  
MIRIAN KHOSITASHVILI**

**SOCIO-CULTURAL CHARACTERISTICS AND TRANSBORDER  
RELATIONS OF GEORGIAN BORDERLANDS**

**JAVAKHETI**

TBILISI  
2023

UDC:

EDITOR: **ACADEMICIAN JABA SAMUSHIA**

REVIEWERS:

PROF.

**MERAB BERIDZE**

PROF.

**TAMAZ PUTKARADZE**

DESIGN:

**GIGI GELASHVILI**

ISSN:

© THE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA

© ROZETA GUJEJANI

© KETEVAN KHUTSISHVILI

© MIRIAN KHOSITASHVILI

## **CONTENT:**

<b>PREFACE . . . . .</b>	<b>132</b>
<b>THEORETICAL ASPECTS OF BORDER STUDIES. . . . .</b>	<b>135</b>
<b>SOCIO-CULTURAL AND ECONOMIC TRADITIONS AND MODERNITY OF JAVAKHTI . . . . .</b>	<b>150</b>
<b>ETHNIC AND RELIGIOUS SITUATION IN JAVAKHETI. . . . .</b>	<b>194</b>
<b>BORDER RELATIONS IN HISTORICAL SAMTSKHE-JAVAKHETI . . . . .</b>	<b>204</b>
<b>CONCLUSIONS . . . . .</b>	<b>210</b>
<b>BIBLIOGRAPHY . . . . .</b>	<b>213</b>



## PREFACE

The research was prepared within the framework of the program for the promotion of scientific research projects studying the border regions of Georgia grant project BRG-I-22-282 "Socio-cultural characteristics and border relations of the border regions of Georgia - Javakheti" (project leader Prof. Rozeta Gujejiani) supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG). The research team consisted of Doctor of History, Prof. Rozeta Gujejiani (project leader). Doctor of History, Prof. Ketevan Khutsishvili, Doctor of Ethnology Mirian Khositashvili, Assistant Boris Komakhidze and Shemsetin (Giorgi) Iremadze, who was in charge of the logistics in the Republic of Turkey.

The research is based on data of ethnographic research carried out in the summer and autumn of 2022 in Georgia: Javakheti and Samtskhe (Akhalkalaki, Ninotsminda and Akhaltsikhe municipalities) and the Republic of Turkey (Ardahan province). The research aimed to study the socio-cultural characteristics of Javakheti as a border zone; the influence of the border as a physical reality; the attitude towards the border and the functioning of the border in Javakheti.

The history of scientific study of Meskheta is long and multifaceted. It is known that Georgian ethnographers have been interested in the traditional being and culture of Samtskhe-Javakheti since early times. Along with the richest historiographical studies, the authors of which are great Georgian historians: Mikheil Tamarashvili, Alexandre Froneli, Ivane Javakhishvili, Shota Lomsadze, Metropolitan Anania Japaridze and others, Ivane Gvaramadze, Zakaria Chichinadze, Giorgi Chitaia, Sergi Makalatia, Zurab Kukchishvili, in terms of studying the ethnography of Javakheti, are the greatest. The contribution of Tsiuri Lapachi, Tina Ivelashvili and others must be mentioned as well. The richest ethnographic information is preserved in the materials collected by Ivane Javakhishvili in 1935, which were published in the form of five volumes later. In recent years the field diary of Julieta Rukhadze have been published and enriched the studies of South Georgia. Very Important are the linguistic works, in which linguistic and ethnograph-

ic data are intertwined, for example, Merab Beridze's monographs and articles, works of writer and scientist Giorgi Zedginidze, etc.

Of course, our goal was to use the rich scientific base and compare it with the current situation. An analysis of the sources and scientific literature regarding the issue was carried out, and then was planned a fieldwork to study modern realities. The ethnographic fieldwork data is the main part of our research.

The research was conducted by the use of qualitative methods. The main method was the field-ethnography. The simple and participant observation, interviewing methods (namely: semi-structured, open, in-depth interviews, biographical and focused interviews) were the main research tools. The analysis of the sources and scientific literature regarding the research topic was carried out, the results obtained by quantitative methods (statistical data) were also used, and the data were recorded in the form of photography and audio-video recordings.

The methodological framework of the research was determined by the theory of social construction of space, the theory of "making" of borders, and the theory of functionality. A comparative approach was also used in both diachronic (historical-typological comparison) and synchronic (comparative analysis of the existence of different sides of the border) point of view. Within these approaches, modern terminological apparatus and concepts of modern authors were used.

As a result of the research, a more or less complete picture of Javakheti being has been displayed, taking into account the correlation of geographical borders with conceptual, symbolic or imaginary borders.

The novelty of the research is the perspective on everyday life through the light of existence of the borders. The main research questions were the following: what are the socio-cultural characteristics of the southern border region of Georgia - Javakheti, how border relations affect it, whether borders create a specific type of culture and what development trends are observed there.

The monographic research includes a general description of the region; A brief overview of historical sources and scientific literature, as well as the analyses of the type of settlement, residential and agricultural buildings, agricultural culture, auxiliary branches of agriculture,

family and social life, forms of solidarity, religious situation, ethnic diversity and traditional experience of peaceful coexistence, difficulties of the post-Soviet period, the description and analysis of the relationship between traditional culture and modern challenges and border communication.

The monograph is also consists the part of the data obtained by the ethnographic expedition carried out in 2015. This expedition was conducted within the framework of the project: "Primary inventory of the intangible cultural heritage of Khertvisi-Vardzia-Oloda cultural landscape in Aspindze Municipality" supported by the Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation. The project was carried out under the leadership of Rozeta Gujejiani. Rozeta Gujejiani, Giorgi Avtandilashvili, Sofo Sarishvili and Giorgi Maghradze conducted the ethnographic field research and collected the ethnographic data. The consultant of the project was professor Merab Beridze, architect Davit Japaridze and terrace farming specialist Giorgi Butskhrikidze.

The authors of the monograph express their gratitude to the local community, administration, clergy and our interlocutors of Javakheti region for their warm hospitality and assistance during the field research. We are especially grateful to Temur Khositashvili, Neli Zedginidze, Giorgi Natenadze, Jemal Datashvili, Giorgi Muradashvili, Vardan Sukiasyan, Armine Akobyan, Lena Melikidze-Aspanidze, Durmishkhan Aspanidze, and also to the residents of Potskhovi and Chrdili regions in Turkey.

Special gratitude to the National Parliamentary Library of Georgia as a co-funding organization, which made possible the publication of this book.

The paper uses photos of the ethnographic expedition 2022 (R. Gujejiani, K. Khutsishvili, M. Khositashvili), the expedition 2015 (R. Gujejiani, G. Avthandilashvili, S. Sarishvili, G. Maghradze), photos by Giorgi Maghradze and Giorgi Muradashvili taken in different years and the map preserved in the National Library of the Parliament of Georgia.

The work is intended for representatives of scientific circles and a wide circle of interested society.

## THEORETICAL ASPECTS OF BORDER STUDIES

Borders, as a tools of spatial organization of society, have always been important for humanity, however, the formation of border studies as a special scientific field is a relatively new fact The interest to this issue has increased especially after scientists realized the contradictory nature of borders and their influence on societies not only spatially-geographically, but also in terms of meaning-hierarchical organization as well.

After the collapse of the USSR, the instability of the global economy and security concerns related to terrorism added even more weight to border studies.

According to modern approaches, borders, on the one hand, are considered as a tool of geopolitical division, however, in addition to interstate borders, cultural, symbolic and different types of social borders are now in the focus of scholarly interest. The border issues are increasingly discussed in the discourse of identity and the everyday life. Various scientific-research questions are related to the change of the meanings of the borders, the presence or absence of economic ties and their impact on regional development, the correlation between everyday life and identity in the border zone, etc. These and other issues related to border studies could be analyzed from comparative historical, ethnographic-anthropological, sociological or geographical perspectives.

Borders are a fundamental social phenomenon that is quite contradictory in many ways. The borders can be analyzed by considering the paradox of continuity and discreteness. Discreteness implies that boundaries actually exist, acknowledging that space is structured through them. At the same time, recognition of the continuity of borders (constant process of creation) denies their objective existence and calls into question their identification.

Due to the ambivalence of the understanding of borders and border zones and their hybridity, it is quite problematic to research borders within the framework of any homogeneous social theory. In addition, the primary task is to analyze how can be understood the space, place and territory. The explanation of the social meanings of these concepts

will allow analyzing the border as a tool for turning space into a social place - a certain space.

